F-133
1966.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 4

ივლისი — აგვისტო

1966 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

F 3009

# საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 4 ივლისი—აგვისტო 1966 წ.

## შ ი ნ ა ა რ ს ი

### საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

65. საქართველოს სს რესპუბლიკაში საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების შემცირების ზომების შესახებ.
66. საქართველოს სსრ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში თესლბრუნვის შემოღებისა და ათვისების ღონისძიებათა შესახებ.
67. საქართველოს სსრ სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებისა და ჯანმრთელობის დაცვის შემდგომი გაუმჯობესების ზომების შესახებ.
68. რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ზომების შესახებ.
69. საქართველოს სს რესპუბლიკაში მასობრივი ტურიზმის შემდგომი განვითარების შესახებ.
70. მარცვლეული და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი და მყარი მოსავლის მოსაყვანად მიწების მელიორაციის ფართოდ განვითარების შესახებ.

### საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილებები

71. საქართველოს სს რესპუბლიკაში მუშა-მოსამსახურეთა კოლექტიური მებაღეობის შესახებ.
72. იმის შესახებ, რომ გადაყვანილ იქნან რესპუბლიკის საწარმოთა ჯგუფები ხუთდღიან სამუშაო კვირაზე, ორი გამოსასვლელი დღით.

№ 4
ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

73. ქლიავისა და ტყემლის შესასყიდი (ჩასაბარებელი) ფასების შესახებ.
74. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე საცალო ვაჭრობის ქსელში ნაყიდი ტყავის ფეხსაცმლის გამოცვლის წესების დამტკიცების შესახებ.
75. საქართველოს სსრ მინისტრებისა და უწყებათა ხელმძღვანელების, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების გადასაწყვეტად სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საკითხების გადაცემის შესახებ.
76. იმ მალფუჭებადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ნომენკლატურის დამტკიცების შესახებ, რომელიც საქართველოს სს რესპუბლიკაში მზადდება.
77. ზონალური აგროქიმიური ლაბორატორიების ტიპობრივი შტატების დამტკიცების შესახებ.
78. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსთან საკონსულტაციო საბჭოს შექმნის შესახებ.
79. ხმელი დაფნის ფოთლის შესასყიდი ფასის შესახებ.
80. საქართველოს სსრ მაღალმთიან რაიონებში სამუშაოებზე დასაქმებულ მუშაკთა ხელფასის კოეფიციენტების დაწესების შესახებ.
81. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის ცენტრალური აპარატის სტრუქტურისა და შტატების შესახებ.
82. იმ ავტომანქანების ექსპლუატაციის პირობების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც უფასოდ ეძლევათ ინვალიდებს.
83. ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ.
84. კვების მრეწველობის პროდუქციის ახალი საბითუმო ფასების შემოღების შესახებ.
85. საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო რაიონების დაგეგმვის სქემების შემუშავების საკითხების შესახებ.
86. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 29 მაისის № 320 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.
37. საქართველოს სსრ ზოგიერთი სკოლისათვის გამოჩენილ მოღვაწეთა სახელის მიკუთვნების შესახებ.
88. ჟურნალ „საქართველოს სოფლის მეურნეობის“ გამოცემის განახლების შესახებ.
89. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ.
90. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 5 ნოემბრის № 636 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებში ცვლილებათა შეტანისა და ზოგიერთი მათგანის გაუქმების შესახებ.

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განკარგულებები

91. განკარგულება № 1039.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

## 65 საქართველოს სს რესპუბლიკაში საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების შემცირების ზომების შესახებ

(ამონაკრები)

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს განიხილონ ადგილებზე ავტოსაგზაო შემთხვევების წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობის საკითხები და მიიღონ საჭირო ზომები პარტიისა და მთავრობის მიერ ავტოსაგზაო შემთხვევების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების საკითხებზე მოცემულ მითითებათა უცილობლივ შესრულებისა და საზოგადოებრივი ტრანსპორტით მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესებისათვის. უფრო ფართოდ ჩააბან საზოგადოებრიობა ავტოტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეთა მოძრაობის უსაფრთხოობის უზრუნველყოფის მუშაობაში და აღმოფხვრან ის მიზეზები, რომლებიც ხელს უწყობენ ავარიულობას ტრანსპორტზე.

2. საქართველოს სსრ სამინისტროების, უწყებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა:

ა) მიიღონ გადამწყვეტი ზომები მძღოლთა შემადგენლობაში დისციპლინის განმტკიცების გაუმჯობესებისათვის, გააძლიერონ მომთხოვნელობა მოძრაობის წესების დამრღვევებისადმი, მისცენ ისინი სასტიკ პასუხისგებაში, ხოლო საჭიროების დროს გადასცენ მასალები სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის ან გამოძიების ორგანოებს;

ბ) გადაჭრით გააუმჯობესონ ავტომოტოტრანსპორტის ტექნიკური მდგომარეობა გეგმიან-გამაფრთხილებელი რემონტისა და ტექნიკური მომსახურების სისტემატურად ჩატარების გზით, მტკიცე კონტროლი გაუწიონ სატრანსპორტო საშუალებათა ექსპლუატაციას;

გ) ადამიანთა მასობრივი გადაყვანა (ექსკურსიები, ბავშვთა გადაყვანა დასვენების ადგილებში და სხვ.) განახორციელონ მხოლოდ მას შემდეგ, რაც სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის წარმომადგენლები სათანადოდ შეამოწმებენ სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკურ მდგომარეობას და მოწყობილობას, აგრეთვე მძღოლთა შემადგენლობის კვალიფიკაციას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. დაევალოთ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსსპორტის სამინისტროს, სხვა სამინისტროებსა და უწყებებს, რომლებსაც დიდი ავტომეურნეობები აქვთ, შემოიღონ ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის საშტატო რაოდენობის ფარგლებში თანამდებობანი მოძრაობის ტექნიკური უსაფრთხოების ინჟინრებისა შემდეგი ანგარიშით:

ა) ავტომეურნეობებში, სადაც მუშათა რაოდენობა 500 კაცი და მეტია, — თითო თანამდებობა უსაფრთხობის ტექნიკის ინჟინრისა და მოძრაობის უსაფრთხობის ინჟინრისა, რომლებიც განთავისუფლებულ იქნებიან სხვა სამუშაოებისაგან (ხუთ ავტომეურნეობაში);

ბ) ავტომეურნეობებში, სადაც მომუშავეთა რაოდენობა 250-დან 500 კაცამდეა, — ერთი თანამდებობა უსაფრთხობის ტექნიკის და მოძრაობის უსაფრთხობის ინჟინრისა (ათ ავტომეურნეობაში);

გ) ავტომეურნეობებში, სადაც მომუშავეთა რაოდენობა 250 კაცამდეა, — ეს ფუნქციები დააკისრონ ტექნიკურ ხელმძღვანელს ან იმ პირს, რომელიც პასუხისმგებელია უსაფრთხობის ტექნიკისა და მოძრაობის უსაფრთხობისათვის.

5. დაევალოთ საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარ სამმართველოს, საქმთავარენერგოს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს:

ა) საავტომობილო გზებზე, სადაც ტრანსპორტის მოძრაობა ინტენსიურია, ქალაქიდან გასასვლელთან 1966—1968 წლების განმავლობაში ააშენონ ავტოპროფილაქტორიუმი, გასასინჯავი ორმოები, გასარეცხი საგუშაგოები და დადგან ფარები შუქის რეგულირებისათვის;

ბ) გააძლიერონ ყურადღება ქუჩების, გზებისა და ხელოვნურ საგზაო ნაგებობათა წესიერად შენახვისადმი, მოძრაობის უსაფრთხობის საჭირო საშუალებებით მათი გაწყობისადმი, ქუჩებისა და საგარეუბნო გზების განათებისადმი.

გადასინჯონ წესი ქალაქების მთავარ ქუჩებში სანათების გამორთვისა ტრანსპორტის და ფეხით მოსიარულეთა მოძრაობის ინტენსიურობის შემცირების დროს;

გ) შეიმუშაონ რესპუბლიკის დიდ ქალაქებში სატრანსპორტო ნაკადების გენერალური გეგმები მომავალი 10 წლისათვის, რომელთა შესაბამისად აწარმოონ ქუჩებისა და გზების საფარის გათხრის მთელი სამუშაოები.

6. მიღებულ იქნას ცნობად, რომ რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო აწარმოებს ტრანსპორტის მოძრაობისა და ექსპლუატაციის უსაფრთხობის უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტთა მომზადებას.

დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მოაწყოს რესპუბლიკის ტექნიკუმებში (სასწავლო გეგმების საერთო საათების ფარგლებში) მომზადება სპეციალისტთა, აგრეთვე საშუალო კვალიფიკაციის სპეციალისტთა ჯგუფებისა, რათა უზრუნველყოფილ იქ-

მუხ. 65
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნან ამ სპეციალისტებით საავტომობილო მეურნეობანი, ავტოსკოლები, კურსები და სხვა ორგანიზაციები.

7. დაევალოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს გააუმჯობესოს იმ მძღოლთა სამედიცინო შემოწმების ხარისხი, რომლებიც მილიციის ორგანოებმა დააკავეს ტრანსპორტის არაფხიზელ მდგომარეობაში მართვისათვის, აგრეთვე იმ პირებისა, რომელთაც სურთ მიიღონ სატრანსპორტო საშუალებათა მძღოლების მოწმობა.

8. დაევალოს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციასთან ერთად ორი თვის ვადაში გამოარკვიოს, თუ რამდენი იქნება საჭირო შუქნიშნები, მათი ავტომატური გადამრთველები, თანამედროვე საგზაო ნიშნები და ფერადი ასფალტი — წლების მიხედვით და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით გადაწყვიტოს 1966 წელს აღნიშნულ ნაკეთობათა წარმოების ორგანიზაციის საკითხი.

9. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გზატკეცილების მთავარ სამმართველოს, რესპუბლიკის საპროექტო, სამშენებლო და საგზაო ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს საავტომობილო გზების, ქალაქის ქუჩების, მათი მიმდებარე ნაკვეთების განაშენიანების, ხიდების და სხვა საინჟინერო ნაგებობათა მშენებლობისა და რეკონსტრუქციის პროექტების შედგენისას მოიწვიონ სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის წარმომადგენლები.

ზემოაღნიშნული ობიექტების გადაცემა საექსპლუატაციოდ აწარმოონ აგრეთვე სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის თანამშრომელთა მონაწილეობით.

10. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მოაწყოს მეცადინეობა საბჭოთა კავშირის ქუჩებში და გზებზე მოძრაობის წესების შესასწავლად 6-8 საათიანი პროგრამით და შეიტანოს იგი ყველა კლასის მოსწავლეთა სავალდებულო მომზადების სისტემაში სასწავლო გეგმების საათების საერთო რაოდენობის ფარგლებში. გაითვალისწინოს 1966 წელს დამხმარე სახელმძღვანელოების გამოცემა მოსწავლეებისათვის ქუჩაში მოძრაობის წესების შესასწავლად.

11. დაევალოთ საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს ყოველწლიურად მოაწყონ ქუჩაში მოძრაობის წესების შესწავლა უმაღლესი და საშუალო სასწავლებლების, აგრეთვე პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა მიერ 10-საათიანი პროგრამით სასწავლო გეგმების საათების საერთო რაოდენობის ფარგლებში.

12. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტრომ შეიმუშაონ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს წარუდგინონ განსახილ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველად პროექტები დადგენილებებისა „უავარიო მუშაობისათვის მძღოლთა სამკერდე ნიშნის დაწესების შესახებ“, დებულებისა ამ ნიშნის შესახებ, აგრეთვე „ავტომეურნეობებში მოძრაობის უსაფრთხოების საბჭოების შესახებ“, რომლებიც სავალდებულოა საქართველოს სსრ ყველა სამინისტროს, უწყების, კოლმეურნეობებისა და სხვა ორგანიზაციების საავტომობილო მეურნეობებისათვის.

13. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტს:

ა) გამოსცეს 1967 წელს დადგენილი წესით ავტომობილების მოწყობისა და ექსპლუატაციის სახელმძღვანელოები, აგრეთვე ქუჩაში მოძრაობის წესების შესახებ შოფრების მოსამზადებლად;

ბ) ხელახლა გამოსცეს შეკვეთის საწყისებზე წინათ გამოშვებული კომპლექტი პლაკატებისა, სასწავლო სახელმძღვანელოებისა მოძრაობის წესების შესახებ;

გ) ყოველწლიურად შეიტანოს გეგმებში საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის და სხვა უწყებების შეკვეთებით პოპულარული ლიტერატურის, მხატვრული პლაკატების, სამახსოვროებისა და სხვა მასალების გამოცემა, რომლებიც გასწევენ იმის პოპულარიზაციას, რომ საჭიროა მოძრაობის უსაფრთხოების წესების დაცვა მძღოლებისა და მოსახლეობის მიერ.

14. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტმა გამოუშვას საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს, არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების რესპუბლიკური კომიტეტის, წითელი ჯვრის რესპუბლიკური კომიტეტის შეკვეთებით მოკლემეტრაჟიანი ფილმები ავტოტრანსპორტის მოძრაობის წესების შესახებ.

15. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროებმა, გაერთიანება „საქსოფლტექნიკამ“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა, არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების რესპუბლიკურმა კომიტეტმა და წითელი ჯვრის რესპუბლიკურმა კომიტეტმა ყოველწლიურად გამოყონ, 1966 წლიდან დაწყებული, სახსრები, მოკლემეტრაჟიანი კინოფილმების, მხატვრული ლიტერატურის, პლაკატების, ფურცლების, ბროშურების, მოწოდებების, სასწავლო თვალსაჩინო ხელსაწყოების შესაკვეთად და გამოსაცემად საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების თავიდან აცილების საკითხებზე.

16. დაევალოთ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს და არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების რესპუბლიკურ კომიტეტს გააუმჯობესონ ავტომობილებისა და მოტოციკლების მძღოლთა შემადგენლობის მომზადების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხარისხი, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მასწავლებელთა შემადგენლობის კვალიფიკაციის სისტემატურ ამაღლებას.

17. სამინისტროების, უწყებების, საწარმოების, ორგანიზაციების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებმა მშრომელთა დეპუტატების, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა საზოგადოება „ცოდნის“ რესპუბლიკურმა გამგეობამ მოაწყონ სსრ კავშირის ქალაქების, დასახლებული პუნქტების ქუჩებში და გზებზე მოძრაობის წესების ძირითად დებულებათა შესწავლა რესპუბლიკის მთელი მოზრდილი მოსახლეობის მიერ და გამოიყენონ ამ მიზნით პროპაგანდისტებად მძღოლები საზოგადოებრივ საწყისებზე.

18. არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების რესპუბლიკურმა კომიტეტმა ფართოდ მოიზიდოს ავტომოტოკლუბები და სპორტულ-ტექნიკური კლუბები ავტომოყვარულთა და სპორტსმენთა შორის მოძრაობის უსაფრთხოების პროპაგანდისათვის.

19. დაევალოთ საქართველოს სსრ კვების მრეწველობის და ვაჭრობის სამინისტროებს მოძრაობის წესების პროპაგანდის მიზნით დაამზადონ სპეციალური ეტიკეტები კამფეტებისა, პაპიროსის კოლოფებისა და კვების მრეწველობის პროდუქტებისათვის, აგრეთვე დაბეჭდონ ქუჩაში მოძრაობის წესების თემებზე შესახვევი ქაღალდი და პარკები, რომლებსაც იყენებენ საცალო ვაჭრობისათვის.

20. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტმა გააძლიეროს მოძრაობის უსაფრთხოების წესების პროპაგანდა, რისთვისაც სისტემატურად გადასცეს რადიოთი და ტელევიზიით ამ წესების ძირითადი მოთხოვნები, მოაწყოს თემატური გადაცემები და შექმნას სატელევიზიო ფილმები.

23. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გზატკეცილების მთავარ სამმართველოს საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს მილიციის სამმართველოს სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის წარმომადგენლებთან ერთად, გაზაფხულ-ზაფხულის ტვირთზიდვის სეზონისათვის მომზადების წესით, ყოველწლიურად შეამოწმოს გზების, ხიდების, საგზაო ნიშნების, ზღუდეებისა და სხვა მოწყობილობათა და ხელოვნურ საგზაო ნაგებობათა მდგომარეობა, მიიღოს საჭირო ზომები იმ უწესივრობათა აღმოსაფხვრელად, რომლებიც საფრთხეს უქმნიან მოძრაობას.

24. დაევალოს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს:

ა) მოთხოვოს საწარმოთა და ორგანიზაციათა შესაბამის ხელმძღვანელებს უცილობლივ შეასრულონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 2 მარტის № 152 დადგენილება „დღისით სატვირთო საავტომობილო ტრანსპორტის მოძრაობისაგან ცენტრალური ქუჩების განსატვირთავად ტვირთის საღამოსა და ღამით გადაზიდვის მოწყობის შესახებ“;

ბ) განიხილოს საქმთავარენერგოსთან ერთად საკითხი, რომ მოეწყოს თელასის სისტემაში ქუჩაში მოძრაობის რეგულირების ტექნიკურ საშუალებათა რემონტისა და ექსპლუატაციის სახელოსნო, რომელიც ოპერატიულად დაუმო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რჩილდეს თბილისის საქალაქო აღმასკომის მილიციის სამმართველოს სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციას;

გ) ავტომოტოტრანსპორტის დიდი თავმოყრის ადგილებში, მთავრობისა და სხვა დაწესებულებების, ბაზრებისა და სანახაობითი საწარმოების მახლობლად შექმნას ავტომანქანების გასაჩერებლები;

დ) განიხილოს საკითხი, რომ შემდგომ გაფართოვდეს დიდი გარაჟების მშენებლობა ინდივიდუალურ მფლობელთა ავტოტრანსპორტის გასაჩერებლად მათი პირადი სახსრების გამოყენებით.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი
**ვ. მჟავანაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
**გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 28 ივნისი № 400.

## 66 საქართველოს სსრ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში თესლბრუნვის შემოღებისა და ათვისების ღონისძიებათა შესახებ

(ამონაკრები)

თესლბრუნვის ათვისების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ საქართველოს სს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, საქართველოს კომპარტიის საოლქო კომიტეტებსა და რაიკომებს, რაიაღმასკომებს, სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოებსა და სპეციალიზებულ ტრესტებს:

ა) 1966 წლიდან გაშალონ მოსამზადებელი სამუშაოები და მიმდინარე ხუთწლედში უზრუნველყონ შიგასამეურნეო მიწათმოწყობის დამთავრება და თესლბრუნვის შემოღება 764 კოლმეურნეობასა და 36 საბჭოთა მეურნეობაში;

ბ) გაითვალისწინონ, რომ შიგასამეურნეო მიწათმოწყობამ და თესლბრუნვის შემოღებამ უნდა უზრუნველყონ მინდვრებისა და თესლბრუნვის მასივების, აგრეთვე სამეურნეო ცენტრების, საგზაო ქსელის სწორი განლაგება, მრავალწლოვან ნარგავთა ტერიტორიის ორგანიზაცია, სათიბებისა და საძოვრების გაუმჯობესება, ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლება, ეროზიის საწინააღმდეგო და სხვა ღონისძიებათა განხორციელება;

გ) შეიმუშაონ თესლბრუნვა უშუალოდ მეურნეობებში, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელთა, სპეციალისტთა, მოწინავე კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა მონაწილეობით, თესლბრუნვის შემუშავებისას გაითვალისწინონ: სასოფლო-სამეურნეო სავარგულთა რაციონალური გამოყენება შრომისა და სახსრების მინიმალური დანახარჯით და პროდუქციის მაქსიმალური გამოსავლიანობა, სოფლის მეურნეობის პრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმების შესრულება, ამ პროდუქტებით მეურნეობის მოთხოვნილების სრულად დაკმაყოფილება. თესლბრუნვის შემუშავება შეუთანხმონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შემოღებულ სპეციალიზაციას, ამასთან გაითვალისწინონ ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლება და ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის წარმოების ზრდა, მტკიცე საკვები ბაზის შექმნა, ტრაქტორებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების სწორად გამოყენება და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესება და მისი ნაყოფიერების ამაღლება;

დ) ურჩიონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ფართოდ დანერგონ სასუქის გამოყენებისა და ნიადაგის დამუშავების მეცნიერულად დასაბუთებული სისტემები, მჟავე ნიადაგების გაკირიანება და ბიცობიანი ნიადაგის გაკულტურება, აგრეთვე მოაწყონ მინდორსაცავი ტყის ზოლები;

ე) მოაწყონ მრავალწლოვანი და ერთწლოვანი ბალახების თესლის წარმოება ისეთი ოდენობით, რომელიც უზრუნველყოფს მეურნეობის მოთხოვნილებებს;

განახორციელონ მდელოებისა და საძოვრების გაუმჯობესების ღონისძიებანი და იქ, სადაც ეს შესაძლებელია, შექმნან კულტურული მდელოები და საძოვრები;

განახორციელონ სასოფლო-სამეურნეო სავარგულთა მორწყვის სამუშაოები, დაჭაობებული და ჭარბტენიანი მიწების ამოშრობა, ბუჩქების ამოძირკვა და სხვა კულტურულ-ტექნიკური სამუშაოები, რათა შეიქმნას ნაყოფიერი მიწების დიდი მასივები, რომლებიც გამოდგება სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესვა-მოყვანისათვის; ეროზიულ მიწებზე გააშენონ საცავი ტყის ნარგავები, დათესონ მრავალწლოვანი ბალახები, განახორციელონ უმარტივესი ჰიდროტექნიკური და ეროზიის საწინააღმდეგო სხვა ღონისძიებანი;

ვ) თესლბრუნვის შემოღების პროექტები განიხილონ სოფლის მეურნეობის რაიონულ საწარმოო სამმართველოში, საბჭოთა მეურნეობების შესაბამის ტრესტში და რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმების შემდეგ თესლბრუნვის შემოღებისა და ათვისების ღონისძიებათა პროექტები განიხილონ: კოლმეურნეობებში — კოლმეურნეთა საერთო კრებებზე, ხოლო საბჭოთა მეურნეობებში — საბჭოთა მეურნეობის საწარმოო თათბირებზე და წარუდგინონ შესაბამის რაიაღმასკომს დასამტკიცებლად, რის შემდეგ თესლბრუნვის დამტკიცებული პროექტი გადასცენ რეგისტრაციისათვის სოფლის მეურნეობის რაიონულ საწარმოო სამმართველოს ან ტრესტს;

ზ) თესლბრუნვის დამტკიცებული პროექტი გადაიტანონ ნატურაში გზების, მინდორსაცავი და სატყეო ზოლების და სხვ. აღნიშვნით;

თ) თესლბრუნვის მინდვრების მასივების, სამეურნეო ცენტრების, საგზაო ქსელის, საკოლმეურნეო ბრიგადებისა და საბჭოთა მეურნეობების განყოფილებების, ტყის ნარგავების, ბაღების, ვენახებისა და სხვ. შიგასამეურნეო მიწათმოწყობის დამტკიცებულ პროექტში ცვლილებათა შეტანა შეიძლება მოხდეს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ნებართვით.

2. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, პარტიის საოლქო კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, საქართველოს კპ რაიკომებს, რაიაღმასკომებს, სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოებსა და სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობების ტრესტებს უზრუნველყონ სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესვა და მრავალწლიანი ნარგავების გაშენება მეურნეობებისათვის დამტკიცებული თესლბრუნვის გეგმის შესაბამისად.

3. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს:

ა) მიიღოს ზომები, რათა 1966—1969 წლებში ყველა კოლმეურნეობას ექნეს მიწის უვადო (სამუდამო) სარგებლობის დაზუსტებული სახელმწიფო აქტები, ხოლო საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო მეურნეობებს — მიწის სარგებლობის უფლების აქტები;

ბ) სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოებსა და ტრესტებში იქონიოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების თესლბრუნვის რეგისტრაციის წიგნი, რომლის წარმოება დააკისროს სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოებისა და ტრესტების მთავარ აგრონომებს;

გ) შეიმუშაოს ინსტრუქცია თესლბრუნვის შემოღებისა და ათვისების შესახებ, აგრეთვე გადასინჯოს თესლბრუნვის წინათ მიღებული სქემები და დაუგზავნოს მეურნეობებს სახელმძღვანელოდ;

დ) რაიონულ საწარმოო სამმართველოებთან და ტრესტებთან მოაწყოს მთავარი აგრონომების ხელმძღვანელობით სპეციალისტთა ჯგუფები, რომლებსაც დააკისროს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შემოღებული თესლბრუნვის განხილვა და მისი ათვისებისადმი ხელმძღვანელობის განხორციელება;

ე) მოაწყოს აგრონომთა და მიწათმომწყობთა მოსამზადებელი ერთთვიანი კურსები თესლბრუნვის შემოღებისა და ათვისების საკითხებზე;

ვ) განსაზღვროს მრავალწლიან ნარგავთა გაშენების პერსპექტიული დავალებანი იმ მეურნეობებისათვის, სადაც წარმოებს თესლბრუნვის შემოღება, იმ ანგარიშით, რომ მათ გასაშენებლად გამოყოფილ იქნან შესაბამისი ნაკვეთები, რომლებიც თესლბრუნვაში არ შედიან.

4. დაწესდეს, რომ მეურნეობათა ხელმძღვანელებს — კოლმეურნეობების თავმჯდომარეებს, საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს და მთავარ აგრონომებს ეკისრებათ პირადი პასუხისმგებლობა დამტკიცებული თესლბრუნვის ათვისებისა და მინდვრებში სასოფლო-სამეურნეო კულტურების სწორად განლაგებისათვის.

5. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს შიგასამეურნეო მიწათმოწყობის ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია კოლმეურნეობებში თესლბრუნვის შემოღებასთან, გასწიოს მიწათმოწყობის სამუშაოებისათვის გათვალისწინებული სახსრების ანგარიშში.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტმა 1966 წლის დამლევამდე შეასრულოს საქართველოს სსრ სოფლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეურნეობის სამინისტროს შეკვეთა წიგნების, ინსტრუქციების, პლაკატებისა და ბროშურების გამოსაცემად თესლბრუნვის შემოღებისა და ათვისების საკითხებზე.

* * *

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს მოაწყონ საყოველთაო-სახალხო ბრძოლა მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის, ყველა კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის მიწებზე სანიმუშო წესრიგის დამყარებისათვის, თითოეულ ჰექტარზე უხვი და მყარი მოსავლის მიღებისათვის, იმისათვის, რომ დახმარება გაეწიოთ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს რაციონალური თესლბრუნვის შემოღების საქმეში.

საქართველოს კპ
ცენტრალური კომიტეტის მდივანი
**ვ. მჟავანაძე.**

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
**გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 20 ივლისი, № 445.

№ 4
ეროვნული
ბიბლიოთეკა

## 67 საქართველოს სსრ სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებისა და ჯანმრთელობის დაცვის შემდგომი გაუმჯობესების ზომების შესახებ

(ამონაკრები)

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ უკანასკნელ წლებში განხორციელდა გარკვეული ღონისძიებანი სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისათვის. მარტო 1963-1965 წლებში საექსპლუატაციოდ გადაეცა 12 რაიონული ცენტრალური საავადმყოფო, რომელთაგან თვითეულს აქვს 100 და მეტი საწოლი, ამასთან სამკურნალო დაწესებულებათა მატერიალური ბაზის განმტკიცებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები. ადგილობრივი საბჭოების სახსრებით აშენდა და შენდება თელავის, წითელწყაროს და ზუგდიდის რაიონებში რაიონული საავადმყოფოების 100-საწოლიანი კორპუსები. საკოლმეურნეობათაშორისო სახსრებით მახარაძეში აშენდა 100-საწოლიანი ტუბერკულოზური საავადმყოფო და ა. შ.

მიღწეულია მთელ რიგ ინფექციურ დაავადებათა (პოლიომიელიტი, დიფტერია, ბრუცელოზის ახალი შემთხვევები, მუცლის ტიფი, პარატიფები და ა. შ.), აგრეთვე ბავშვთა სიკვდილიანობის (14,5 პროცენტი) შემცირება.

გაუმჯობესდა სასოფლო ამბულატორიებისა და საავადმყოფოების დაკომპლექტება ექიმებით, გაფართოვდა სასწრაფო სამედიცინო დახმარების ქსელი, მარტო 1964-1965 წლების განმავლობაში სოფლად გაიგზავნა 365 ექიმი, ხოლო სასწრაფო სამედიცინო დახმარების სადგურების, განყოფილებებისა და პუნქტების ექიმთა შტატი ერთ წელიწადში 338 კაცით გადიდდა.

ამასთან ერთად, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების დონე ჯერ კიდევ დაბალია, რაც მნიშვნელოვანწილად იმით აიხსნება, რომ სოფლად არსებობენ მცირეგამტარუნარიანი საავადმყოფოები და საფერშლო-სამეანო პუნქტები. სასოფლო ამბულატორიებისა და საავადმყოფოების ექიმები მოკლებული არიან საშუალებას დაავადების დიაგნოსტიკისათვის ისარგებლონ სათანადო აპარატურით და ლაბორატორიული გამოკვლევებით, აგრეთვე ვიწრო სპეციალისტთა კონსულტაციით.

ჯანმრთელობის დაცვის მთელ რიგ სასოფლო დაწესებულებათა გახსნისას არ არის დაცული მოსახლეობის ტერიტორიული სამედიცინო მომსახურების პრინციპი, რის გამო მთელი რიგი წლების მანძილზე ისინი სისტემატურად არ არიან დატვირთული და უსარგებლოდ იხარჯება ფულადი სახსრები (მაგალითად, გაჭედილისა — გეგეჭკორის რაიონის, ნოსირისა — ცხაკაიას რაიონის, სიონისა — ყაზბეგის რაიონის, ჭალისა, ცაიშისა და საჩინოსი — ზუგდიდის რაიონის და სხვ.).

ცენტრალურ რაიონულ საავადმყოფოებში არ მოიპოვება ისეთი აუცილებელი სპეციალიზებული განყოფილებები, როგორიცაა ტრავმატოლოგიური უროლოგიური, ნევროლოგიური და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლიკლინიკებისა და რაიონული საავადმყოფოების პოლიკლინიკურ განყოფილებათა არსებული ქსელი ძირითადად მომსახურებას უწევს მხოლოდ რაიონული ცენტრის მოსახლეობას, რაც ხელს უშლის ვიწრო სპეციალისტთა დაახლოებას სოფელთან.

სასაწოლო ფონდის სიმცირის მიუხედავად, არ სრულდება სოფლის სამკურნალო დაწესებულებათა მშენებლობის გეგმა (1963 წელს — 93 პროცენტი, 1964 წელს — 83,5 პროცენტი, 1965 წელს — 91 პროცენტი).

რესპუბლიკის სავაჭრო ორგანიზაციები სრულად და დროულად არ ამარაგებენ სოფლის სამკურნალო დაწესებულებებს ძირითადი სახის კვების პროდუქტებით (კვერცხი, თევზი, რძე, ბოსტნეული, ხილი და ა. შ.).

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფენ ექიმებსა და საშუალო სამედიცინო პერსონალს უფასო კომუნალური მომსახურებით, რაც წარმოადგენს მათი დენადობის ძირითად მიზეზს.

სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. მოწონებულ იქნას საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული ღონისძიებანი, მიმართული სოფლის მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარების გაუმჯობესებისაკენ, № 1 დანართის თანახმად.

2. ღონისძიებათა კომპლექსი, № 1 დანართის თანახმად, იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად შეესაბამება სასაწოლო ფონდი და მედპერსონალის რაოდენობა მოცემული დასახლებული ადგილის მცხოვრებთა რაოდენობას, რამდენად საჭიროა ჯანმრთელობის დაცვის ამა თუ იმ ტიპის დაწესებულების მოწყობა და მათი სწორი დისლოკაცია, — ჩატარდეს ეტაპების მიხედვით: თელავის, წითელწყაროს, გურჯაანის, ზესტაფონის, წყალტუბოს, მაიაკოვსკის, გაგრის, კასპის, ხაშურის, მახარაძის, გორისა და საჩხერის რაიონებში — 1966 წელს, ხოლო დანარჩენ რაიონებში — 1966-1968 წლებში.

3. ნება დაერთოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დაამტკიცოს რეორგანიზებულ სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების თანამდებობათა დროებითი შტატი იმ საშტატო რაოდენობისა და საბიუჯეტო ასიგნობათა ფარგლებში, რომლებიც გათვალისწინებულია ჯანმრთელობის დაცვისათვის 1966-1970 წლებში.

4. დაევალოთ საქართველოს კპ აფხაზეთის, აჭარის და სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, პარტიის რაიონულ კომიტეტებს, მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს:

ა) 1966 წლის 15 სექტემბრისათვის განიხილონ სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების საკითხები და განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) ამავე ვადისათვის შეისწავლონ 5-15-25-საწოლიანი საავადმყოფოების, სასოფლო ამბულატორიების, საფერშლო-სამეანო პუნქტებ..ს, სამშობიარო სახლებისა და საკოლმეურნეო სამშობიარო სახლების მუშაობა, მათი დისლოკაცია, მატერიალური ბაზა და გამტარუნარიანობა.

თავიანთი წინადადებანი აღნიშნული დაწესებულებების გამსხვილებისა და სწორი დისლოკაციის, აგრეთვე სოფლად ჯანმრთელობის დაცვის განვითარების პერსპექტიული გეგმის შესახებ წარუდგინონ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს 1966 წლის 1 ოქტომბრამდე;

გ) ამიერიდან არ დაუშვან მშენებლობა 5-15-25-საწოლიანი საავადმყოფოებისა, რომლებმაც ვერ გაამართლეს თავიანთი დანიშნულება;

დ) ახალი სამედიცინო დაწესებულების მშენებლობის დამთავრებისა და საექსპლუატაციოდ გადაცემის შემდეგ განთავისუფლებული შენობები დატოვონ ჯანმრთელობის დაცვის ადგილობრივი ორგანოების გამგებლობაში.

ე) აკრძალონ საავადმყოფო საწოლების რაოდენობის გადიდება იმ ფართობების შემცირების ხარჯზე, რომლებიც გათვალისწინებულია მოქმედი სანიტარული ნორმებით;

ვ) უცილობლივ შეასრულონ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1938 წლის 23 აპრილის № 542 დადგენილება ექიმთა უფასო კომუნალური მომსახურებით უზრუნველყოფის შესახებ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 16 იანვრის № 37 განკარგულება სოფლად მომუშავე, საშუალო სამედიცინო განათლების მქონე საშუალო სამედიცინო პერსონალის უფასო კომუნალური მომსახურებით (ბინა, გათბობა, განათება) უზრუნველყოფის თაობაზე და მიიღონ საჭირო ზომები მედიცინის მუშაკთა შესანარჩუნებლად ადგილზე.

5. მიზანშეწონილად ჩაითვალოს სოფლად შემდეგი ტიპის სამედიცინო დაწესებულებათა მშენებლობის განხორციელება:

ა) ცენტრალური რაიონული საავადმყოფოები არანაკლებ 240-300 საწოლისა;

ბ) 35-საწოლიანი საუბნო საავადმყოფოები იმ ადგილებში, რომლებიც საგრძნობლად არიან დაშორებული რაიონულ ცენტრებს ან მოწყვეტილნი არიან მათ ზამთრობით (გზების ჩაკეტვასთან დაკავშირებით);

გ) სპეციალიზებული საავადმყოფოები არანაკლებ 50-100 საწოლისა;

დ) სასოფლო საექიმო ამბულატორიები;

ე) რაიონული სანეპიდსადგურები და რაიონული დისპანსერები.

6. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ:

ა) ამ ღონისძიებათა გატარების შედეგად განთავისუფლებული საშტატო ერთეულები გამოიყენოს რაიონული პოლიკლინიკების, სასოფლო საექიმო ამბულატორიების, სტაციონარებისა და სხვა სამედიცინო დაწესებულებათა გამსხვილებისათვის;

№ 4
ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) შექმნას გამსხვილებულ რაიონულ საავადმყოფოებში, თუ შესაბამისი ბაზა მოიპოვება, სპეციალიზებული საბავშვო, სამეანო-გინეკოლოგიური, თვალის, ონკოლოგიური, უროლოგიური, ტრავმატოლოგიური და სხვა განყოფილებები, დააკომპლექტოს ისინი სპეციალისტი ექიმებით;

დ) შექმნას რაიონულ ცენტრებში, ჯანმრთელობის დაცვის საბიუჯეტო ასიგნობათა ფარგლებში, დამოუკიდებელი რაიონული პოლიკლინიკები და სასწრაფო სამედიცინო დახმარების სადგურები ან განყოფილებები. მოაწესრიგოს სოფლის მოსახლეობის ლაბორატორიული და ფიზიოთერაპიული მომსახურების, აგრეთვე მაღალკვალიფიციური საკონსულტაციო დახმარების საქმე;

ე) სანიტარულ-ეპიდემიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა განხორციელებას თავი მოუყაროს რაიონულ სანიტარულ-ეპიდემიურ სადგურებში;

ვ) ახალგაზრდა სპეციალისტები, რომლებიც 1966-1970 წლებში ამთავრებენ სამედიცინო ინსტიტუტს, გაანაწილოს ძირითადად სოფელ ადგილებში, გეგმაზომიერად განახორციელოს სოფლად მომუშავე სამედიცინო პერსონალის სპეციალიზაცია და კვალიფიკაციის ამაღლება.

7. მოწონებულ იქნას წითელწყაროს, ზუგდიდისა და თელავის რაიონების ინიციატივა ცენტრალური რაიონული საავადმყოფოების მშენებლობისა და გამსხვილების შესახებ, აგრეთვე წითელწყაროს და ბოლნისის რაიონების ინიციატივა საკოლმეურნეო სახსრებით საექიმო ამბულატორიების მშენებლობის საკითხზე.

8. მიღებულ იქნას ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების წინადადება რაიონის მთავარი ექიმის აპარატის გამოყოფის შესახებ (ცენტრალური რაიონული საავადმყოფოების შტატების ხარჯზე) და დაეკისროს მას ჯანმრთელობის დაცვისადმი ხელმძღვანელობა რაიონში.

9. რჩევა მიეცეთ რესპუბლიკის კოლმეურნეობებს, სადაც საამისო მატერიალური შესაძლებლობანი მოიპოვება, განახორციელონ სასოფლო ამბულატორიების მშენებლობა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებული ტიპობრივი პროექტების მიხედვით.

10. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაამზადოს საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და 1967 წლიდან შეუდგეს სასოფლო ამბულატორიების მშენებლობას ცალკეულ საბჭოთა მეურნეობებში, სადაც ამას აუცილებლობა მოითხოვს.

11. სასოფლო ამბულატორიების მშენებლობა, რაც კოლმეურნეობათა სახსრებით ხორციელდება, დაეკისროს საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს.

12. ნება დაერთოს № 2[1]) დანართში აღნიშნულ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს ჩაატარონ 1966-1970 წლებში ცენტრალური რაიონული საავადმყოფოების გაფართოება, რისთვისაც ააშენონ დამატებითი კორპუსები გასავალზე შემოსავლის გადამეტების სახსრების ანგარიშში.

---

[1]) დანართი № 2 არ მოიყვანება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

13. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრომ შეიმუშაოს რესპუბლიკური 1100-საწოლიანი საავადმყოფოს მშენებლობის ღონისძიებანი, ამასთან გაითვალისწინოს მისი მშენებლობის დამთავრება 1968 წელს.

14. დაევალოს ცეკავშირის გამგეობას უზრუნველყოს სასოფლო სამედიცინო დაწესებულებათა შეუფერხებელი მომარაგება კვების პროდუქტებით დამტკიცებული ნორმების შესაბამისად.

15. დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს ყოველწლიურად გაითვალისწინოს არაცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდების ლიმიტის გამოყოფა ცენტრალური საავადმყოფოების გაფართოების უზრუნველსაყოფად, № 2 დანართის თანახმად.

18. დაევალოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას" გადასცეს ავტომანქანების სათადარიგო ნაწილები ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა ნორმატივების მიხედვით „საქმედტექნიკის" სამმართველოს.

19. საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრომ მისცეს მითითება კავშირგაბმულობის ადგილობრივ ორგანოებს უზრუნველყონ სასწრაფო სამედიცინო დახმარების სადგურები და განყოფილებები და სასოფლო საექიმო ამბულატორიები სატელეფონო კავშირით.

20. საქართველოს პროფსაბჭომ გაშალოს სოციალისტური შეჯიბრება სოფლის დასახლებული ადგილების კეთილმოწყობისა და ამ ადგილებში სანიტარული წესრიგის დამყარებისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან ერთად:

ა) დააწესოს გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემიები კოლმეურნეობებისა, სასოფლო საბჭოებისა და რაიონებისათვის, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ამ სოციალისტურ შეჯიბრებაში;

ბ) შეიმუშაოს სოციალისტური შეჯიბრების პირობები.

* * *

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები წარმატებით განახორციელებენ ამ დადგენილებით გათვალისწინებულ ღონისძიებებს და მიაღწევენ მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას და თავიანთ ღირსეულ წვლილს შეიტანენ სკკპ XXIII ყრილობის მიერ ჯანმრთელობის დაცვის საკითხებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა განხორციელების საქმეში.

საქართველოს კპ
ცენტრალური კომიტეტის მდივანი
**ვ. მჟავანაძე.**

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
**გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 20 ივლისი, № 446.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1966 წლის 20 ივლისის № 446
დადგენილების დანართი № 1

## ღონისძიებათა კომპლექსი,

**რომელიც უნდა განხორციელდეს სასოფლო რაიონებში იმ მიზნით, რომ გაუმჯობესდეს სამედიცინო დახმარების გაწევა სოფლის მოსახლეობისათვის**

გადაისინჯოს სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა დისლოკაცია და უზრუნველყოფილ იქნას:

— საფერშლო-სამეანო პუნქტების ლიკვიდაცია;

— სასოფლო-საექიმო ამბულატორიების მოწყობა;

— მცირე სასოფლო საავადმყოფოების ლიკვიდაცია;

— სასწრაფო სამედიცინო დახმარების სადგურების ან განყოფილებების მოწყობა;

— პოლიკლინიკური განყოფილებების გამოყოფა დამოუკიდებელ რაიონულ პოლიკლინიკებად, დაეკისროს პოლიკლინიკას რაიონის მოსახლეობის პოლიკლინიკური და ამბულატორიული დახმარების ხელმძღვანელობა და პოლიკლინიკების მუშაობისათვის პასუხისმგებლობა;

— ვიწრო სპეციალისტთა შტატების შექმნა რაიონულ პოლიკლინიკებში შემდეგი ანგარიშით: ერთი სპეციალისტი მოსახლეობის 10 ათას კაცზე;

— უბნის პედიატრების შეყვანა პოლიკლინიკების შტატში შემდეგი ანგარიშით: ერთი პედიატრი ყოველ 1500 ბავშვზე;

— მრავალპროფილიანი სპეციალიზებული განყოფილებების მოწყობა რაიონული საავადმყოფოების ბაზაზე;

— სასოფლო ამბულატორიების დეზინფექტორთა შტატების ლიკვიდაცია;

— ასაცრელი პუნქტების მოწყობა რაიონული სანეპიდსადგურების ბაზაზე და ვაქცინატორების თანამდებობათა შეტანა სასოფლო ამბულატორიების შტატში.

F 3009.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 68 რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ზომების შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების სპორტულმა ორგანიზაციებმა, სტუდენტთა ნებაყოფლობითმა სპორტულმა საზოგადოებამ „ქარიშხალამ" მიაღწიეს მოსწავლე ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდისა და სპორტული მომზადების რამდენადმე გაუმჯობესებას.

ამასთან ერთად, რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებსა და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის დაყენების საქმეს არსებითი ნაკლოვანებანი ახასიათებს, მეტ წილ უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში არ სრულდება მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის სახელმწიფო პროგრამა, ფიზიკურ კულტურასა და სპორტში ჩაბმულია სტუდენტთა უმნიშვნელო რაოდენობა. რესპუბლიკის წამყვანი უმაღლეს სასწავლებლების ბაზებში დღემდე არ არის შექმნილი სპორტული ოსტატობის ამაღლების გაერთიანებული ჯგუფები.

მთელ რიგ უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში წლითიწლობით არ სრულდება მაღალი კვალიფიკაციის სპორტსმენთა მომზადების გეგმა.

უმაღლესი სასწავლებლების რექტორები, საშუალო სპეციალური სასწავლებლების დირექტორები, აგრეთვე პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტები, ადგილობრივი პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები არ იღებენ სათანადო ზომებს სპორტულ ნაგებობათა ქსელის მშენებლობისა და გაფართოებისათვის.

ყველა უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებელში როდია შექმნილი სპორტსმენი მოსწავლეებისათვის იმის საჭირო პირობები, რომ წარმატებით შეახამონ სწავლება სპორტულ მეცადინეობასთან.

ჯერ კიდევ სუსტად ხორციელდება სამედიცინო კონტროლი იმ მოსწავლეთა ჯანმრთელობის მდგომარეობისადმი, რომლებიც სპორტულ სექციებსა და განყოფილებებში მეცადინეობენ.

რესპუბლიკური პროფკავშირული ორგანიზაციები, სამინისტროები და უწყებანი, რომელთა სისტემაში შედიან უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლები, საჭირო დახმარებას არ უწევენ მათ მასობრივი ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის ორგანიზაციის საქმეში.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. წინადადება მიეცეთ საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციონ ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებას უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში, უზრუნველყონ, რომ ამ სასწავლებლებმა შეასრულონ სტუდენტთა ფიზიკური აღზრდისა და მაღალი კვალიფიკაციის სპორტსმენთა მომზადების სახელმწიფო პროგრამა.

2. დაევალოთ საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირს, საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტს და პროფსაბჭოს, რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, სამინისტროებსა და უწყებებს, რომელთა გამგებლობაში იმყოფებიან უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლები, საქართველოს სტუდენტთა ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოება „ქარიშხალას" საბჭოს გადაჭრით გააუმჯობესონ უმაღლესი სასწავლებლებისა და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდა, მიაღწიონ მოსწავლე სპორტსმენთა სპორტული ოსტატობის შემდგომ ამაღლებას.

ამ მიზნით:

— უზრუნველყონ საწვრთნელი მუშაობა სპორტსმენ მოსწავლეებთან მთელი წლის განმავლობაში. გადასინჯონ და მიამაგრონ უმაღლესი სასწავლებლების სპორტულ სექციებს მწვრთნელ-მასწავლებელთა საუკეთესო კადრები, სპორტული ბაზები, გამოუყონ მათ ხარისხოვანი სპორტული ინვენტარი და მოწყობილობა;

— გააუმჯობესონ სასწავლებლების სპორტული ბაზების მოწყობილება, ფართოდ შემოიღონ სპორტულ ნაგებობათა მშენებლობა თვით მოსწავლეთა ძალებით;

— უმაღლესი სასწავლებლებისა და საშუალო სპეციალური სასწავლებლების ახალ შენობათა მშენებლობისა და არსებული შენობების გაფართოების დროს გაითვალისწინონ სპორტული ნაგებობანი მოსწავლეთა შორის სპორტული მეცადინეობის ჩატარებისა და მათი სპორტული ოსტატობის ამაღლებისათვის.

3. დაევალოთ საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების, კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროებს ყოველწლიურად ჩაატარონ სტუდენტთა რესპუბლიკური საზაფხულო სპორტული თამაშობანი სპორტის სულ ცოტა 20 სახეობაში მაინც, რომლებიც სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის პროგრამაში შედიან. ამ მიზნით:

— გაითვალისწინონ უმაღლესი, საშუალო და სპეციალური სასწავლებლების ხარჯთაღრიცხვებით ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია 18 დღემდე ხანგრძლიობის საწვრთნელი შეკრებების მოწყობასთან უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების სპორტული გუნდების მოსამზადებლად, რათა მათ მონაწილეობა მიიღონ შეჯიბრებებში სსრ კავშირის, სამინისტროების, სტუდენტთა ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოების „ქარიშხალას" ცენტრალური და რესპუბლიკური საბჭოების პირველობაზე, უმაღლეს სასწავლებელთა შორის სამატჩო შეხვედრებში — იმ საბიუჯეტო ასიგნობათა ფარგლებში, რაც დამტკიცებულია ფიზკულტურულ-სპორტული ღონისძიებებისათვის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შეუქმნან საჭირო პირობები სპორტსმენ მოსწავლეებს, ნაკრები გუნდების წევრებს, რათა წარმატებით შეახამონ სწავლება საწვრთნელ მეცადინეობასთან და სპორტული შეჯიბრებებისათვის ხარისხოვან მომზადებასთან, რისთვისაც გადაიყვანონ სპორტსმენი მოსწავლეები სწავლებისა და გამოცდების ჩაბარების ინდივიდუალურ გრაფიკზე სტიპენდიების შენარჩუნებით.

4. უმაღლესი, საშუალო და სპეციალური განათლების სამინისტრომ, რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების რექტორებმა იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას სასწავლო-საწვრთნელი მუშაობა სპორტული სრულყოფის გაერთიანებულ სასწავლო განყოფილებებში, გამოყონ ფიზიკური აღზრდის მასწავლებლები იმ საშტატო ერთეულების რიცხვიდან, რაც უმაღლეს სასწავლებლებს მიეცათ, 1966 — 1967 სასწავლო წლისათვის სტუდენტთა მისაღები კონტინგენტის გადიდებასთან დაკავშირებით.

5. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ:

— 1966 წლის დამლევამდე დაამთავროს საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის საცურაო აუზის გადაკეთება;

— გამოძებნოს სახსრები და საშტატო ერთეულები თბილისის სტუდენტთა ქალაქში სპორტულ-მასობრივი და გამაჯანსაღებელი მუშაობის გასაუმჯობესებლად.

6. წინადადება მიეცეს საქართველოს პროფსაბჭოს:

— განიხილოს საკითხი, რომ გაუდიდდეს სტუდენტთა ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოება „ქარიშხალას" საქართველოს რესპუბლიკურ საბჭოს ყოველწლიური ბიუჯეტი სასწავლო-სპორტული მუშაობის გასაფართოებლად, აგრეთვე, რომ გაიხსნას 1967 წელს ბავშვთა კომპლექსური სპორტული სკოლა საშუალო სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეებისათვის;

— გაადიდოს ასიგნობანი, რათა უზრუნველყოფილ იქნან სანატორიული მკურნალობით სპორტსმენები, რომლებიც ყველაზე მეტად საჭიროებენ ასეთ მკურნალობას;

7. განათლების, უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების, სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშაკთა, მედიცინის და კულტურის მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკურმა კომიტეტებმა, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პროფკავშირთა საოლქო საბჭოებმა, ქ. ქუთაისის, გორისა და თელავის განათლების, უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებათა პროფკავშირების საქალაქო კომიტეტებმა გააძლიერონ სპორტული უმაღლესი სასწავლებლების საქმიანობისადმი კონტროლი და ხელმძღვანელობა, გაუდიდონ მათ ასიგნობანი სპორტული მუშაობისათვის.

8. დაევალოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს უზრუნველყოს რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლები საჭირო საექიმო-სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



მედიცინო პერსონალით იმ სტუდენტებისადმი სათანადო სამედიცინო კონტროლის განსახორციელებლად, რომლებიც ფიზიკურ კულტურასა და სპორტში არიან ჩაბმული, აგრეთვე სუსტი ჯანმრთელობის მოსწავლეთა სპეციალური მეცადინეობის მოსაწყობად ფიზიკურ მომზადებაში.

9. ეთხოვოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, რომლის გამგებლობაში იმყოფებიან საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, საქართველოს ზოოტექნიკურ-ვეტერინარული ინსტიტუტი და საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი, აღმოუჩინოს ამ უმაღლეს სასწავლებლებს საჭირო საფინანსო დახმარება მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის გასაშლელად, სპორტულ ნაგებობათა და ორგანიზაციათა ქსელის გასაფართოებლად და სტუდენტთა საზაფხულო გამაჯანსაღებელი გაერთიანებული ბანაკების მოსაწყობად, აგრეთვე გამოუყოს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს დამატებით 4 საშტატო ერთეული სპორტული სრულყოფის გაერთიანებული სასწავლო განყოფილებათა მოსაწყობად.

10. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირმა და რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტრომ გადაწყვიტონ სტუდენტთა სრულიად საკავშირო საზაფხულო სპორტული თამაშობების მონაწილეთა სპორტული ფორმით უზრუნველყოფის საკითხი.

11. ნება დაერთოს საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს ჩაატაროს მოსამზადებელი საწვრთნელი შეკრებანი სტუდენტთა საკავშირო საზაფხულო თამაშობებისათვის 30 დღემდე ხაწგრძლიობით.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი
**ვ. მჟავანაძე**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
**გ. ჯავახიშვილი**

ქ. თბილისი, 1966 წ. 27 ივლისი, № 465.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 69 საქართველოს სს რესპუბლიკაში მასობრივი ტურიზმის შემდგომი განვითარების შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ საქართველოს პროფსაბჭომ, ტურიზმის რესპუბლიკურმა საბჭომ და ნებაყოფლობითმა სპორტულმა საზოგადოებებმა უკანასკნელი წლების მანძილზე გარკვეული მუშაობა გასწიეს რესპუბლიკის მშრომელთა შორის მასობრივი ტურიზმის განვითარებისათვის.

ფიზკულტურის დიდ კოლექტივებში შექმნილია ტურისტული სექციები; მოეწყო ტურისტთა 44 საქალაქო და რაიონული კლუბი, შემუშავდა ახალი, საინტერესო მარშრუტები, რომლებითაც ტარდება ტურისტული ლაშქრობები და ექსკურსიები. ფართოდ გავრცელდა მოგზაურობა ტურისტული მატარებლებით, რომლებიც სისტემატურად ეწყობა რესპუბლიკის მშრომელებისათვის. მომზადებულია ტურისტთა საზოგადოებრივი კადრები. გაფართოვდა ტურიზმის მატერიალური ბაზა — აშენდა ახალი ტურისტული ბაზები, აგებულია ქალაქები თვითმოქმედ ტურისტთა მიღებისა და მომსახურებისათვის; კეთილმოწყობილი გახდა არსებული ბაზების უმეტესობა; გამოდის მხატვრული მეგზურები, პროსპექტები და ბუკლეტები, რომლებიც ახდენენ რესპუბლიკის ღირსშესანიშნავი ადგილების პოპულარიზაციას.

ამასთან ერთად მასობრივი ტურიზმის განვითარების საქმეში ჯერ კიდევ არის არსებითი ნაკლოვანებანი. არადამაკმაყოფილებლად ხორციელდება ტურისტული სექციების შექმნა ფიზკულტურის კოლექტივებში. ტურისტთა ბევრ კლუბს არ გააჩნია სადგომები, ისინი გავლენას ვერ ახდენენ ტურისტული სექციების მუშაობაზე და არ გამხდარა ტურიზმის ორგანიზაციულ-მეთოდური ცენტრები. მთელ რიგ რაიონებში ეს კლუბები ჯერ კიდევ არ არის შექმნილი. საკმაოდ არ არის გამოყენებული საზოგადოებრივი აქტივი, რის შედეგადაც მოსახლეობის ძირითადი მასა მონაწილეობას არ იღებს ტურისტულ-საექსკურსიო ღონისძიებებში.

ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები სუსტად ხელმძღვანელობენ ტურისტული ორგანიზაციების მუშაობას და არ უწევენ მათ საჭირო დახმარებას.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. წინადადება მიეცეთ პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმას, რომ განვითარდეს მასობრივი ტურიზმი, როგორც ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი საშუალება მშრომელთა ჯანმრთელობის განმტკიცებისა, აქტიური დასვენებისა და მათი აღზრდისა მაღალი იდეურობის და კომუნიზმისადმი ერთგულების, საბჭოთა პატრიოტიზმის, მეგობრობის, ამხანაგობისა და ურთიერთდახმარების სულისკვეთებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გააძლიერონ ტურიზმის საბჭოების, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების, სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის, პროფკავშირთა ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოების და ტურისტთა საზოგადოებრივი აქტივის პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ ხარისხიანად და ორგანიზებულად ჩატარდეს მასობრივი ტურისტული ლაშქრობები გამოსასვლელ დღეებში, ექსკურსიები მშობლიური მხარის შესასწავლად, მრავალდღიანი ტურისტული მოგზაურობანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ფართოდ გაცნობას კომუნიზმის მშენებლობაში საბჭოთა ხალხის წარმატებებთან, კულტურასთან, ეკონომიკასა და ბუნებასთან.

2. მოწონებულ იქნას საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის, ტურიზმის რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის და არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების რესპუბლიკური კომიტეტის ერთობლივი გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ჩატარდეს 1966 — 1967 წლებში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ტურისტული ლაშქრობები საბჭოთა ხალხის რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი დიდების ადგილებში.

ჩაატარონ გულმოდგინე მოსამზადებელი მუშაობა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის დღესასწაულისათვის.

3. წინადადება მიეცეს საქართველოს პროფსაბჭოს:

ა) გადაიტანოს ტურიზმის განვითარებისათვის პრაქტიკული მუშაობის სიმძიმის ცენტრი უშუალოდ საწარმოებში, დაწესებულებებში, სასწავლებლებში, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს არსებული ტურისტული სექციების ორგანიზაციულ განმტკიცებას და ახალი სექციების შექმნას, დიდძალი მუშის, მოსამსახურის, სოფლის მშრომელისა და მოსწავლე ახალგაზრდობის მონაწილეობას ტურისტულ-საექსკურსიო ღონისძიებებში.

დაევალოთ ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებებს გაშალონ მუშაობა ტურისტთა საზოგადოებრივი კადრების და ტურიზმის თანრიგოსანთა მომზადებისათვის;

ბ) მოაწყოს ყველა ქალაქსა და რაიონში ტურისტთა კლუბები კულტურის სასახლეებისა და სახლების, პროფკავშირების სპორტულ და სხვა ნაგებობათა ბაზაზე და გადააქციოს ისინი ტურიზმის ნამდვილ ორგანიზაციულ-მეთოდურ ცენტრებად;

გ) გააძლიეროს მეთოდური ხელმძღვანელობა მშრომელთა საექსკურსიო მომსახურებისადმი, როგორც იდეოლოგიური მუშაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებისადმი, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა ფართო ახსნა-განმარტებასა და პროპაგანდას;

დ) ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებთან ერთად, ყოველწლიურად განამტკიცოს ტურიზმის საბჭოების აპარატები, ტურისტული ბაზები და საექსკურსიო ბიუროები მაღალკვალიფიციური კადრებით, მათი საქმიანი და პოლიტიკური თვისებების გათვალისწინებით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე) გამოიჩინოს მუდმივი მზრუნველობა ტურისტთა საზოგადოებრივი აქტივის ზრდისათვის და ფართოდ მოიზიდოს იგი ტურიზმის ხელმძღვანელობისათვის.

4. დაევალოს საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტს ჩააბას კომკავშირელთა ფართო მასა, მუშა და მოსწავლე ახალგაზრდობა ტურიზმის მეცადინეობაში. ტურისტულ-საექსკურსიო ორგანიზაციებთან მჭიდრო კონტაქტით განახორციელოს მასობრივი ღონისძიებანი, მიძღვნილი ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში მომხდარი დიდი მოვლენებისა და საიუბილეო თარიღებისადმი.

5. წინადადება მიეცეთ რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს მიიღონ წილობრივი მონაწილეობა საწარმოთა ფონდებისა და დაფინანსების სხვა არაცენტრალიზებული წყაროების ხარჯზე ტურისტულ-გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა მშენებლობაში, რასაც ახორციელებს ტურიზმის რესპუბლიკური საბჭო.

ამავე დროს მიიღონ ქმედითი ზომები საწარმოთა, დაწესებულებათა და სასწავლებელთა ტურისტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკების ქსელის გასაფართოებლად.

6. ვინაიდან დიდი მნიშვნელობა ენიჭება ტურიზმის ობიექტების გადაცემას საექსპლუატაციოდ, დაევალოს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს უცილობლივ და ხარისხიანად აითვისოს კაპიტალურ დაბანდებათა დაწესებული მოცულობა და შეასრულოს ობიექტების საექსპლუატაციოდ გადაცემის ყოველწლიური გეგმები.

7. დაევალოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს:

ა) მოაწყოს ტურისტული ბაზების შეუფერხებელი მომარაგება კვების პროდუქტებით, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს რძის ნაწარმსა, საადრეო ბოსტნეულსა და ხილზე არსებული მოთხოვნილების დაკმაყოფილებას;

ბ) გახსნას ქ. თბილისში ტურისტული საჭურვლისა და ინვენტარის გასაყიდი სპეციალიზებული მაღაზია.

8. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა შეიტანოს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს გეგმაში ტურიზმის რესპუბლიკური საბჭოსათვის შესაძლო რაოდენობის ავტობუსების კაპიტალური რემონტი.

9. დაევალოს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს:

ა) უზრუნველყოს ტურისტთა საექსკურსიო ბიურო და კლუბები საჭირო რაოდენობის ტექნიკურად გაწყობილი, კომფორტული ავტობუსებით საათობრივი საზღაურის მიხედვით, რომლებიც მომსახურებას გაუწევენ ადგილობრივ მოსახლეობას ტურისტულ-საექსკურსიო ღონისძიებათა განხორციელების საქმეში;

ბ) იმისათვის, რომ ექსკურსიები გახდეს სრულფასოვანი და უზრუნველყოფილ იქნას საექსკურსიო ობიექტების თვალსაჩინო ჩვენება 1966-1967 წლებ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ში, მიიღოს ტურიზმის რესპუბლიკური საბჭოსაგან 8 სატვირთო ავტომანქანა და გადააკეთოს ისინი „ტორპედოს“ ტიპის ღია ავტობუსებად.

10. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გზატკეცილების მთავარ სამმართველოს მიიღოს ზომები, რათა უზრუნველყოფილ იქნას ავტოტრანსპორტის გავლა საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზაზე მაჭარა—კლიჩი (94 კმ მანძილი) და რესპუბლიკური მნიშვნელობის გზებზე — ჟინვალი—ბარისახო—დათვისჯვარი (მანძილი 74 კმ), ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმთან მისასვლელ გზაზე სოფ. ჩარგალში (3 კმ მანძილი), ჯავა — როკის გზაზე (36 კმ მანძილი), 1966 წლის საექსპლუატაციო სახსრების ხარჯზე.

11. დაევალოთ ონის, გეგეჭკორის, მესტიისა და გორის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს მიიღონ ზომები, რათა მოყვანილ იქნან ნორმალურ სავალ მდგომარეობაში ადგილობრივი მნიშვნელობის გზები: ღები—გლოლა, გეგეჭკორი — მარტვილის ტაძარი, მესტია — კალა, შიხრა — ბეჩო და გორი — უფლისციხე.

12. დაევალოს ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს უზრუნველყოს ტურისტთა შეუფერხებლივ გადაყვანა ტურიზმის რესპუბლიკური საბჭოს განაცხადების თანახმად, აგრეთვე გამოყოს დასვენების წინა და დასვენების დღეებში სპეციალური შემადგენლობანი „ჯანმრთელობის მატარებლების“ მოსაწყობად.

13. რესპუბლიკური გაზეთების რედაქციებმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტმა ფართო პროპაგანდა გაუწიონ ტურიზმს გაზეთების ფურცლებზე, რადიოთი და ტელევიზიით.

14. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტს მნიშვნელოვნად გააფართოოს მეგზურების, პროსპექტების, ბუკლეტების, აგრეთვე სასწავლო-მეთოდური დამხმარე სახელმძღვანელოების გამოშვება რესპუბლიკის ტურისტული მარშრუტებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების პროპაგანდისა და პოპულარიზაციის მიზნით.

| | |
|---|---|
| საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვ. მჟავანაძე.** | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.** |

ქ. თბილისი, 1966 წ. 6 აგვისტო, № 476.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 70 მარცვლეული და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი და მყარი მოსავლის მოსაყვანად მიწების მელიორაციის ფართოდ განვითარების შესახებ[1])

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1966 წლის მაისის პლენუმის და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის 1966 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, განსახორციელებლად სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 16 ივნისის № 465 დადგენილებისა „მარცვლეული და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი და მყარი მოსავლის მოსაყვანად მიწების მელიორაციის ფართოდ განვითარების შესახებ“, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურმა გაერთიანებამ „საქსოფლტექნიკამ“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს კპ საოლქო, რაიონულმა და საქალაქო კომიტეტებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომმა, საქალაქო აღმასკომებმა, რაიაღმასკომებმა, სოფლის მეურნეობის რაიონულმა საწარმოო სამმართველოებმა, ადგილობრივმა წყალსამეურნეო ორგანოებმა, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა:

— გაშალონ საყოველთაო-სახალხო ბრძოლა მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებისა და მიწების ნაყოფიერების გადიდებისათვის, რესპუბლიკის მიწების მელიორაციის ფართო პროგრამის განხორციელებისათვის, მიიჩნიონ ეს საქმე უმნიშვნელოვანეს საერთო სახელმწიფოებრივ ამოცანად;

— განახორციელონ ღონისძიებანი, რათა უაღრესად სრულად და ნაყოფიერად გამოიყენონ თითოეული ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, ფართოდ განავითარონ მიწების რწყვა, დაშრობა და გაწყლიერება, გააუმჯობესონ მდელოები და საძოვრები, გაწმინდონ მიწები ქვებისაგან, ჯაგნარისა და ბუჩქნარისაგან, აღმოფხვრან ნაკვეთების წვრილკონტურულობა, გააკირიანონ და გაათაბაშირონ ნიადაგები;

— განუხრელად შეასრულონ ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიისაგან, დაჭაობებისა და დამლაშებისაგან ნიადაგების დაცვის მოთხოვნები; განახორციელონ, სადაც ეს საჭიროა, მინდორსაცავი ნარგავების გაშენება და ფერდობებისა და ხევების მოტყევება;

— უზრუნველყონ სწორი თესლბრუნვების შემოღება და ათვისება, მიწათმოქმედების ყველაზე ეფექტიანი სისტემების დანერგვა ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით; უზრუნველყონ დარაიონებული მაღალხარისხოვანი

[1]) დანართები არ არის მოყვანილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯიშიანი თესლის თესვა მთელ ფართობზე, ორგანული და მინერალური სასუქების გამოყენების გაუმჯობესება, მიწების ზუსტი აღრიცხვა და მათი ხარისხიანი მდგომარეობა.

2. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ, რესპუბლიკურმა გაერთიანებამ „საქსოფლტექნიკამ", პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა დახმარება გაუწიონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს კონკრეტულ ღონისძიებათა გეგმების შემუშავების, ნიადაგების ნაყოფიერების გადიდების, მიწების მელიორაციისა და თვითეული ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ეფექტიანად გამოყენების საქმეში.

3. დაგმობილ იქნას, როგორც მანკიერი პრაქტიკა, როდესაც სამრეწველო ობიექტების, გზების, ელექტროგადაცემის ხაზებისა და სხვა არასასოფლო-სამეურნეო საჭიროებებისათვის სრულიად უსაფუძვლოდ გამოყოფენ კარგ სახნავ და სხვა სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს, განსაკუთრებით სარწყავ, დაშრობილ და ნოლა მიწებს.

დაწესდეს, რომ მიწის ნაკვეთების გამოყოფა აღნიშნული მიზნებისათვის უნდა ხდებოდეს, როგორც წესი, ცუდი ან სოფლის მეურნეობისათვის გამოუსადეგარი მიწების ხარჯზე, ამასთან სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზარალი, რაც დაკავშირებულია მიწების გამოყოფასთან, კომპენსირებულ და გათვალისწინებულ უნდა იქნას ობიექტების მშენებლობაზე დანახარჯების ანაზღაურების განსაზღვრის დროს.

4. იმის გამო, რომ მთელ რიგ მეურნეობებში უყურადღებოდ მიტოვებულია სარწყავი და დაშრობილი მიწები და ასეთი მიწების მნიშვნელოვანი რაოდენობა გამოუყენებელი რჩება, მოეთხოვოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, საქალაქო აღმასკომებს, რაიაღმასკომებს, სოფლის მეურნეობის რაიონულ საწარმოო სამმართველოებს, ადგილობრივ წყალსამეურნეო ორგანოებს, კოლმეურნეობებს და საბჭოთა მეურნეობებს ბოლო მოუღონ სარწყავი და დაშრობილი მიწების გამოყენებისადმი უდარდელი დამოკიდებულების ფაქტებს და სათანადო წესრიგი დაამყარონ ამ საქმეში.

### სარწყავი მიწათმოქმედების განვითარების შესახებ

5. განხორციელდეს 1966 — 1975 წლებში დაახლოებით 160 — 180 ათასი ჰექტარი მიწების მორწყვისა და სასოფლო-სამეურნეო ათვისების სამუშაოთა პროგრამა.

დაევალოთ საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, შესაბამის სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა მონაწილეობით, შეიმუშაონ და 1967 წლის დამლევისათვის წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებული კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ სარწყავი მიწათმოქმედების განვითარებას 1971 — 1975 წლებისათვის, ამასთან გაითვალისწინონ ამ ღონისძიებებით მიწების მორწყვა დაახლოებით 100 — 120 ათას ჰექტარზე, რაც განაწილდეს რაიონებისა და წლების მიხედვით. მნიშვნელოვნად აამაღლონ მთელი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა სარწყავ მიწებზე იმ ანგარიშით, რომ უზრუნველყოფილ იქნას ხორბლის, სიმინდის, შაქრის ჭარხლის, კარტოფილის, ბოსტნეულის, საკვების, ხილის, ყურძნის, ჩაის, ციტრუსოვანთა ნაყოფის, თამბაქოს, ეთერზეთოვანი ნედლეულისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოების მყარი ზრდა.

გააძლიერონ მიწათმოსარგებლეთა პასუხისმგებლობა სარწყავი მიწების ეფექტიანად გამოყენებისა და იმისათვის, რომ წესიერ მდგომარეობაში იქნას შენახული შიდასამეურნეო სარწყავი და საკოლექტორო-სადრენაჟო ქსელი.

გააუმჯობესონ სახელმწიფო სარწყავი სისტემების, არხებისა და კოლექტორების ექსპლუატაცია; უზრუნველყონ წყლის მომჭირნეობით და სწორად გამოყენება, შეამცირონ არხებიდან წყლის ფილტრაციის დანაკარგები; აღჭურვონ სარწყავი სისტემების საექსპლუატაციო სამმართველოები საჭირო ტექნიკით და განამტკიცონ სპეციალისტთა კადრებით.

ყოველნაირად დაუჭირონ მხარი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ინიციატივას, რათა მორწყან მიწების მცირე ნაკვეთები თავიანთი სახსრებისა და ბანკის კრედიტების ხარჯზე.

6. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს ერთი თვის ვადაში წარუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს წინადადებანი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საკუთარი სახსრების ხარჯზე მიწების მორწყვა-დაშრობის სამუშაოთა მოცულობის შესახებ.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გაითვალისწინოს 1966 — 1970 წლების გეგმით, აგრეთვე წლიური გეგმებით, რომ გამოეყოს მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს საჭირო ლიმიტები საპროექტო-საძიებო და საიჯარო სამუშაოებისათვის და ხელფასის ფონდი, აგრეთვე ის, რომ გამოეყოთ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, რომლებიც სამელიორაციო სამუშაოებს ასრულებენ თავიანთი სახსრებით, საჭირო საშენი მასალები და მოწყობილობა.

7. საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ უზრუნველყოს 1966 — 1970 წლებში ახალი სარწყავი მიწების გადაცემა საექსპლუატაციოდ 60 ათას ჰექტარ ფართობზე, სარწყავი მიწების დაგეგმვა — 10 ათას ჰექტარ ფართობზე, სარწყავი სისტემების წყლით უზრუნველყოფის ამაღლება და სარწყავი ქსელის გადაკეთება 148 ათას ჰექტარ ფართობზე, ამასთან, აღნიშნული სამუშაოები განაწილდეს №№ 1 და 2 დანართების თანახმად.

შეხ. 70 / ეროვნული ბიბლიოთეკა

8. დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას" უზრუნველყონ, რომ:

— გამოეყოთ კოლმეურნეობებს და საბჭოთა მეურნეობებს ნათესებისა და ნარგავებისათვის სარწყავ მიწებზე მინერალური სასუქები სრული მოთხოვნილების ოდენობით, აგრეთვე საჭირო რაოდენობის ტრაქტორები, სასოფლო-სამეურნეო მანქანები და ავტომობილები;

— დახმარება გაეწიოთ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს სპეციალისტებით დაკომპლექტების საქმეში იმ ანგარიშით, რომ უახლოესი წლების მანძილზე მიწების რწყვის ზონაში თვითეულ მეურნეობას ჰყავდეს კვალიფიციური ჰიდროტექნიკოსები და აგრონომები;

— სრულყოფილ იქნას კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა შრომის ორგანიზაცია, გაუმჯობესდეს მუშაობა სასოფლო-სამეურნეო კულტურების სელექციისა და მეთესლეობისათვის, დაინერგოს სარწყავ მიწათმოქმედებაში მეცნიერებისა და წარმოების მოწინავეთა მიღწევები.

9. სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი მოსავლის მოსაყვანად სარწყავ მიწებზე აგროტექნიკისა და რწყვის ტექნიკის შემდგომი სრულყოფის მიზნით, დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მოაწყოს 1966 — 1967 წლებში ვარკეთილის მევენახეობის და ბრეთის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობების ბაზაზე სარწყავი მიწათმოქმედების საცდელ-საჩვენებელი საბჭოთა მეურნეობები.

10. დაევალოს საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს შეასრულოს 1966 — 1970 წლებში საძოვრების გაწყლიერების სამუშაოები 62 ათას ჰექტარ ფართობზე და წყალსამეურნეო ნაგებობათა რეკონსტრუქცია წინათ გაწყლიერებული საძოვრების 288 ათას ჰექტარ ფართობზე, № 3 დანართის თანახმად.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს კპ რაიკომებმა და რაიაღმასკომებმა უზრუნველყონ სამეურნეო ცენტრების სეზონურ საძოვრებზე საჭირო რაოდენობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო სადგომების მშენებლობა კოლმეურნეებისა და სამთაბარო მეცხოველეობაში დასაქმებული საბჭოთა მეურნეობების მუშებისათვის.

11. დაევალოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას" მიიღოს ზომები მეცხოველეობის სამანქანო სადგურების და რაზმების მუშაობის გაუმჯობესებისათვის; მოაწყოს 1966 — 1968 წლებში მეცხოველეობის 6 სამანქანო სადგური.

### ჭარბტენიან ზონაში სამელიორაციო სამუშაოთა განვითარების შესახებ

12. განხორციელდეს 1966—1975 წლებში დაახლოებით 200—210 ათასი ჰექტარი მიწის დაშრობა, რეკონსტრუქცია და სასოფლო-სამეურნეო ათვისება.

დაევალოს საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს უზრუნველყოს 1966 — 1970 წლებში ზედმეტად დატენიანებული და დაჭაობიანებული მიწების ამოშრობა 23,4 ათას ჰექტარზე და წინათ აშენებული ამოსაშრობი სისტემების რეკონსტრუქცია 66,6 ათას ჰექტარ ფართობზე, ამასთან შესრულდეს ამ მიწებზე კულტურულ-ტექნიკურ სამუშაოთა საჭირო კომპლექსი, № 4 დანართის თანახმად.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ, რესპუბლიკურმა გაერთიანებამ „საქსოფლტექნიკამ“, საქართველოს კპ აფხაზეთის და აჭარის საოლქო კომიტეტებმა, საქალაქო კომიტეტებმა, რაიონულმა კომიტეტებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, საქალაქო აღმასკომებმა, რაიონულმა საწარმოო სამმართველოებმა, ადგილობრივმა წყალსამეურნეო ორგანოებმა:

— გააძლიერონ მიწათმოსარგებლეთა პასუხისმგებლობა დაშრობილი მიწების ეფექტიანად გამოყენებისათვის; უზრუნველყონ ამოსაშრობი სისტემების სწორი ტექნიკური ექსპლუატაცია და მათი შენახვა წესიერ მდგომარეობაში, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ შიდასამეურნეო ამოსაშრობი ქსელის შენახვის გაუმჯობესებას, რისთვისაც გამოყონ საჭირო რაოდენობის მერემონტეები;

— ფართოდ გაშალონ მუშაობა კოლხეთის დაბლობის დაჭაობიანებული და ზედმეტად დატენიანებული მიწების დაშრობისა და სასოფლო-სამეურნეო ათვისებისათვის;

— გამოუყონ კოლმეურნეობებს და საბჭოთა მეურნეობებს ნათესებისა და ნარგავებისათვის საჭირო რაოდენობის მინერალური სასუქი; უზრუნველყონ ორგანული სასუქების გამოყენების მნიშვნელოვანი გადიდება და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციის დანერგვა.

13. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მოაწყოს 1966 — 1970 წლებში კოლხეთის დაბლობის დაშრობილ მიწებზე 21 საბჭოთა მეურნეობა — ჩაის, სუბტროპიკული, მეხილეობა-მებოსტნეობის და მერძევეობის საბჭოთა მეურნეობები.

საბჭოთა მეურნეობები შეიქმნას იმის მიხედვით, თუ როგორ შეასრულებს საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო პროექტით გათვალისწინებულ სამელიორაციო და კულტურულ-ტექნიკურ სამუშაოთა კომპლექსს.

14. იმ მიზნით, რომ გაუმჯობესდეს სამელიორაციო სამუშაოთა ორგანიზაცია და გაძლიერდეს პასუხისმგებლობა ამ სამუშაოთა დროულად და ხარისხიანად შესრულებისათვის, დაწესდეს, რომ 1967 წლიდან საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო განახორციელებს მიწების ამოშრობისა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ძირეული გაუმჯობესების მთელ სამუშაოებს, ყველა სახის კულტურულ-ტექნიკურ სამუშაოთა ჩათვლით, კოლხეთის დაბლობის ზონაში.

რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკა“ ყველგან ჩაატარებს ნიადაგების გაკირიანებისა და გათაბაშირების სამუშაოებს, აგრეთვე სასოფლო-სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეურნეო სავარგულების გაუმჯობესების კულტურულ-ტექნიკურ სამუშაოებს, გარდა კოლხეთის დაბლობისა.

15. დაევალოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“ უზრუნველყოს 1966—1970 წლებში ნიადაგების გათაბაშირების, გაკირიანების და სხვა კულტურულ-ტექნიკურ სამუშაოთა ჩატარება წლების მიხედვით, № 5 დანართის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა განიხილოს და გადაწყვიტოს საკითხები, რომ მთლიანად იქნას უზრუნველყოფილი სოფლის მეურნეობის საჭიროებანი კირის მასალასა და დეფეკატზე მჟავე ნიადაგების გასაკირიანებლად.

16. საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ შეიმუშაონ და 1967 წლის დამლევამდე წარუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს მიწების ძირეული გაუმჯობესების კონკრეტული ღონისძიებანი 1971—1975 წლებისათვის, ამასთან გაითვალისწინონ ამ ღონისძიებებით მიწების დაშრობა დაახლოებით 110—120 ათას ჰექტარ ფართობზე.

კოლხეთის დაბლობის დაშრობილ მიწებზე სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი მოსავლის მოსაყვანად აგროტექნიკის შემდგომი სრულყოფის მიზნით, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მოაწყოს 1967 წელს საცდელ-საჩვენებელი საბჭოთა მეურნეობა „კოლხეთი“ ხობის რაიონში.

17. მიზანშეწონილად ჩაითვალოს შეიქმნას საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სარწყავ და მელიორირებულ მიწებზე მიწათმოქმედების სამმართველოში კოლხეთის დაბლობის მიწების ათვისების განყოფილება 5 ერთეულის რაოდენობით. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინონ წინადადებანი აღნიშნული სამმართველოს შტატის 5 ერთეულით გადიდების შესახებ.

18. საჭიროდ ჩაითვალოს, რომ ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა წარმართოს თავისი მუშაობა ძირითადად იმ საკითხების შესწავლისა და გადაწყვეტისაკენ, რომლებიც დაკავშირებულია კოლხეთის დაბლობის დაშრობილი მიწების რაციონალურად ათვისებასთან.

ეთხოვოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს გადასინჯოს ამ მიმართულებით ინსტიტუტის თემატიკური გეგმა.

19. დაევალოთ საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს და მის საპროექტო ინსტიტუტს „საქსახწყალპროექტს“ შეადგინონ 1967—1968 წლებში ერთიანი კომპლექსური სქემა კოლხეთის დაბლობის მთელი მიწების მელიორაციისა და ათვისებისა 220 ათას ჰექტარ ფართობზე, ამასთან მონაწილეობა მიიღებინონ ამ მუშაობაში საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, აგრეთვე საპროექტო ინსტიტუტის — „საქსოფლმშენპროექტის“, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის, ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიწათმოწყობის საპროექტო ინსტიტუტის — „საქსახმიწპროექტის“ და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის სპეციალისტებს.

20. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიიღოს ზომები ბალახების თესლის წარმოების მკვეთრად გადიდებისათვის, ამასთან იქონიოს მხედველობაში, რომ საჭიროა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მოთხოვნილების სრულად დაკმაყოფილება ამ თესლზე; მოაწყოს საჭიროების შემთხვევაში მეთესლეობის სპეციალიზებული მეურნეობანი.

21. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის მთავარმა სამმართველომ მოაწყოს მრავალწლიან ბალახთა თესლის მიღება მათი სასაქონლო წარმოების რაიონებში იმის გათვალისწინებით, რომ უზრუნველყოფილ იქნას თესლის გაშრობა, გაწმენდა და შენახვა.

### წყალსამეურნეო სისტემებისა და ნაგებობათა დაპროექტების გაუმჯობესების შესახებ

22. წყალსამეურნეო სამუშაოთა მოცულობის მკვეთრად გადიდებასთან და წყალსამეურნეო სისტემებისა და ნაგებობათა დაპროექტების ძირეულად გაუმჯობესების აუცილებლობასთან დაკავშირებით:

— დაევალოს საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს განამტკიცოს საპროექტო ინსტიტუტი „საქსახწყალპროექტი“ სამელიორაციო სისტემების დამპროექტებელ სპეციალისტთა კვალიფიციური კადრებით;

— ნება დაერთოს საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს მოაწყოს საქსახწყალპროექტის ცენტრალურ აპარატში მოწყობილობისა და ტრანსპორტის განყოფილება ინსტიტუტის პერსონალის საერთო რაოდენობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში;

— ნება დაერთოს საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს საქართველოს პროფსაბჭოსთან შეთანხმებით გამოიყენოს შრომის აკორდული და სანარდო ანაზღაურება საპროექტო ინსტიტუტის საქსახწყალპროექტის ცალკეული კატეგორიების მუშაკებისათვის ხელფასის იმ ფონდის ფარგლებში, რაც დაწესებულია ამ ინსტიტუტისათვის;

— საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრომ 1966 წლის დამლევამდე დაამთავროს საპროექტო ინსტიტუტის—საქსახწყალპროექტის საწარმოო შენობის მშენებლობა და მისი გადაცემა საექსპლუატაციოდ;

— საქართველოს სსრ სახმშენმა გადასინჯოს საპროექტო ინსტიტუტის — საქსახწყალპროექტის შენდებადი საწარმოო შენობის პროექტი იმის გათვალისწინებით, რომ ამოღებულ იქნან პროექტიდან გარეშე ორგანიზაციები და ინსტიტუტმა გამოიყენოს განთავისუფლებული ფართობი საწარმოო მიზნებით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გამოუყოს საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს საჭირო მასალები და მოწყობილობა საქსახწყალპროექტის საწარმოო შენობის მშენებლობის დასამთავრებლად, აგრეთვე მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განსამტკიცებლად.

23. დაევალოს საქართველოს სსრ ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს 1967 წლის დამლევამდე დაამზადოს თავის საწარმოებში საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს შეკვეთით 32 ათასი მანეთის სპეციალური ავეჯი საქსახწყალპროექტის ახალი საწარმოო შენობისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გაითვალისწინოს, რომ გამოეყოს 1967 წელს საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს ლიმიტი აღნიშნული ინვენტარის შესაძენად.

24. დაწესდეს, რომ 2,5 მილიონ მანეთამდე სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ობიექტები (გარდა საკავშირო დაქვემდებარების ობიექტებისა) ექვემდებარებიან სახელმწიფო ექსპერტიზას და მათ საპროექტო დავალებებს დაამტკიცებს საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო.

## წყალსამეურნეო სამშენებლო ორგანიზაციების საწარმოო ბაზის განვითარებისა და სიმძლავრეთა გადიდების შესახებ

25. დაევალოს საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს ააშენოს 1966 — 1970 წლებში ასაწყობი რკინა-ბეტონის კონსტრუქციების დამამზადებელი საწარმოები წყალსამეურნეო მშენებლობისათვის წელიწადში 90 ათასი კუბ. მეტრი სიმძლავრისა.

26. 500 ათასი მანეთის სახსრები, რაც დამატებით გამოეყო 1966 წელს საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს საშენ მასალათა მრეწველობისა და სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოთა მშენებლობისათვის, მოხმარდეს ფოთის № 1 მექანიზაციის სამმართველოს სარემონტო ბაზის მშენებლობას 400 ათასი მანეთის მოცულობით და 250 ათას მანეთზე ნაკლები სახარჯთაღრიცხვო ღირებულების სამშენებლო ინდუსტრიის ობიექტების მშენებლობას — 100 ათასი მანეთის მოცულობით.

ფოთის № 1 მექანიზაციის სამმართველოს სარემონტო ბაზის მშენებლობა დაეკისროს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს, რომელმაც შეასრულოს 1966 წელს 300 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები.

27. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გაითვალისწინოს საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამინისტროს განაცხადებით ყოველწლიურ გეგმებში სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის სამინისტროს ტრესტ საქჰიდროენერგომშენის, სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს ტრესტ ამიერკავკასიის ტრანსმშენის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამმართველოს, საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს და საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს მონაწილეობა საიჯარო სამუშაოებში.

28. დაევალოს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს დაამზადოს 1966 — 1967 წლებში, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს შეკვეთით, 5 ათასი კუბ. მეტრი მოცულობის ასაწყობი რკინა-ბეტონის ნაკეთობანი ქ. თბილისში საწარმოო ბაზისა და რკინა-ბეტონის ნაკეთობათა ქარხნის მშენებლობის დასამთავრებლად.

29. დაევალოთ ტრესტ საქჰიდროენერგომშენს და ტრესტ „კავკასენერგოქსელმშენს“, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს და ფოთის ჰიდრომექანიზმების ქარხანას დაამზადონ ლითონის კონსტრუქციები და არასტანდარტიზებული მოწყობილობა წყალსამეურნეო მშენებლობის საჭიროებისათვის, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს ორგანიზაციებთან სახელშეკრულებო საწყისებზე.

30. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“ უზრუნველყოს ტრაქტორების, სატრაქტორო ძრავების, მანქანების რემონტი ტრაქტორების, ავტომობილებისა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ბაზაზე, წყალსამეურნეო ორგანიზაციების სრული მოთხოვნილების მოცულობით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გაითვალისწინოს წლიური გეგმებით საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს სისტემის ავტომანქანების რემონტი სრული მოცულობით საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ქარხნებსა და სარემონტო საწარმოებში.

31. დაევალოთ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, ცეკავშირის გამგეობას, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროსთან ერთად, შეისწავლონ დიდ წყალსამეურნეო ობიექტებზე სკოლამდელ დაწესებულებათა და სამედიცინო მომსახურების მდგომარეობა, საზოგადოებრივი კვების ორგანიზაცია და ამ მშენებლობათა მუშა-მოსამსახურეების უზრუნველყოფა პირველი მოთხოვნილების საქონლით და მიიღონ საჭირო ზომები მათი მომსახურების გასაუმჯობესებლად. იმ საკითხებზე, რომლებიც მთავრობის გადაწყვეტას საჭიროებენ, წარმოუდგინონ შესაბამისი წინადადებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

32. იმის გამო, რომ მკვეთრად გადიდდა წყალსამეურნეო სამუშაოთა მოცულობა და საჭიროა გაუმჯობესდეს სამელიორაციო სისტემების მომსახურება

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ტექნოლოგიური საავტომობილო ტრანსპორტით, დაევალოს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს გადასცეს 1967 წლის 1 იანვრიდან ბალანსიდან ბალანსზე საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს № 2 ავტოტრესტის საგარეჯოს ავტოსატრანსპორტო კანტორა ავტომანქანების არსებული პარკით, მოწყობილობით, შრომის ლიმიტებით და მატერიალურ-ტექნიკური ფონდით, ხოლო ქ. თბილისის № 17 ავტოსატრანსპორტო კოლონიდან — 14 მძიმეზიდი უნაგირა საწევარი ნახევარმისაბმელებით, ამასთან უზრუნველყონ გადაცემული მანქანებისა და მოწყობილობის რაოდენობის მოვლა-პატრონობა და ტექნიკური წესივრობა.

33. საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა 1966 — 1970 წლების გეგმის პროექტების შემუშავებისას გაითვალისწინონ თუნის სადრენაჟო მილების წარმოების გადიდება წყალსამეურნეო მშენებლობისათვის (საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს სპეციფიკაციით), აგრეთვე კაპიტალურ დაბანდებათა გამოყოფა ამ მიზნებისათვის და საჭირო ტექნოლოგიური მოწყობილობის წარმოების განაწილება.

34. იმ მიზნით, რომ გაუმჯობესდეს მშენებლობის ორგანიზაცია, დაინერგოს სამუშაოთა მოწინავე ტექნოლოგია, შრომის სამეცნიერო ორგანიზაციის მოწინავე გამოცდილება და სხვა ღონისძიებანი, მიმართული ფულადი, მატერიალური სახსრებისა და შრომის დანახარჯების შემცირებისაკენ, — მოეწყოს საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს სისტემაში „ორგწყალმშენი“ სამეურნეო ანგარიშზე.

35. წყალსამეურნეო მშენებლობის მოცულობის გადიდებასთან დაკავშირებით, და იმ მიზნით, რომ წარმატებით გადაიჭრას მიწების მელიორაციის ფართოდ განვითარების ამოცანები სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი და მყარი მოსავლის მისაღებად, გადიდდეს საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის შტატი 25 ერთეულით საერთო ლიმიტისა და რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის რაოდენობის ხარჯზე.

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ 1967 წლის ბიუჯეტის პროექტის შემუშავებისას გაითვალისწინოს საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს შტატის აღნიშნული გადიდება.

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ და საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ ერთი თვის ვადაში წარმოადგინონ სამინისტროს სტრუქტურისა და შტატების პროექტი, რაოდენობის ზემოაღნიშნული გადიდების გათვალისწინებით.

36. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ გადასინჯოს საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს ერთი მუშაკის სამეურნეო და სამივლინებო ხარჯების ნორმები, ამასთან გაითვალისწინოს, რომ საჭიროა ამ ნორმების დაყვანა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დამტკიცებულ ნორმებამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

37. საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ გაითვალისწინონ საფინანსო გეგმების პროექტებით ასიგნობანი, წყალსამეურნეო ნაგებობათა კაპიტალური რემონტისათვის, კაპიტალური რემონტის საამორტიზაციო ანარიცხთა ნორმების, აგრეთვე იმ საოპერაციო ხარჯების ოდენობით, რომლებიც უზრუნველყოფენ არსებული სარწყავი, ამოსაშრობი და გასაწყლიერებელი სისტემების ექსპლუატაციის ძირეულად გაუმჯობესებას.

38. დაევალოს საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს ერთი თვის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი ახალი სისტემით სამმართველოების მოწყობის შესახებ, ამასთან გაითვალისწინოს მათი დისლოკაციის შემდგომი სრულყოფა და ექსპლუატაციის სამსახურის გაუმჯობესება.

### კაპიტალური დაბანდებების და სამელიორაციო სამუშაოთა მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის შესახებ

39. დაწესდეს 1966 — 1970 წლებში კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა წყალსამეურნეო მშენებლობისა, კულტურულ-ტექნიკურ სამუშაოთა ჩატარებისა, საშენ მასალათა მრეწველობის და სამშენებლო ინდუსტრიის განვითარებისათვის, საბინაო-კომუნალური, კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობისა და მიწების სასოფლო-სამეურნეო ათვისებასთან დაკავშირებული სხვა სამუშაოებისათვის 273,8 მილიონი მანეთის რაოდენობით, მათ შორის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისათვის 192,6 მილიონი მანეთი, რაც განაწილდეს სახალხო მეურნეობის დარგებისა და წლების მიხედვით, № 6 დანართის თანახმად.

40. კაპიტალურ დაბანდებათა ეკონომიური ეფექტიანობის გადიდებისა და სარწყავი და ამოსაშრობი მიწების ათვისების ვადების შემცირების მიზნით, დაწესდეს, რომ წყალსამეურნეო მშენებლობა უნდა ხორციელდებოდეს ამ მიწების სამეურნეო ათვისების ღონისძიებათა კომპლექსურად.

კოლხეთის დაბლობის მიწებზე, წყალსამეურნეო სისტემების მშენებლობასთან ერთად, განხორციელდეს საწარმოო ნაგებობების, საცხოვრებელი სახლების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების შენობების მშენებლობა, აგრეთვე ტერიტორიების კეთილმოწყობა და გამწვანება, ელექტროფიკაცია, ტელეფონიზაცია და რადიოფიკაცია, წყალსადენების, გზების და იმ სხვა ობიექტების მშენებლობა, რომლებიც საჭიროა სარწყავი და დაშრობილი მიწების სასოფლო-სამეურნეო ათვისებისათვის.

41. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარმა სამმართველომ და რესპუბლიკურმა გაერთიანებამ „საქსოფლტექნიკამ“ გაითვალისწინონ გეგმების პროექტებით საშენი მასალებისა და მოწყობილობის გამოყოფა იმ სამელიორაციო სამუშაოთა ჩასატარებლად, რომლებიც სრულდება კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების სახსრების და ბანკის კრედიტების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხარჯზე და კოლმეურნეობებში მიწების ამოშრობის იმ სამუშაოთა განსახორციელებლად, რაც სრულდება იმ სახსრების ხარჯზე, რომლებიც გამოიყოფა სახელმწიფო ბიუჯეტით საოპერაციო ხარჯებისათვის ამ სახის სამუშაოთა შესაბამისი ნორმატივებით.

42. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარმა სამმართველომ და რესპუბლიკურმა გაერთიანებამ „საქსოფლტექნიკამ“ გამოძებნონ დამატებითი მატერიალურ-ტექნიკური რესურსები, რომლებიც საჭიროა მიწების მელიორაციის იმ სამუშაოთა განსახორციელებლად, რომლებიც სრულდება როგორც ცენტრალიზებულ სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე, ისე თვით მეურნეობათა სახსრებისა და ბანკის კრედიტების ხარჯზე.

43. ვინაიდან საჭიროა სარწყავი და ამოსაშრობი სისტემების დროულად გადაცემა საექსპლუატაციოდ, დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარ სამმართველოს და რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“ მიაწოდონ საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს შავი ლითონის ნაგლინი, ცემენტი, ფოლადისა და აზბოცემენტის მილები და სხვა საშენი მასალები 20 რიცხვამდე ყოველთვიურად მიწოდების თვიური ნორმის მოცულობით.

44. დაევალოს საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს მოაწყოს ქვესაუწყებო საწარმოთა და ორგანიზაციათა ძალებით, კოლმეურნეობებთან და საბჭოთა მეურნეობებთან სახელშეკრულებო საწყისებზე რწყვის, მიწების ამოშრობის საპროექტო-საძიებო და სამშენებლო სამუშაოთა და სხვა ჰიდროსამელიორაციო ღონისძიებათა შესრულება, რომლებიც ხორციელდება ამ მეურნეობათა სახსრებისა და ბანკის კრედიტების ხარჯზე, აგრეთვე შიგასამეურნეო სარწყავი და ამოსაშრობი ქსელის რემონტისა და გაწმენდის სამუშაოთა შესრულება.

45. იმ მიზნით, რომ გაუმჯობესდეს საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს სამშენებლო, საექსპლუატაციო და საწარმოო ორგანიზაციათა მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება და უზრუნველყოფილ იქნას წყალსამეურნეო სამუშაოთა ხუთწლიანი გეგმის შესრულება, მოეწყოს მის სისტემაში 1967 წლიდან მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სამმართველო — „წყალმომარაგება“ 14 ერთეულის რაოდენობით სამეურნეო ანგარიშზე, რესპუბლიკის სხვა მომმარაგებელი ორგანიზაციების შემცირების ხარჯზე.

მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სამმართველოს შენახვა განხორციელდეს სამინისტროსათვის დაწესებული ზედნადები ხარჯების ფარგლებში.

46. სარწყავი, ამოშრობილი და გაწყლიერებული მიწების სასოფლო-სამეურნეო გამოყენებისადმი კონტროლის გაძლიერების მიზნით, დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მელიო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს სსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს:

— ჩაატარონ 1966 — 1967 წლებში საგეგმო-კარტოგრაფიული მასალების საფუძველზე სარწყავი და დაშრობილი მიწების ერთდროული ინვენტარიზაცია, ამასთან უზრუნველყონ ყველა მეურნეობა სათანადო პირველადი დოკუმენტაციით;

— შეიმუშაონ და განახორციელონ, მიწების ინვენტარიზაციის შედეგების საფუძველზე, ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში გამოუყენებელი მიწების აღდგენას. მიწები, რომლებსაც არ მოეპოვებათ სარწყავი წყაროები, და ის მიწები, რომლებზედაც სარწყავი და ამოსაშრობი ქსელი სრულიად უვარგისი გახდა, გამორიცხონ აღრიცხვიდან;

— ჩაატარონ 1967 წლის 1 იანვრის მდგომარეობის მიხედვით სარწყავი, ამოსაშრობი და გასაწყლიერებელი სისტემების და ნაგებობათა პასპორტიზაცია, იმავდროულად ჩაატარონ მათი შეფასება მოქმედ ფასებში და უზრუნველყონ შემდეგში სამელიორაციო კადასტრის სისტემატური წარმოება.

47. დაევალოს საქართველოს სსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს ჩაატაროს ყოველწლიურად 1 ნოემბრის მდგომარეობის მიხედვით კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო მეურნეობებში სარწყავი და დაშრობილი მიწების გამოყენების აღრიცხვა, ერთიანი სახელმწიფო აღრიცხვის მონაცემების, სარწყავი, ამოსაშრობი სისტემების პასპორტებისა და მიწათმოსარგებლეთა დოკუმენტების საფუძველზე, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის და ამ მიწებზე მიღებული პროდუქციის მოცულობის აღრიცხვა.

**მიწების მელიორაციის დარგში კადრების მომზადებისა და სამეცნიერო-საკვლევი მუშაობის გაუმჯობესების შესახებ**

48. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროსთან და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტთან ერთად გაითვალისწინოს 1968 — 1969 წლების გეგმებით სოფლის მეურნეობისათვის გამოყოფილი სახსრების ხარჯზე 500 მოწაფის ადგილიან იმ სასწავლებელთა შენობების მშენებლობა, რომლებიც მოამზადებენ კადრებს საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროსათვის.

49. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ, საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა, ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა და სხვა სამეცნიერო-საკვლევმა, საპროექტო და საკონსტრუქტორო დაწესებულებებმა გააძლიერონ მუშაობა, რათა გადაწყდეს საკითხები წყლის რესურსების კომპლექსურად გამოყენებისა და დაცვისა, სამელიორაციო მშენებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობის განხორციელებისა სამეცნიერო-ტექნიკურ და ინდუსტრიულ საფუძველზე, მელიორაციის დარგში თეორიული და გამოყენებითი გამოკვლევის გაფართოებისა, რესპუბლიკის სხვადასხვა ზონებში სამელიორაციო სამუშაოთა შესრულების დასაბუთებული რეკომენდაციების შემუშავებისა და სარწყავ და დაშრობილ მიწებზე ინტენსიური მიწათმოქმედების წარმოებისა.

50. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა მოამზადოს საერთო სამშენებლო პროფესიების კვალიფიციური მუშები და მექანიზატორები 1966 — 1970 წლების წყალსამეურნეო მშენებლობისათვის 4 ათასი კაცის რაოდენობით, მათ შორის 1966 წელს — 400 კაცი და შემდგომ წლებში — 900 კაცი ყოველწლიურად.

51. ეთხოვოს სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს აღადგინოს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტზე ჰიდროტექნიკური მშენებლობის სპეციალობის ინჟინრების გამოშვება, ამასთან დააწესოს კონტინგენტი ყოველწლიური მიღებისა 50 კაცის რაოდენობით.

52. მომრწყველთა მუშაობის წახალისების მიზნით, დაწესდეს სამკერდე ნიშანი „წარჩინებული მომრწყველი“. საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის და სოფლის მეურნეობის სამინისტროებმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინონ დასამტკიცებლად პროექტი დებულებისა „წარჩინებული მომრწყველის“ სამკერდე ნიშნის შესახებ და მისი აღწერილობა.

53. დაევალოთ საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, საქალაქო აღმასკომებს, რაიაღმასკომებს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს, სხვა სამინისტროებსა და უწყებებს 1967 წლის სექტემბერში მოახსენონ საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობა.

54. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 16 ივნისის № 465 დადგენილება „მარცვლეული და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი და მყარი მოსავლის მოსაყვანად მიწების მელიორაციის ფართოდ განვითარების შესახებ“ დაეგზავნოს სახელმძღვანელოდ საქართველოს სსრ შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს, საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, რაიაღმასკომებს, საქალაქო აღმასკომებს, სოფლის მეურნეობის რაიონულ საწარმოო სამმართველოებს, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობის სამინისტროს სასისტემო სამმართველოებს, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებს.

* *
*

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო მოითხოვენ რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო და წყალსამეურნეო ორგანოებისაგან, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1966 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებანი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შესაბამისი დადგენილებანი საფუძვლად დაუდონ მიწების ფართო მელიორაციის პროგრამის განხორციელებას და ამ საფუძველზე მიაღწიონ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკის განმტკიცებას და მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების მყარი წარმოების შექმნას.

საქართველოს კპ
ცენტრალური კომიტეტის მდივანი
**ვ. მჟავანაძე.**

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
**გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 12 აგვისტო, № 488.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილებები

## 71 საქართველოს სს რესპუბლიკაში მუშა-მოსამსახურეთა კოლექტიური მებაღეობის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ე ნ:

1. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 3 თებერვლის დადგენილების შესაბამისად, მიზანშეწონილად ჩაითვალოს მოეწყოს მუშა-მოსამსახურეთა კოლექტიური მებაღეობა საქართველოს სს რესპუბლიკაში, განსაკუთრებით ქალაქების, სამრეწველო ცენტრების და მუშათა დაბების მახლობლად.

2. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, რაიაღმასკომებს და სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოებს 1966 წლის 1 ოქტომბრამდე განსაზღვრონ მიწის ფონდი მუშა-მოსამსახურეთა კოლექტიური მებაღეობის მოსაწყობად.

მიწის ნაკვეთების გამოყოფა ამ მიზნებისათვის აწარმოონ, უწინარეს ყოვლისა, სახელმწიფო მიწის ფონდის, სახელმწიფო სატყეო ფონდის, დამხმარე მეურნეობების მიწებიდან, ხოლო თუ ასეთი მიწები არ არის, — საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების მცირეპროდუქტიული სავარგულებიდან, მათი თანხმობით. ამ ნაკვეთების გამოყოფა მოხდეს დადგენილი წესით.

3. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს, აფხაზეთის, აჭარის და სამხრეთ ოსეთის საოლქო პროფსაბჭოებს, სოფლის მეურნეობის და დამზადების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირების რაიკომებს მიიღონ აქტიური მონაწილეობა და ყოველგვარი დახმარება გაუწიონ საწარმოებს, დაწესებულებებსა და უწყებებს კოლექტიური მებაღეობის მოწყობაში.

4. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს შეიმუშაონ და დაამტკიცონ საქართველოს პროფსაბჭოსთან შეთანხმებით მუშა-მოსამსახურეთა მებაღეობის ამხანაგობის წესდება.

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
**გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს
პროფსაბჭოს თავმჯდომარე
**შ. კიკნაძე.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 12 ივლისი, № 413.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 72 იმის შესახებ, რომ გადაყვანილ იქნან რესპუბლიკის საწარმოთა ჯგუფები ხუთდღიან სამუშაო კვირაზე, ორი გამოსასვლელი დღით

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ე ნ:

1. მიღებულ იქნას ცნობად საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს და ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს ხელმძღვანელთა განცხადება იმის შესახებ, რომ 1966 წლის 1 ივლისიდან გადაყვანილი არიან ხუთდღიან სამუშაო კვირაზე ბათუმის ბამბუკის გადამმუშავებელი ფაბრიკა, მარელისის გრეხილი ავეჯის ფაბრიკა, ახმეტის ხისდამმუშავებელი კომბინატი, თბილისის ღვინის ქარხანა № 4, თბილისის ლიქიორის ქარხანა და თბილისის კონიაკის ქარხანა.

2. ნება დაერთოს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს გადაიყვანოს ხუთდღიან სამუშაო კვირაზე ორი გამოსასვლელი დღით თბილისის № 3 მექანიკური ქარხანა.

3. წინადადება მიეცეთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის, აჭარის და სამხრეთ ოსეთის საოლქო პროფსაბჭოებს, პროფკავშირთა რესპუბლიკურ კომიტეტებს ჩაატარონ საჭირო მუშაობა, რათა მოამზადონ ქვესაუწყებო საწარმოები იმისათვის, რომ გადაყვანილ იქნან ისინი ხუთდღიან სამუშაო კვირაზე ორი გამოსასვლელი დღით, დასახონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი მშრომელთა კულტურული დასვენების ორგანიზაციისათვის და საწარმოთა მზადყოფნის მიხედვით წარმოადგინონ თავიანთი წინადადებანი ხუთდღიან სამუშაო კვირაზე მათი გადაყვანის შესახებ.

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
**გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს
პროფსაბჭოს თავმჯდომარე
**შ. კიკნაძე.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 17 აგვისტო. № 486.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

## 73 ქლიავისა და ტყემლის შესასყიდი (ჩასაბარებელი) ფასების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს ქლიავისა და ტყემლის შესასყიდი (ჩასაბარებელი) ფასები:

მანეთობით ტონაში

| | ხარისხი | | |
|---|---|---|---|
| | I ხარისხი | II ხარისხი | არასტანდარტული |
| **ქლიავი** | | | |
| I — პომოლოგიური ჯგუფი . . . . | 200 | 150 | 50 |
| II — პომოლოგიური ჯგუფი . . . . | 150 | 100 | 50 |
| ჯიში „იტალიური ვენგერკა“ (რესპუბლიკის ყველა რაიონისათვის) . . . . | 500 | 300 | — |
| **ტყემალი** | სტანდარტული | | |
| I — პომოლოგიური ჯგუფი . . . . | 150 | — | 50 |
| II — პომოლოგიური ჯგუფი . . . . | 100 | — | 50 |

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 7 აგვისტოს № 495 დადგენილების ის ნაწილი, რომელიც შეეხება ქლიავისა და ტყემლის შესასყიდ ფასებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჟირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 29 ივნისი, № 397.

## 74 საქართველოს სსრ ტერიტორიაზე საცალო ვაჭრობის ქსელში ნაყიდი ტყავის ფეხსაცმლის გამოცვლის წესების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს და 1966 წლის 1 ივლისიდან ძალაში შევიდეს თანდართული წესები საქართველოს სსრ ტერიტორიაზე საცალო ვაჭრობის ქსელში ნაყიდი ტყავის ფეხსაცმლის გამოცვლის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჟირაქაძე.**

ქ. თბილისი, 196 წ. 11 ივლისი, № 409.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1966 წლის 11 ივლისის № 409
დადგენილებით

# წესები

## საქართველოს სსრ ტერიტორიაზე საცალო ვაჭრობის ქსელში ნაყიდი ტყავის ფეხსაცმლის გამოცვლისა

1. მყიდველს უფლება აქვს მაღაზიაში ნაყიდი ტყავის ფეხსაცმელი გამოცვალოს მისი ყიდვის ადგილას.

2. ფეხსაცმელი გამოსაცვლელია, თუ მას № 1 დანართში აღნიშნული პერიოდის მანძილზე აღმოაჩნდება ერთ-ერთი იმ საწარმოო დეფექტთაგანი, რაც ამ წესების № 2 დანართშია ჩამოთვლილი. ვადა იანგარიშება საცალო ვაჭრობის ქსელში ფეხსაცმლის ყიდვის დღიდან.

წინასწარ ნაყიდი სეზონური დანიშნულების ფეხსაცმელისათვის ეს ვადა იანგარიშება შესაბამისი სეზონის დამდეგიდან, რომელიც განისაზღვრება კლიმატური პირობების გათვალისწინებით.

3. ფეხსაცმელი, რომელიც მყიდველს არ გამოადგა ზომით, ფასონითა და მოდელით, უნდა გამოიცვალოს ყიდვიდან 7 დღის განმავლობაში, იმ პირობით, თუ ფეხსაცმელი არ არის ნახმარი.

4. ფეხსაცმლის გამოცვლა დაწესებულ ვადებში წარმოებს მყიდველის წერილობითი განცხადების საფუძველზე, რომელსაც თან უნდა დაერთოს სასაქონლო ჩეკი მაღაზიის ნომრითა და ყიდვის თარიღით; მაღაზიაში, სადაც სასაქონლო ჩეკები არ არის შემოღებული, ფეხსაცმლის გამოცვლა წარმოებს მყიდველის განცხადებით.

ამ წესების მე-3 პუნქტში აღნიშნული მიზეზების გამო ფეხსაცმლის გამოცვლისას მყიდველის წერილობითი განცხადება არ არის საჭირო.

მყიდველის მიერ ჩეკის დაკარგვის შემთხვევაში ფეხსაცმელი შეიძლება გამოიცვალოს მაღაზიის დირექტორის ან მისი მოადგილის ნებართვით.

5. ფეხსაცმლის წარდგენისთანავე, რომელმაც ვერ გაუძლო დაწესებულ ვადას, მაღაზიის დირექცია მოვალეა მყიდველის თანდასწრებით განიხილოს განცხადება, გამოუცვალოს ფეხსაცმელი ან დასაბუთებული უარი უთხრას. ცალკეულ შემთხვევებში, როცა უფრო დიდი დრო სჭირდება ფეხსაცმლის დეფექტების წარმოშობის მიზეზებისა და ხასიათის დადგენას, მაღაზიამ უნდა განიხილოს მყიდველის განცხადება და ხუთი დღის ვადაში გამოუცვალოს ფეხსაცმელი ან უთხრას დასაბუთებული უარი.

6. როცა მყიდველი და მაღაზიის დირექცია სხვადასხვა აზრის არიან დეფექტების წარმოშობასა და ხასიათზე, ფეხსაცმელი წარედგინება ექსპერტიზას, რომლის დასკვნა საბოლოოა.

7. იმპორტული ფეხსაცმელი, რომელმაც დადგენილ ვადას ვერ გაუძლო, მყიდველის განცხადებითა და ჩეკით იგზავნება ექსპერტიზაზე დადგენილი წე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სით. ექსპერტიზის შედეგები ეცნობება მყიდველს ათი დღის ვადაში ფეხსაცმლის გამოცვლის შესახებ განცხადების მიღებიდან; თუ ექსპერტიზამ დაადასტურა მყიდველის პრეტენზიები, მაღაზია ვალდებულია გამოცვალოს ფეხსაცმელი.

8. თუ მაღაზიაში არ არის შესაბამისი სახეობის ფეხსაცმელი გამოსაცვლელად, მყიდველს უნდა დაუბრუნდეს იმდენივე ფული, რამდენიც მან ყიდვის დროს გადაიხადა. თუ მყიდველი თანახმაა, უხარისხო ფეხსაცმელი შეიძლება გამოიცვალოს სხვანაირ ფეხსაცმელზე, ან აგრეთვე მყიდველის თანხმობით, გაეგზავნოს საწარმოს წვრილმანი დეფექტების აღმოსაფხვრელად (გასაწყობი და სამაგრი ფურნიტურის მიმაგრება, შესაკრავი „ელვის" გამოცვლა, ლანჩის ნაწილობრივი მიმაგრება, ლურსმნების ამოღება და სხვა წვრილმანი შეკეთება).

9. ფეხსაცმელი არ გამოიცვლება იმ შემთხვევაში, თუ:

ა) დეფექტები გამოწვეულია არასწორი ხმარების შედეგად (დამწვრობა, განაჭერები ბასრი საგნებით და სხვა მექანიკური დაზიანება);

დეფორმირებულია არასწორი გაშრობის, ქიმიური ზემოქმედების შედეგად, გაცვეთილია კალოშებით და ა. შ.

ბ) შეკეთებულია მყიდველის მიერ მაღაზიაში წარდგენამდე (ქუსლსაკრავის გამოცვლის, რკინის ნაწიბურების მიმაგრების, ლანჩის მიწებების გარდა, თუ ასეთ შეკეთებას არ მოჰყოლია დეფექტები);

გ) ნაყიდია საკომისიო მაღაზიაში, აგრეთვე ფასდაკლებით (ჩამოფასებული).

10. ფეხსაცმლის გამოცვლის წესები თვალსაჩინო ადგილას უნდა გამოიკრას ფეხსაცმლის სავაჭრო ყველა მაღაზიაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი № 1
საცალო ვაჭრობის ქსელში ნაყიდი
ტყავის ფეხსაცმლის გამოცვლის
წესებისა

# ცხრილი

საცალო ვაჭრობის ქსელში ნაყიდი სამამულო წარმოების ტყავის ფეხსაცმლის გამოცვლის ვადებისა (დადგენილია სახელმწიფო სტანდარტებით: 5394-61, 179-61, 1135-64; 7472-55; 7292-54, 7695-55; ადგილობრივი რესპუბლიკური ტექნიკური პირობები 17-16-65; 7458-55: ადგილობრივი რესპუბლიკური ტექნიკური პირობები 20-74-63)

| | ფეხსაცმელი | |
|---|---|---|
| | მამაკაცის, ქალის (დღე) | ბავშვის (დღე) |
| იუხტისა რეზინის ლანჩით | 70 | 50 |
| აგრეთვე ტყავის ან პლასტიკური ტყავის ლანჩით | 40 | 40 |
| ქრომისა: ტყავის, ქსოვილის, ტყავის შემცვლელის გარე პირით; კომბინირებული ფეხსაცმელი გაწყობილი და რანტიანი ხელით შეკერილი, რეზინის ლანჩით | 70 | 45 |
| აგრეთვე ტყავის ან პლასტიკური ტყავის ლანჩით | 40 | 40 |
| ჩექმები: ქრომისა ტყავის შემცვლელის ყელით, ქსოვილის და კომბინირებული გარე პირით, რეზინის ლანჩით | 70 | 45 |
| აგრეთვე ტყავის ან პლასტიკური ტყავის ლანჩით | 40 | 40 |
| სანდალეტები: ფეხსაცმელი ამოსადებით ან დეკორაციული გვერდებით, დაწებებული რანტით, დოპელური მეთოდის სამაგრით, რეზინის ლანჩით | 70 | 45 |
| აგრეთვე ტყავის ლანჩით | 40 | 40 |
| ფეხსაცმელი კომბინირებული ლანჩით (ტყავის ფენა და რეზინის ფენა—სასიარულო ნაწილი) | — | 40 |
| მოდელისა რეზინის, ფოროვანი ლანჩით | 80 | — |
| აგრეთვე ტყავისმაგვარი ლანჩით | 70 | — |
| აგრეთვე ტყავის ლანჩით | 50 | — |
| სანდლები რეზინის ლანჩით | 60 | 35 |
| აგრეთვე ტყავის ლანჩით | 30 | 30 |
| სათხილამურო ყელიანი ფეხსაცმელი | 45 | 45 |
| ფეხბურთელთა ყელიანი ფეხსაცმელი, ტანმოვარჯიშეთა ფეხსაცმელი | 30 | 30 |
| მოციგურავეთა ყელიანი ფეხსაცმელი | 30 | 30 |
| ველოსიპედისტთა ფეხსაცმელი, სასპორტო ჩუსტები და წუღები ტყავის ლანჩით | 30 | 30 |
| აგრეთვე რეზინის ლანჩით | 60 | 35 |

შენიშვნა: ლაქის ფეხსაცმელი, რომელზეც შეიმჩნევა ლაქის გარე პირის დასკდომა, წინა ნაწილის პირის ღუნის ადგილის გარდა, გამოიცვლება 30 დღემდე ვადაში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დანართი № 2
საცალო ვაჭრობის ქსელში ნაყიდი
ტყავის ფეხსაცმლის გამოცვლის
წესებისა

# ნ უ ს ხ ა

## ფეხსაცმლის დეფექტებისა, რომელთა საფუძველზე შეიძლება ფეხსაცმლის გამოცვლა

გამოსაცვლელია მაღაზიაში ნაყიდი ფეხსაცმელი, თუ დადგენილი ვადების პერიოდში აღმოჩნდა შემდეგი დეფექტები:

1. ფეხსაცმლის გარე პირზე: სადებარის ჩამოფშვნა, გამჭოლი ბზარები, გარღვეული ნაკერები, გარე პირის დეტალების გაგლეჯა ნაწიბურზე და დეტალების გამაერთიანებელ ნაკერზე, წარმოების პროცესში დაშვებული გამჭოლი განაჭერები, გარე პირის დეტალების ნაკერზე გაწყვეტა, ზონრის საკოჭის ნაწიბურის გამოძრობა, გარე პირისა და ქუსლის გადასაკრავის დეფორმაცია, გასაწყობი და სამაგრი ფურნიტურის მოწყვეტა, შესაკრავ „ელვის" გატეხვა.

2. ფეხსაცმლის ძირზე: ლანჩის გადატეხვა, გამოფხვნა, განშრევება, მოწყვეტა, გამჭოლი გაცვეთა და აძრობა. რანტის მოწყვეტა, რისის აძრობა, ქუსლის გადატეხვა, გახეთქვა, მოწყვეტა, მოშორება და არასწორი დაყენება, ქუსლსაკრავის მოწყვეტა მილისის დაზიანებით.

3. ფეხსაცმლის შინაგან დეტალებზე: საწარმოო მიზეზებით გამოწვეული ლაბაშის გადატეხვა, დაბრეცა, დაშლა, გამონაბორცვები ლაბაშზე, დაუმაგრებელი ხრახნები და ლურსმნები. სარჩულის ნაადრევი გაცვეთა. სარჩულის ან ამონაგის მოძრობა ან გაწყვეტა. წარმოების პროცესში დახეული სარჩული. უხეში ნაოჭები სარჩულზე შუა, ქუსლის ან ცერის ნაწილში. სუპინატორის გადატეხა, სარჩულის ან უსარჩულო ფეხსაცმლის გლემურძის მხარის უხარისხო შეღებვა, ჩამჯდარი, დეფორმირებული, შიგნით ჩაღუნულ ან გასქელებულ ნაწიბურებიანი საქუსარი ან წვერი.

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 75 საქართველოს სსრ მინისტრებისა და უწყებათა ხელმძღვანელების, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომის, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების გადასაწყვეტად სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საკითხების გადაცემის შესახებ

იმ მიზნით, რომ გაუმჯობესდეს რესპუბლიკის საწარმოებისა და ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობა და უზრუნველყოფილ იქნას სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საკითხების უფრო ოპერატიულად გადაწყვეტა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. გადაეცეს მინისტრებს, სახელმწიფო კომიტეტებს, კომისიებს, გაერთიანება „საქსოფლტექნიკის" თავმჯდომარეებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი სამმართველოების და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამმართველოების უფროსებს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს და კომბინატ „საქქვანახშირის" უფროსს გადასაწყვეტად სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საკითხები, № 1 დანართის თანახმად.

2. საქართველოს სსრ ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სამეურნეო და კულტურული მშენებლობისადმი უფრო ოპერატიული ხელმძღვანელობის გაწევის, ზედმეტი ცენტრალიზაციის აღმოფხვრისა და ადგილობრივი ორგანოების პასუხისმგებლობის გაძლიერების უზრუნველყოფის მიზნით, გადაეცეს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს გადასაწყვეტად სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საკითხები, №№ 2 და 3 დანართების თანახმად.

3. აღინიშნოს, რომ საქართველოს სსრ ზოგიერთ სამინისტროსა და უწყებას ჯერ კიდევ შემოაქვთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში ისეთი საკითხები, რომელთა გადაწყვეტის უფლება მინიჭებული აქვთ საქართველოს სსრ მინისტრებს, მინისტრთა საბჭოს კომიტეტების თავმჯდომარეებს და მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამმართველოების უფროსებს. ამის გარდა, შემოაქვთ მთავრობაში დაინტერესებულ უწყებებთან შეუთანხმებელი საკითხები და წინადადებანი დამატებითი ფულადი სახსრების, მასალებისა და მოწყობილობის გამოყოფის, აგრეთვე შტატებისა და ხელფასის ფონდების გადიდების შესახებ, საკმაო დასაბუთების გარეშე.

დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრებს და უწყებათა ხელმძღვანელებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსათვის საკითხების წარმოდგენამდე წინასწარ გულდასმით შეისწავლონ ეს საკითხები, შეათანხმონ თავიანთი წინადადებანი დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან, ხოლო მათთან უთანხმოების წამოჭრის შემთხვევებში იმავდროულად წარმოადგინონ წერილობითი შენიშვნები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. წინადადება მიეცეთ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს:

— გააძლიერონ კონტროლი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა, აგრეთვე სამინისტროების, კომიტეტების, სამმართველოების კოლეგიების, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომის, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი;

— დასახონ და განახორციელონ ღონისძიებანი საქმის წარმოების, ეკონომიური, სააღრიცხვო და სარევიზიო მუშაობის ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის;

— სისტემატურად მოისმინონ შესაბამისი უწყებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მოხსენებანი სახალხო-სამეურნეო გეგმის, ბიუჯეტისა და სხვა სამეურნეო მაჩვენებლების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

5. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი:

— 1956 წლის 1 თებერვლისა № 42 „ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებისათვის, მშრომელთა დეპუტატების საოლქო აღმასკომისა და საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებისათვის ზოგიერთი საკითხის გადაწყვეტის გადაცემის შესახებ“;

— 1957 წლის 3 მაისისა № 261 „იმის შესახებ, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მთავარ სამმართველოებს მიენიჭოთ საწარმოების, მშენებლობების, ტრესტების და ორგანიზაციების სტრუქტურისა და ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის შტატების დამტკიცების უფლება“;

— 1959 წლის 20 აგვისტოსი № 663 „სამეურნეო მშენებლობის ზოგიერთ საკითხზე, რომლებიც დამატებით გადაეცა გადასაწყვეტად სამინისტროებსა და უწყებებს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებსა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს“;

— 1955 წლის 26 ნოემბრისა № 666 „ზოგიერთი მიმდინარე საკითხის საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის გადასაწყვეტად გადაცემის შესახებ“;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 6 ივნისის № 776 განკარგულება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიას ერთი თვის ვადაში მოამზადოს და წარმოადგინოს საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებათა ნუსხა, რომლებიც გაუქმებულ ან შეცვლილ უნდა იქნან ამ დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჟირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 11 ივლისი, № 410.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1966 წლის 11 ივლისის № 410
დადგენილების დანართი № 1

# საკითხები,

რომლებიც გადაეცემა მინისტრების, სახელმწიფო კომიტეტების, კომისიების, გაერთიანება „საქსოფლტექნიკის" თავმჯდომარეების, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი სამმართველოებისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამმართველოების უფროსების, კომბინატ „საქქვანახშირის" უფროსის და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის გადასაწყვეტად

## I. დაგეგმვისა და კაპიტალური მშენებლობის დარგში

1. განახორციელონ ერთიანი ფასდების მიხედვით (უხარჯთაღრიცხვებოდ) 10 ათას მანეთამდე ღირებულების ობიექტების მშენებლობის და 5 ათას მანეთამდე კაპიტალური რემონტის დაფინანსება.

2. წარმართონ დამატებითი კაპიტალდაბანდებებისათვის იმ მასალების რეალიზაციის სახსრები, რომლებიც მიღებულია უვარგის შენობათა და ნაგებობათა დაშლის შედეგად.

3. სახსრების უფრო რაციონალურად გამოყენების მიზნით მოახდინონ საჭირო შემთხვევებში საწარმოთა და ორგანიზაციათა თანხმობით იმ სახსრების ცენტრალიზაცია, რომლებიც საბინაო მშენებლობას ხმარდება ზეგეგმითი მოგების ანარიცხებიდან.

4. ნება დართონ საქვეუწყებო საწარმოებსა და ორგანიზაციებს აწარმოონ იმ საინჟინერო კომუნიკაციებისა და ელექტრომომარაგების ხაზების მშენებლობა, რომლებიც საჭიროა შენდებადი საცხოვრებელი ფონდის ნორმალური ექსპლუატაციისათვის, იმ ზეგეგმითი მოგების ხარჯზე, რაც წარიმართება საბინაო მშენებლობისათვის ამ საწარმოებისა და ორგანიზაციების კაპიტალურ სამუშაოთა გეგმის გადამეტებით.

5. ნება დართონ ქვესაუწყებო საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს ჩაატარონ საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობა კაპიტალური რემონტისათვის განკუთვნილი სახსრების ხარჯზე.

6. ნება დართონ ქვესაუწყებო საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს ხარჯონ მათთვის გამოყოფილ კაპიტალდაბანდებათა ანგარიშში სახსრები იმ შენობათა შესაძენად, რომლებიც ეკუთვნის კოლმეურნეობებს, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში — კერძო პირებსაც, იმ ფასებში, რაც არ უნდა აღემატებოდეს სადაზღვევო შეფასებას.

7. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით გადაანაწილონ წლის განმავლობაში რესპუბლიკური დაქვემდებარების იმ ობიექტების კაპიტალდაბანდებათა დაფინანსება, რომელთა სატიტულო სიები არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუმტკიცებიათ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ისე რომ უცვლელი დარჩეს ძირითადი ფონდებისა და საწარმოო სიმძლავრეთა საექსპლუატაციოდ გადაცემის გეგმა.

ბიუჯეტებს შორის ასიგნობათა გადანაწილების აუცილებლობის შემთხვევაში წარმოუდგინონ შესაბამისი წინადადებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

8. შეადგინონ თავიანთი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო კანტორების მეშვეობით 100 ათას მანეთამდე სახარჯთაღრიცხვო ღირებულების კაპიტალური მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

9. აწარმოონ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და სახმშენთან შეთანხმებით იმ ობიექტების დაპროექტების სახსრების გადანაწილება, რომელთა სატიტულო სიებს არ ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, და საჭიროების შემთხვევაში შეიტანონ საპროექტო სამუშაოთა გეგმაში ახალი ობიექტები ერთი და იგივე საპროექტო ორგანიზაციისათვის დაპროექტების სამუშაოთა დაწესებული მოცულობის ფარგლებში.

10. გაუდიდონ მიმდინარე წლის ნოემბერ-დეკემბერში კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსების გეგმები მშენებლობებს, რომლებიც გადაჭარბებით ასრულებენ გეგმას, იმ მშენებლობებისათვის დაფინანსების გეგმის შემცირების ხარჯზე, რომლებიც გეგმას ვერ ასრულებენ, ისე რომ არ შემცირდეს საწარმოო სიმძლავრეთა, ობიექტებისა და ძირითადი ფონდების საექსპლუატაციოდ გადაცემის დავალებანი და კაპიტალურ დაბანდებათა წლიური მოცულობა.

## II. დაფინანსების დარგში

11. დაიტოვონ თავიანთ განკარგულებაში რეზერვი კრედიტების იმ თანხის 5 პროცენტამდე, რაც საკრედიტო გეგმებით დაწესდება.

12. გადაანაწილონ საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით დაწესებულებათა და ორგანიზაციათა შენახვის წლიური და კვარტალური საბიუჯეტო ასიგნობანი.

13. გაადიდონ პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსთან შეთანხმებით ოდენობა მოგების ანგარიშში გასაწევი ხარჯებისა იმ ბაღების, პარკების, შენობების, სადგომებისა და ნაგებობების, აგრეთვე პიონერთა ბანაკების სამეურნეო შესანახად, რომლებიც განკუთვნილია კულტურულ-საგანმანათლებლო, გამაჯანსაღებელი, ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის ჩასატარებლად მუშა-მოსამსახურეთა და მათი ოჯახების წევრთა შორის, ისე რომ უცვლელი დარჩეს ბიუჯეტთან ურთიერთობა.

14. ნება დართონ სამოქალაქო პროდუქციის დამამზადებელ სამრეწველო საწარმოებს შექმნან დადგენილი წესით ახალი ტექნიკის ათვისების ფონდი.

15. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით შეიტანონ ცვლილებანი რესპუბლიკური ბიუჯეტით შემოსავალ-გასავლის კვარტალობრივ განაწილებაში სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

16. გაადიდონ პირველი კვარტალის გასვლის შემდეგ ცალკეულ საწარმოთა დაფინანსების მოცულობა ერთი და იმავე განაყოფის ფარგლებში, აგრეთვე საოპერაციო ხარჯებისა სხვა ღონისძიებებისათვის მისი შესაბამისი შემცირებით, ხოლო საჭირო შემთხვევებში აწარმოონ გეგმით გაუთვალისწინებელ ღონისძიებათა (რომლებიც წამოიჭრა წლის განმავლობაში) დაფინანსება წლიურ საბიუჯეტო ასიგნობათა ფარგლებში, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით.

სახსრების გადანაწილება აწარმოონ პერსონალის რაოდენობის, ხელფასის ფონდის და ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯების ლიმიტების დაწესებული გეგმების გაუდიდებლად.

17. საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, გადაანაწილონ საბიუჯეტო ასიგნობანი ერთი პარაგრაფიდან მეორეში, აგრეთვე ერთი დაწესებულებიდან და ორგანიზაციიდან მეორეში, ერთი და იმავე განაყოფის ფარგლებში, ისე, რომ არ გადიდდეს ხელფასის ფონდი სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისა და კაპიტალდაბანდებებისათვის.

თუ ამ ღონისძიების გატარება გამოიწვევს ასიგნობათა გადანაწილებას რესპუბლიკურ და ადგილობრივ ბიუჯეტებს შორის, აგრეთვე სამინისტროებსა და უწყებებს შორის, წარმოუდგინონ შესაბამისი წინადადებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

18. ნება დართონ აწარმოონ სკოლების, სასწავლებლების, კულტურის სახლების, კლუბების, ბიბლიოთეკებისა და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო, აგრეთვე საბავშვო დაწესებულებათა რეკონსტრუქცია და გაფართოება კაპიტალური რემონტისათვის განკუთვნილი სახსრების ხარჯზე, რაც შემდგომ უნდა ეცნობოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს და ფინანსთა სამინისტროს.

19. ნება დართონ საჭიროების შემთხვევაში შესრულდეს ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოების, საზოგადოებრივი კვების საწარმოების, საცხოვრებელი სახლების, საბავშვო და სამკურნალო დაწესებულებების, სკოლებისა და სხვა სასწავლებლების გაზიფიკაციის სამუშაოები იმ სახსრების ხარჯზე, რომლებიც ამ ობიექტების კაპიტალური რემონტისათვის გამოიყოფა.

### III. შრომისა და ხელფასის დარგში

20. დააწესონ არასაშტატო (არასიობრივი) შემადგენლობის მუშაკთა ხელფასის ფონდი ხელფასის დამტკიცებული საერთო ფონდის ფარგლებში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით.

21. ხარჯონ დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში ცენტრალური აპარატის შესანახად ხელფასის ფონდის ერთ პროცენტამდე მუშათა კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებებისათვის.

22. შეიტანონ საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით ცვლილებანი ცენტრალური აპარატურის სტრუქტურასა და შტატებში დამტკი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცებული შტატისა და ხელფასის თვიური ფონდის ფარგლებში ისე, რომ დაცულ იქნას თანამდებობრივი განაკვეთების სქემები.

23. დაამტკიცონ დადგენილი წესით, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა და სასწავლო-დამხმარე პერსონალის შტატები და ფაკულტეტების დეკანებისა და დეკანთა მოადგილეების საშტატო თანამდებობანი მუშაკთა იმ რაოდენობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში, რაც დაწესებულია მათი სისტემის უმაღლესი სასწავლებლებისათვის.

24. ნება დართონ, პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსთან შეთანხმებით, გამოიყენონ შრომის ანაზღაურების აკორდული სისტემა რესპუბლიკის სამეცნიერო-საკვლევი, საპროექტო და საკონსტრუქტორო ორგანიზაციების მუშაკთა ცალკეული კატეგორიებისათვის ხელფასის იმ ფონდის ფარგლებში, რაც ამ ორგანიზაციებს დაუწესდათ.

25. დააწესონ ქვესაუწყებო საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში საქართველოს პროფსაბჭოსთან შეთანხმებით, ხელფასის დამტკიცებული ფონდის ფარგლებში, დაჯილდოების მოქმედი სისტემების დამატებით საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მუშათა, ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა დაჯილდოების დროებითი (ერთ წლამდე ვადით) სისტემები ცალკეულ დიდმნიშვნელოვან და სასწრაფო დავალებათა შესრულებისათვის იმ პრემიების მაქსიმალური ოდენობის ფარგლებში, რომლებიც დამტკიცებულია სსრ კავშირის მთავრობის მიერ სახალხო მეურნეობის და მრეწველობის დარგების მიხედვით.

26. დააწესონ, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან და საქართველოს პროფსაბჭოსთან შეთანხმებით, თანამდებობრივი განაკვეთების სატარიფო სარგო, ცხრილები და სქემები და დაამტკიცონ დებულება რესპუბლიკის ქვესაუწყებო ახლად შექმნილ (მათ შორის გაერთიანების ან რეორგანიზაციის შედეგად შექმნილ) საწარმოთა, ორგანიზაციათა, დაწესებულებათა მუშაკების დაჯილდოების შესახებ, რომლებისთვისაც არ არის დამტკიცებული სატარიფო სარგო, ცხრილები, სქემები და თანამდებობრივი განაკვეთები და დებულებანი დაჯილდოების შესახებ, შესაბამისად წარმოების (მუშაობის) მოცულობისა და ხასიათის მხრივ ანალოგიურ საწარმოებსა, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში მოქმედი წესებისა.

27. დააწესონ, საქართველოს პროფსაბჭოსთან და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, რესპუბლიკის ქვესაუწყებო საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მუშაკთა თანამდებობრივი განაკვეთები და დაჯილდოების პირობები ახლად შემოღებულ თანამდებობათა მიხედვით, რომლებიც არ არის გათვალისწინებული თანამდებობრივი განაკვეთების მოქმედი სქემებით და დაჯილდოების დებულებებით შესაბამისად თანამდებობრივი განაკვეთებისა და დაჯილდოების პირობებისა, რაც დამტკიცებულია მოცემული საწარმოს ან ორგანიზაციის მუშაკთა შესაბამისი კატეგორიებისათვის, ხელფასის დამტკიცებული ფონდის ფარგლებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ შემთხვევებში, როდესაც სსრ კავშირის მთავრობის მიერ დამტკიცებული თანამდებობრივი განაკვეთების სქემებით არ არის გათვალისწინებული შრომის ანაზღაურების მხრივ მოცემული ჯგუფის საწარმოებისა, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის ესა თუ ის თანამდებობა, ასეთი თანამდებობა არ შეიძლება შემოღებულ იქნას, თუ იგი გათვალისწინებულია იმავე სქემით შრომის ანაზღაურების სხვა ჯგუფების საწარმოებისა, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის.

28. გადაიყვანონ საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით ქვესაუწყებო საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებშიაც სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებებით გატარებულია ხელფასის მოწესრიგება, ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა შრომის ანაზღაურების ერთი ჯგუფიდან (კატეგორიიდან) მეორე ჯგუფში მათი წარმოების (სამუშაოთა) მოცულობის შეცვლასთან დაკავშირებით, ამასთან იხელმძღვანელონ დადგენილი წესით დამტკიცებული მაჩვენებლებით ამ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა განაწილებისა შრომის ანაზღაურების ჯგუფების (კატეგორიების) მიხედვით, ხელფასის დაწესებული ფონდის ფარგლებში, რაც უნდა ეცნობოს საწარმოების მიხედვით — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტს, ხოლო სამეურნეო და საბიუჯეტო ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიხედვით — სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს.

29. მიაკუთვნონ საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით რესპუბლიკური დაქვემდებარების ახლად შექმნილი საწარმოები და ორგანიზაციები ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების და დაჯილდოების შესაბამის ჯგუფს (კატეგორიას), ამასთან იხელმძღვანელონ დადგენილი წესით დამტკიცებული მაჩვენებლებით საწარმოთა და ორგანიზაციათა განაწილებისა შრომის ანაზღაურების და დაჯილდოების ჯგუფების (კატეგორიების) მიხედვით.

30. შექმნან, გარდაქმნან და გააუქმონ საწარმოები, სამშენებლო, საპროექტო და სხვა სამეურნეო ორგანიზაციები მუშაკთა რაოდენობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში, რაც დაწესებულია სახალხო-სამეურნეო გეგმით, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, ხოლო საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციები — აგრეთვე საქართველოს სსრ სახმშენთან შეთანხმებით.

31. დაამტკიცონ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების ქვესაუწყებო საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის ტიპობრივი შტატები, ხოლო საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებისა და ორგანიზაციების მიხედვით — აგრეთვე სსრ კავშირის შესაბამის სამინისტროებთან შეთანხმებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## IV. სხვა სამეურნეო საკითხები

32. გადაწყვიტონ ქვესაუწყებო საწარმოებში არსებული არალიკვიდური მასალებისა და მოწყობილობის გამოყენების საკითხები.

33. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით გაანაწილონ ქვესაუწყებო საწარმოთა წარმოების ნარჩენები.

34. ნება დართონ, რომ გადასცენ თავიანთი სისტემის ერთი ორგანიზაციიდან მეორეში შენობები, ნაგებობანი, მოწყობილობა, სატრანსპორტო საშუალებანი და სხვა ქონება, მათი ღირებულების დამოუკიდებლად, ბალანსიდან ბალანსზე.

35. ჩამოწერონ ჯართად გაცვეთილი და სახალხო მეურნეობაში შემდგომ გამოსაყენებლად გამოუსადეგარი სასოფლო-სამეურნეო და სხვა მანქანები, მოწყობილობა და სატრანსპორტო საშუალებანი, აგრეთვე დაუმთავრებელ წარმოებაში არსებული ნაკეთობანი, რომლესაც შეუძლებელია მათი გამოყენება.

36. დაამტკიცონ საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით არასამრეწველო საწარმოთა და ორგანიზაციათა დირექტორის (უფროსის) ფონდი, თუ შესრულებულია ის პირობები, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებით ამ ფონდების შექმნის შესახებ.

37. დაამტკიცონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ ფასების კომიტეტთან შეთანხმებით იმ ყველა სახეობის ნაკეთობათა ფასები, რომლებიც მოსახლეობის ინდივიდუალური შეკვეთებით მზადდება.

38. ნება დართონ საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, როგორც გამონაკლისი, რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოებს შექმნან საწარმოს ფონდი იმ პირობების ნაწილობრივ შეუსრულებლობისას, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობის თანახმად საჭიროა მის შესაქმნელად.

39. ნება დართონ საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით ცალკეულ სამრეწველო საწარმოებს ჩამოაფასონ წარმოებიდან მოხსნილი სახალხო მოხმარების საქონლის არსებული ნაშთი და ჩამოფასების თანხები მიაკუთვნონ საწარმოს საქმიანობის შედეგებს.

40. ნება დართონ საექსპლუატაციოდ ახლად გადაცემული საწარმოების დირექციებს (8 თვის განმავლობაში საწარმოს საექსპლუატაციოდ გადაცემის დაწყებიდან), აგრეთვე სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციებს იჯარით აიღონ ცალკეულ შემთხვევებში მოქალაქეებისაგან საცხოვრებელი სადგომები მუშაკთა (მოწაფეთა) დასაბინავებლად ისე, რომ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მიერ დაწესებული საბინაო ქირის განაკვეთებს დაემატოს თანხა, მაგრამ არა უმეტეს 3 მანეთისა ერთ მომუშავეზე თვეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწესდეს, რომ აღნიშნულ დანამატებს გადაიხდიან:

— სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციები — იმ სახსრების ხარჯზე, რომლებიც გათვალისწინებულია ხარჯთაღრიცხვებით დროებითი შენობა-ნაგებობების მშენებლობისა და გაუთვალისწინებელი ხარჯებისათვის;

— საექსპლუატაციოდ ახლად გადაცემული სამრეწველო საწარმოების დირექციები — წარმოების ხარჯების გეგმიანი დანახარჯების ანგარიშსა და ფარგლებში.

41. ჩამოწერონ რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების ქვესაუწყებო საწარმოთა და ორგანიზაციათა ბალანსებიდან შეწყვეტილ კაპიტალურ სამუშაოთა დანახარჯები და გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოთა ხარჯები, აგრეთვე განუხორციელებელი მშენებლობის საძიებო და საპროექტო სამუშაოთა ხარჯები, ამ საკითხებზე მოქმედი მითითებების შესაბამისად.

## V. საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრს

1. გახსნას კრედიტები რესპუბლიკური დაქვემდებარების მოიჯარე სამშენებლო ორგანიზაციათა საბრუნავი სახსრების მატებისათვის სამუშაოთა მომავალ გაშლასთან დაკავშირებული დანახარჯების გათვალისწინებით, ბიუჯეტით გათვალისწინებულ კვარტალურ ასიგნობათა ფარგლებში.

2. გაადიდოს საჭირო შემთხვევებში, სამინისტროების შუამდგომლობით, 10 პროცენტამდე კვარტალის საბიუჯეტო ასიგნობანი მოცემული სამინისტროს ხაზით იმ ასიგნობათა ხარჯზე, რომლებიც გათვალისწინებულია ამავე მიზნით შემდგომი კვარტალისათვის.

3. შეცვალოს საბიუჯეტო ასიგნობათა წარმართვა რესპუბლიკური ბიუჯეტით იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს სსრ მინისტრები და უწყებათა ხელმძღვანელები შეცვლიან ქვესალიმიტო კაპიტალდაბანდებათა გეგმებს, გარდა ასიგნობათა გადიდებისა მმართველობის ორგანოებისათვის.

4. ნება დართოს, რომ გადაცემულ იქნას თანამდებობრივი განაკვეთების პერსონალური დანამატების და პერსონალური განაკვეთების ლიმიტების სპეციალური ფონდები საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა დაქვემდებარების შეცვლასთან დაკავშირებით, რაც შემდგომ უნდა ეცნობოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

5. შეიტანოს საჭირო შემთხვევებში, საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების შუამდგომლობით, შემოსავალ-გასავლის ბალანსებში ცვლილებანი, რომლებიც გამომდინარეობენ სსრ კავშირის მთავრობის და საქართველოს სსრ მთავრობის ცალკეული გადაწყვეტილებებიდან წარმოების, მიწოდების გეგმის და სხვა მაჩვენებლების შეცვლის შესახებ.

6. შეამციროს საჭირო შემთხვევებში, სამინისტროების შუამდგომლობით, კაპიტალურ დაბანდებათა ასიგნობანი საქართველოს სსრ რესპუბლიკური ბიუჯეტით და გადასცეს ისინი ადგილობრივი დაქვემდებარების კაპიტალურ დაბანდებათა დასაფინანსებლად.

7. ნება დართოს, რომ შეიქმნას და გაუქმდეს რესპუბლიკურ ბიუჯეტზე არსებულ დაწესებულებათა სპეციალური სახსრები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. გაუდიდოს საჭირო შემთხვევებში, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომის, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების შუამდგომლობით, დოტაცია ადგილობრივ ბიუჯეტებს კვარტალში შემდგომი კვარტალისათვის გათვალისწინებულ ასიგნობათა ხარჯზე.

9. გასცეს საჭიროების შემთხვევაში, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომის და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების შუამდგომლობით სესხი რესპუბლიკური ბიუჯეტიდან ადგილობრივი ბიუჯეტების დროებით დაგეგმილი საკასო გარღვევის დასაფარავად იმ ანგარიშით, რომ ეს სესხი დაიფაროს კალენდარული წლის განმავლობაში.

## VI. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარეს

1. შეიტანოს საწარმოთა გეგმებში, რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების შრომის გეგმებში, ხელფასის ფონდებში ცვლილებანი, რომლებიც გამომდინარეობენ სსრ კავშირის მთავრობის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებებიდან.

2. გაანაწილოს და გადაანაწილოს ნედლეულის, მასალებისა და მოწყობილობის ფონდები რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს შორის, გარდა უმნიშვნელოვანესი სახეობის ნედლეულისა, მასალებისა და მოწყობილობისა, რომელთა განაწილება ხდება სსრ კავშირის მთავრობის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით.

## VII. საქართველოს სსრ კულტურის მინისტრს

1. გადაანაწილოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ რესპუბლიკური ბიუჯეტით დამტკიცებული დოტაცია თეატრებისა და მუსიკალური დაწესებულებებისათვის, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით.

2. შეიტანოს ცვლილებანი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელში რესპუბლიკის რაიონებსა და ქალაქებს შორის, რაც აცნობოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს და ფინანსთა სამინისტროს.

იმ შემთხვევაში, თუ საჭირო გახდა ასიგნობათა გადანაწილება ბიუჯეტებს შორის, წარმოუდგინოს შესაბამისი წინადადებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

3. გამოიყენოს თეატრებისა და სხვა მუსიკალურ დაწესებულებათა ზეგეგმითი დაგროვებანი თეატრების შენობების კაპიტალური რემონტისათვის, აგრეთვე თეატრების ინვენტარისა და მოწყობილობის შესაძენად.

## VIII. საქართველოს სსრ განათლების მინისტრს

გახსნას სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმისა და დამტკიცებული ბიუჯეტის ფარგლებში საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები, სკოლა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერნატები, მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლები, საბავშვო სახლები, ბაგა-ბაღები, სკოლისგარეშე, მეთოდური და სხვა დაწესებულებანი, რაც შემდგომ აცნობოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს.

## IX. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრს

1. მიაკუთვნოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით უმაღლესი სასწავლებლები მეცნიერების მუშაკთა შრომის ანაზღაურების კატეგორიებს, ამასთან იხელმძღვანელოს უმაღლესი სასწავლებლების შრომის ანაზღაურების კატეგორიების მიხედვით განაწილების მაჩვენებლებით, რომლებიც დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის მიერ.

2. დაამტკიცოს შემთავსებლობის პერსონალური სიები სამინისტროსათვის დამტკიცებული ლიმიტის ფარგლებში, რაც შემდგომ აცნობოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს.

## X. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრს

1. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით შეიტანოს ცვლილებანი სამედიცინო-სანიტარულ დაწესებულებათა ქსელში.

იმ შემთხვევაში, თუ საჭირო გახდა ასიგნობათა გადანაწილება ბიუჯეტებს შორის, წარმოუდგინოს შესაბამისი წინადადებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

2. დაამტკიცოს შემთავსებლობის პერსონალური სიები სამინისტროსათვის დამტკიცებული ლიმიტის ფარგლებში, რაც შემდგომ აცნობოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს.

## XI. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრს

1. დაამტკიცოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ ფასების კომიტეტთან შეთანხმებით დროებითი საბითუმო ფასები ყველა სახის რემონტისათვის: ავტომობილებისა (გარდა კაპიტალურისა), აგრეგატებისა და მოწყობილობისა, ავტოსალტეების რემონტისა, აგრეთვე რეზინა-ტექნიკური ნაწარმის დამზადებისათვის.

2. დააწესოს საწვავ-საცხები მასალების ხარჯვის დროებითი ნორმები იმ მარკის ავტომობილებისათვის, რომლებზედაც არ არის დამტკიცებული საერთო საკავშირო ნორმები.

3. დააწესოს იმ პროდუქციის გასაცემი ფასები, რომელიც დამზადებულია შინაგანი მოხმარებისა და თავისი სისტემის საწარმოებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## XII. საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრს

1. შეიტანოს ცვლილებანი საცალო საქონელბრუნვის კვარტალურ გეგმებში რაიონების მიხედვით, თავისი სისტემის უწყებების მიხედვით, სამინისტროსათვის დამტკიცებული საქონელბრუნვის გეგმის ფარგლებში და შეცვალოს სავაჭრო ორგანიზაციებს შორის საფინანსო გეგმების მაჩვენებლები ისე, რომ უცვლელი დარჩეს ბიუჯეტთან ურთიერთობა, რაც უნდა ეცნობოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს.

2. აწარმოოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით კვარტალის შიგნით თვიური ანგარიშების შედეგების მიხედვით ფქვილისა და მარცვლის ფონდების გადანაწილება ავტონომიურ რესპუბლიკებსა, ოლქსა, ქალაქებსა და რაიონებს შორის, აგრეთვე ცეკავშირის გამგეობასთან შეთანხმებით შეიტანოს ცვლილებანი იმ სოფელ ადგილების მოსახლეობისათვის ფქვილის მიყიდვის ლიმიტებში, სადაც არ მოიპოვება პურის ცხობის ბაზა.

3. გადაჭრას ყველა საკითხი, რომლებიც დაკავშირებულია ვაჭრობის ნისიად მოწყობასთან, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ 1964 წლის 29 აპრილს დამტკიცებული № 252 ინსტრუქციის შესაბამისად.

## XIII. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრს

დაამტკიცოს თესლის, თესლნერგის და მრავალწლიან ნარგავთა ნერგის, აგრეთვე შინაგანი მოხმარებისათვის საკუთარი წარმოების ბიოლოგიური და ზოოტექნიკური პრეპარატების ფასები.

## XIV. საქართველოს სსრ მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს

1. გადაწყვიტოს საკითხები შენობათა და ნაგებობათა მოპირკეთებისა, განსაკუთრებულ შემთხვევებში, ძვირადღირებული მასალებით, მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ფარგლებში.

2. დაამტკიცოს სასოფლო-სამეურნეო და წყალსამეურნეო დანიშნულების ობიექტების ტიპობრივი პროექტები.

3. აძლიოს ნებართვები, განსაკუთრებულ შემთხვევებში, სამინისტროებსა და უწყებებს საცხოვრებელი სახლების მშენებლობის ინდივიდუალური პროექტების შედგენის შესახებ.

## XV. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს

1. ჩაუშვას წარმოებაში სრულმეტრაჟიანი და მოკლემეტრაჟიანი შეკვეთილი ფილმები დაინტერესებულ უწყებათა სახსრების ხარჯზე იმ ფარგლებში, რაც დამტკიცებულია სახალხო-სამეურნეო გეგმით და ბიუჯეტით.

2. დაამტკიცოს სარეჟისორო სცენარები, რომლებიც შემუშავებულია კინემატოგრაფიის საკავშირო კომიტეტის მიერ მიღებული ლიტერატურული სცენარების საფუძველზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### XVI. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს

1. ხარჯოს სახსრები კაპიტალდაბანდებათა და მასალების არსებული ლიმიტის ფარგლებში ცენტრალიზებული წესით სასწავლებელთა საწარმოო საქმიანობის შემოსავლის 35-პროცენტიანი ანარიცხებიდან სასწავლებლების შენობათა მშენებლობისა და კეთილმოწყობისათვის.

2. გახსნას და გადააკეთოს პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმისა და დამტკიცებული ბიუჯეტის ფარგლებში, რაც შემდგომ აცნობოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს.

### XVII. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს

1. გაანაწილოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ რესპუბლიკური ბიუჯეტით დამტკიცებული დოტაცია გამომცემლობებსა და ჟურნალების რედაქციებს შორის, რაც შემდგომ აცნობოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს.

2. გადაანაწილოს საკუთარი საბრუნავი სახსრების ნორმატივები გამომცემლობებსა და სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის, შეცვალოს ნორმატივი ერთი მანეთის დანახარჯებზე იმ ნორმატივების საერთო თანხის ფარგლებში, რომლებიც დაწესებულია ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტისათვის, რაც შემდგომ აცნობოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს.

### XVIII. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს

1. დააწესოს სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებში სამეცნიერო მიზნებისათვის განკუთვნილი მასალების ნორმატიული ნაშთების ლიმიტი.

2. დააწესოს მეცნიერებათა აკადემიის ხარჯთაღრიცხვით სპორტული ღონისძიებებისათვის (აკადემიათშორისი ფიზკულტურული შეხვედრებისა და სპარტაკიადების მომზადება და ჩატარება) საჭირო ასიგნობათა ოდენობა საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით.

### XIX. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიის სამმართველოს უფროსს

1. შეიტანოს კვარტალის დამთავრებამდე არა უგვიანეს 45 დღისა ნაწილობრივ ცვლილებანი ცალკეულ სასარგებლო წიაღისეულთა მიხედვით ასიგნობათა განაწილებაში ისე, რომ უცვლელი დარჩეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული ოდენობა ასიგნობებისა მთლიანად დარგების მიხედვით.

2. აწარმოოს, საჭიროების მიხედვით, არალიკვიდურ და ზენორმატიულ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა და მოწყობილობის რეალიზაცია რესპუბლიკის გეოლოგიურ ორგანიზაციებს შორის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**XX. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი სამმართველოების, სამმართველოების უფროსებს, კომიტეტებისა და კომისიების თავმჯდომარეებს**

1. დაამტკიცონ ქვესაუწყებო საწარმოების, მშენებლობების, ტრესტებისა და ორგანიზაციების სტრუქტურა და ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის შტატები იმ ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის რაოდენობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში, რაც დაუწესდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მთავარ სამმართველოს, სამმართველოს, კომიტეტსა და კომისიას, თანამდებობრივი განაკვეთების სქემების დაცვით, რაც შემდგომ რეგისტრირებულ უნდა იქნას საფინანსო ორგანოებში.

2. აძლიონ ხელფასის საერთო ფონდის ფარგლებში პრემიები საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაკებს დიდმნიშვნელოვან დავალებათა შესრულებისათვის, გარდა მოქმედი დებულებებისა შრომის ანაზღაურების და პრემიალური სისტემის შესახებ, აგრეთვე გასცენ ამ სახსრებიდან ერთდროული დახმარება და ხარჯონ აღნიშნული მიზნებისათვის ხელფასის საერთო ფონდის არა უმეტეს 0,05 პროცენტისა.

3. დანიშნონ 300 მანეთამდე პერსონალური განაკვეთები თანამდებობრივი განაკვეთების პერსონალური დანამატების ლიმიტების ფარგლებში, რაც დაწესებულია რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიერ.

4. გამოიყენონ ცენტრალიზებული წესით მოცემული რაიონის მშენებლობათა მომსახურებისათვის ხარჯთაღრიცხვების მე-3 ნაწილით გათვალისწინებული კაპიტალური დაბანდებანი მუშათა მუდმივი ტიპის საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის, აგრეთვე საშენი მასალებისა და კონსტრუქციების დამამზადებელი ინდივიდუალური დამხმარე საწარმოების მშენებლობისათვის.

5. შეასრულონ თავისი მოიჯარე ორგანიზაციების ძალებით სხვა სამინისტროებისა და უწყებებისათვის სამუშაოები შრომის იმ ლიმიტების ხარჯზე, რომლებიც დაწესებულია შემკვეთთათვის, რაც უნდა აცნობონ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს და სტატისტიკურ სამმართველოს.

6. გადაანაწილონ საწარმოთა კაპიტალური რემონტისათვის განკუთვნილი საამორტიზაციო ანარიცხები იმ პირობით, თუ უზრუნველყოფილია სახალხო-სამეურნეო გეგმაში შეტანილი ობიექტების სარემონტო სამუშაოები.

7. გადაანაწილონ საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის საკუთარი საბრუნავი სახსრების ნამეტი თვიური და კვარტალური ბალანსების მიხედვით, რისთვისაც წარადგინონ ბანკების მეშვეობით ბრძანებანი, რომელთა შესრულება სავალდებულოა.

8. შესცვალონ საკუთარი საბრუნავი სახსრების ნორმატივები მუხლების მიხედვით გეგმით დაწესებული ნორმატივების საერთო თანხის ფარგლებში, რაც შემდგომ აცნობონ საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს.

9. შექმნან საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციებისათვის დროებითი ფინანსური დახმარების გასაწევი რეზერვი საკუთარი საბრუნავი სახსრების იმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნორმატივების 3 პროცენტამდე, რომლებიც დაწესებულია წლიური გეგმით, ნორმატივების მატების იმ თანხის მიუხედავად, რაც გათვალისწინებულია შემოსავალ-გასავლის წლიური ბალანსით.

10. აწარმოონ კრედიტების გადაჯგუფება (გარდა ასიგნობებისა ხელფასისა და კაპიტალდაბანდებებისათვის) ერთი მუხლიდან მეორეში ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯების საერთო ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში, რაც უნდა ეცნობოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს.

11. დაიტოვონ თავიანთ განკარგულებაში, საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის შრომის გეგმის განაწილების დროს, მუშაკთა რაოდენობისა და ხელფასის ფონდის რეზერვი 2 პროცენტამდე.

12. მოაწყონ კვალიფიკაციის ასამაღლებელი დროებითი ან მუდმივ-მოქმედი კურსები წარმოებისაგან მოწყვეტით ამ მიზნებისათვის დამტკიცებულ ასიგნობათა და კონტინგენტთა ფარგლებში.

13. ნება დართონ აპარატის მუშაკებს წავიდნენ მივლინებაში რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ.

14. გახსნან ბანკებში დადგენილი წესით საანგარიშსწორებო ანგარიშები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ ნებადართული ოპერაციებისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1966 წლის 11 ივლისის № 410
დადგენილების დანართი № 2

## საკითხები,

### რომლებიც გადაეცა გადასაწყვეტად ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს და თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს

### I. დაგეგმვისა და კაპიტალური მშენებლობის დარგში

1. გამოიყენონ ცენტრალიზებული წესით იმ მშენებლობების მომსახურებისათვის, რომლებიც საკუთარი ძალებით სრულდება, ხარჯთაღრიცხვების მე-3 ნაწილით გათვალისწინებული კაპიტალური დაბანდებანი მუშათა მუდმივი ტიპის საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის, აგრეთვე საშენ მასალათა დამამზადებელი ინდივიდუალური დამხმარე საწარმოების მშენებლობისათვის.

2. გაადიდონ ავტონომიური რესპუბლიკისა, ავტონომიური ოლქისა და ქალაქისათვის წლიური გეგმებით დაწესებული ასიგნობანი ქვესალიმიტო სამუშაოებისათვის ქვესალიმიტო მშენებლობის კაპიტალდაბანდებათა საერთო მოცულობის 5 პროცენტამდე, ზელიმიტური კაპიტალური მშენებლობის ასიგნობათა სათანადოდ შემცირების ხარჯზე, აგრეთვე გაადიდონ ზელიმიტურ კაპიტალურ სამუშაოთა წლიური ასიგნობანი, ზელიმიტური მშენებლობის კაპიტალდაბანდებათა საერთო მოცულობის 5 პროცენტამდე, რისთვისაც შეამცირონ ქვესალიმიტო მშენებლობის ასიგნობანი ისე, რომ არ შემცირდეს საწარმოო სიმძლავრეთა და საცხოვრებელი ფართობის საექსპლუატაციოდ გადაცემის გეგმა.

3. დაამტკიცონ რესპუბლიკური (ასსრ) და საოლქო დაქვემდებარების ქალაქების განაშენიანებისა და განვითარების გენერალური გეგმები, გარდა ქალაქ სოხუმისა, ბათუმისა და ცხინვალისა.

4. სსრ კავშირის და საქართველოს სსრ სამინისტროებთან შეთანხმებით გაანაწილონ სსრ კავშირის და საქართველოს სსრ სამინისტროების მოიჯარე სამშენებლო ორგანიზაციებში, რომლებსაც დაუტვირთავი სიმძლავრენი აქვთ, ადგილობრივი დაქვემდებარების მეურნეობის ობიექტებზე სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა შესრულების შეკვეთები და შესაბამისად გადასცენ შრომის ლიმიტები, ამასთან გაანაწილონ მასალების, ნახევარფაბრიკატებისა და ნაკეთობათა დამზადების შეკვეთები, აგრეთვე დროებით გამოიყენონ სამშენებლო ორგანიზაციების არასრულად დატვირთული მექანიზმები, მოწყობილობა და სატრანსპორტო საშუალებანი.

5. ნება დართონ განსაკუთრებულ შემთხვევებში ადგილობრივ დაქვემდებარების საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს ხარჯონ მათთვის გამოყოფილ კაპიტალდაბანდებათა ანგარიშში სახსრები იმ შენობათა შესაძენად, რომლებიც ეკუთვნით კოლმეურნეობებს, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში — კერძო პირებსაც, იმ ფასად, რაც არ უნდა აღემატებოდეს სადაზღვეო შეფასებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. საქართველოს სსრ შესაბამის სამინისტროებთან და უწყებათა ხელმძღვანელებთან შეთანხმებით გადაწყვიტონ იმ სახსრების ერთობლივი გამოყენების საკითხები, რომლებიც მათ გამოეყოფათ საბინაო, კომუნალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობისათვის, აგრეთვე აწარმოონ საჭირო შემთხვევებში იმ სახსრების ცენტრალიზაცია, რაც რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებსა და ორგანიზაციებს გამოეყოთ კანალიზაციების, მისასვლელი ლიანდაგებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობის და დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობასთან დაკავშირებული ღონისძიებებისათვის.

7. განახორციელონ ერთეული ფასების მიხედვით (უხარჯთაღრიცხვებოდ) იმ მშენებლობისა და კაპიტალური რემონტის დაფინანსება, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება არ აღემატება 10 ათას მანეთს.

8. წარმართონ დამატებითი კაპიტალდაბანდებებისათვის იმ მასალების რეალიზაციის შედეგად შემოსული სახსრები, რომლებიც მიღებულია უვარგის შენობათა და ნაგებობათა დაშლისაგან.

9. მოახდინონ საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა თანხმობით საჭირო შემთხვევებში მათი ქვესაუწყებო საწარმოებისა და ორგანიზაციების ზეგეგმითი მოგების იმ ანარიცხების ცენტრალიზაცია, რომლებიც საბინაო მშენებლობას ხმარდება.

10. გაუდიდონ მიმდინარე წლის ნოემბერ-დეკემბერში კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსების გეგმები იმ მშენებლობებს, რომლებიც გადაჭარბებით ასრულებენ გეგმას, რისთვისაც შეუმცირონ დაფინანსების გეგმა იმ მშენებლობებს, რომლებიც გეგმას ვერ ასრულებენ, ისე, რომ არ შემცირდეს საწარმოო სიმძლავრეთა, ობიექტებისა და ძირითადი ფონდების საექსპლუატაციოდ გადაცემის დავალებანი და კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა.

11. ნება დართონ ქვესაუწყებო საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს ჩაატარონ საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობა იმ სახსრების ხარჯზე, რომლებიც გათვალისწინებულია საცხოვრებელი ფონდის კაპიტალური რემონტისათვის.

12. საჭიროების შემთხვევაში შეადგინონ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო ბიუროს მეშვეობით 100 ათას მანეთამდე სახარჯთაღრიცხვო ღირებულების კაპიტალური მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

13. ნება დართონ ქვესაუწყებო საპროექტო ორგანიზაციებს შეასრულონ ხელშეკრულებებით, მათთვის დაწესებული გეგმების გადამეტებით, იმ სამშენებლო ობიექტების საპროექტო-საძიებო სამუშაოები, რომლებიც კაპიტალურ სამუშაოთა სახელმწიფო გეგმის გადამეტებით ხორციელდება, დაფინანსების სპეციალური წყაროების ხარჯზე, საპროექტო-საძიებო სამუშაოთათვის დაწესებული ლიმიტების ფარგლებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## II. დაფინანსების დარგში

14. მოახმარონ ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების დროს დამატებით მიღებული შემოსავალი სახალხო მეურნეობის და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დაფინანსებას (კაპიტალურ დაბანდებათა ჩათვლით), ავტონომიური რესპუბლიკის, ოლქის, ქალაქის ბიუჯეტით გათვალისწინებულ ასიგნობათა გადამეტებით, ისე რომ არ გადიდდეს ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯები.

15. ხარჯონ ადგილობრივი ბიუჯეტიდან საჭირო შემთხვევებში სახსრები:

ა) ერთდროული ფულადი დახმარების გასაწევად სტიქიური უბედურებით დაზარალებული ცალკეული მოქალაქეებისათვის ერთ ოჯახზე 100 მანეთამდე;

ბ) მატერიალური დახმარების გასაწევად სკოლების მოსწავლეებისათვის, რომლებიც დროებით ხელმოკლეობას განიცდიან;

16. გაადიდონ საქართველოს პროფსაბჭოსთან და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით მოგების ანგარიშში გასაწევი ხარჯების ოდენობა იმ ბაღების, პარკების, შენობათა, სადგომებისა და ნაგებობათა, აგრეთვე პიონერთა ბანაკების სამეურნეო შენახვისათვის, რომლებიც განკუთვნილია მუშა-მოსამსახურეთა და მათი ოჯახის წევრთა შორის კულტურულ-საგანმანათლებლო, გამაჯანსაღებელი, ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის ჩასატარებლად.

17. შექმნან დადგენილი წესით ახალი ტექნიკის ათვისების ფონდი ქვესაუწყებო საწარმოებში, რომლებიც სამოქალაქო პროდუქციას ამზადებენ.

18. ნება დართონ საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, როგორც გამონაკლისი, ქვესაუწყებო საწარმოებს შექმნან საწარმოს ფონდი იმ პირობების ნაწილობრივ შეუსრულებლობის დროს, რომლებიც საჭიროა მოქმედი კანონმდებლობით მის შესაქმნელად.

19. ნება დართონ ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროებს, საოლქო და საქალაქო აღმასკომის განყოფილებებს გაადიდონ ან შეამცირონ პირველი კვარტალის გასვლის შემდეგ, ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროსთან, საოლქო და საქალაქო საფინანსო განყოფილებასთან შეთანხმებით, წლიური ასიგნობანი არა უმეტეს 10 პროცენტისა:

ა) საკუთარი საბრუნავი სახსრების, საოპერაციო და სხვა დანახარჯების დასაფინანსებლად მუხლით „სახალხო მეურნეობის დაფინანსება“ — იმ წლიურ ასიგნობათა საერთო თანხის ფარგლებში, რომლებიც გათვალისწინებულია ბიუჯეტით ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროებისა და აღმასკომის განყოფილებებისათვის, მთლიანად აღნიშნული ხარჯების ყველა სახეობის მიხედვით;

ბ) საბავშვო ბაღებისა, ბაგებისა და გახ[illegible]ლების და ჯანმრთელობის დაცვის სხვა ღონისძიებებისათვის — ავტონომიური რესპუბლიკის, ოლქისა და ქალაქის საერთო ბიუჯეტის ფარგლებში.

ზემოაღნიშნული ცვლილებანი შეიტანონ ყველა მუხლის მიხედვით, გარდა ასიგნობებისა კაპიტალური დაბანდებებისათვის, ხელფასისა და სამმართველო ხარჯებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

20. გასცენ საჭიროების შემთხვევაში სესხი ავტონომიური რესპუბლიკის, ოლქისა და ქალაქის ბიუჯეტებიდან რაიონებისა და ქალაქების ბიუჯეტების დროებითი გეგმიანი საკასო გარღვევის დასაფარავად იმ ანგარიშით, რომ დაიფაროს ეს სესხი მიმდინარე წლის განმავლობაში.

21. ნება დართონ საბინაო მეურნეობის საკუთარი სახსრების გადანაწილებისა რენტაბელურ და ზარალიან სახლმმართველობებს შორის.

22. გაადიდონ საჭირო შემთხვევებში ასიგნობანი ადგილობრივი საბჭოების საცხოვრებელი ფონდისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების (სკოლები, საავადმყოფოები, საბავშვო დაწესებულებები და ა. შ.) კაპიტალური რემონტისათვის ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის და ქალაქის ბიუჯეტის ხარჯზე.

23. ნება დართონ ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროებს, საოლქო აღმასკომის და თბილისის საქალაქო აღმასკომის განყოფილებებს:

ა) გადაანაწილონ რესპუბლიკური (ასსრ), საოლქო, საქალაქო და რაიონული დაქვემდებარების საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის საკუთარი საბრუნავი სახსრების ნამეტი წლიური ანგარიშების ან საწარმოო გეგმის შეცვლასთან დაკავშირებით, საკუთარი საბრუნავი სახსრების შეცვლის გამო, რისთვისაც წარადგინონ ბანკების მეშვეობით ბრძანებები, რომელთა შესრულება სავალდებულოა;

ბ) შეცვალონ საკუთარი საბრუნავი სახსრების ნორმატივები მუხლების მიხედვით გეგმით დაწესებული ნორმატივების საერთო თანხის ფარგლებში, რაც შემდეგ ეცნობოს ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს, საოლქო, საქალაქო საფინანსო განყოფილებას;

გ) გამოიყენონ საკუთარი საბრუნავი სახსრების იმ დანაკლისის დასაფარავად, რაც გამოვლინებულია წლიური ანგარიშით რესპუბლიკური (ასსრ), საოლქო, საქალაქო, რაიონული დაქვემდებარების საწარმოებსა და ორგანიზაციებში, ამ საწარმოთა და ორგანიზაციათა შინაგანი რესურსები (ფართო მოხმარების ფონდი, დროებითი საფინანსო დახმარების გასაწევი რეზერვი და სხვა ფონდების ნაშთები);

დ) აწარმოონ კრედიტების გადაჯგუფება (გარდა ასიგნობებისა ხელფასის და კაპიტალური დაბანდებებისათვის) ერთი მუხლიდან მეორეში ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯების საერთო ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში, რაც უნდა ეცნობოს ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს, საოლქო, საქალაქო საფინანსო განყოფილებას.

24. შექმნან რესპუბლიკური (ასსრ), საოლქო და საქალაქო დაქვემდებარების საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციებისათვის დროებითი საფინანსო დახმარების გასაწევი რეზერვი წლიური გეგმით დაწესებული საკუთარი საბრუნავი სახსრების ნორმატივების 3 პროცენტამდე, მიუხედავად ნორმატივების იმ მატების თანხისა, რაც გათვალისწინებულია წლიური საფინანსო გეგმით.

25. გამოიყენონ ზეგეგმითი დაგროვებანი, რომლებიც შეიქმნება კომუნალურ საწარმოებში (სასტუმროები, აბანოები, სამრეცხაოები, საპარიკმახეროები) ამ საწარმოებისათვის მოწყობილობისა და ინვენტარის შესაძენად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

26. გაითვალისწინონ, საჭიროების შემთხვევაში, კომუნალურ-საბინაო მეურნეობის მცირე საწარმოების საფინანსო გეგმებით დოტაცია ადგილობრივი ბიუჯეტიდან მომსახურების გაწევის დანახარჯებსა და ამონაგებს შორის არსებული განსხვავების დასაფარავად, აგრეთვე გამოყონ საბიუჯეტო ასიგნობანი ამ საწარმოთა კაპიტალური რემონტისათვის საამორტიზაციო ანარიცხთა თანხის გადამეტებით.

27. განახორციელონ სასოფლო საბჭოების შენობათა მშენებლობა კაპიტალურ დაბანდებათა სახელმწიფო გეგმის გადამეტებით, შეიძინონ მათთვის ინვენტარი და განახორციელონ რაიაღმასკომების, სასოფლო საბჭოებისა და სახალხო სასამართლოების შენობათა რემონტი იმ შემოსავლის ხარჯზე, რაც დამატებით იქნება გამოვლინებული და მიღებული ავტონომიური რესპუბლიკის, ოლქის, ქალაქის ბიუჯეტის შესრულების დროს და გასავალზე შემოსავლის გადამეტების თანხების ანგარიშში, რაც რჩება ავტონომიური რესპუბლიკის, ოლქის, ქალაქის განკარგულებაში.

28. ნება დართონ, აწარმოონ სკოლების, სასწავლებლების, კულტურის სახლების, კლუბების, ბიბლიოთეკების რეკონსტრუქცია და გაფართოება კაპიტალური რემონტისათვის განკუთვნილი სახსრების ხარჯზე, აგრეთვე ბიუჯეტის შესრულების დროს დამატებით მიღებული სახსრების ხარჯზე. გამოიყენონ მცირე სასოფლო სკოლების ლიკვიდაციის დროს განთავისუფლებული საბიუჯეტო სახსრები იმისათვის, რომ დაფინანსდეს, კაპიტალურ დაბანდებათა გეგმის გადამეტებით, საკლასო სადგომების მიშენება გამსხვილებულ სკოლებში.

29. შეიტანონ ცვლილებანი შემოსავალ-გასავლის ბიუჯეტის კვარტალობრივ განაწილებაში სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებათა მიხედვით.

30. საჭიროების შემთხვევაში გადაანაწილონ საბიუჯეტო ასიგნობანი ერთი პარაგრაფიდან მეორეში, ერთი განაყოფის ფარგლებში, აგრეთვე აღმასკომის განყოფილებებს შორის, ისე რომ არ გადიდდეს ხელფასის ფონდი და კაპიტალური დაბანდებანი სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისათვის.

### III. შრომისა და ხელფასის დარგში

31. დაამტკიცონ საქართველოს სსრ შესაბამის სამინისტროებთან შეთანხმებით სამინისტროების, სამმართველოების, განყოფილებების, ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოების, მშენებლობების, ტრესტებისა და ორგანიზაციების სტრუქტურა და შტატები ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის დაწესებული რაოდენობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში, თანამდებობრივი განაკვეთების სქემების დაცვით, ისე რომ არ დაირღვეს შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების მიერ დამტკიცებული ლიმიტები პერსონალის რაოდენობისა და ხელფასის ფონდებისა ცალკეულ უწყებათა მიხედვით.

ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის დამტკიცებული შტატები, აგრეთვე ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯების ხარჯთაღრიცხვები შემდგომ რეგისტრირებულ უნდა იქნას საფინანსო ორგანოებში კუთვნილებისამებრ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

32. დაინიშნონ პერსონალური განაკვეთები 300 მანეთამდე (თანამდებობრივი განაკვეთის ჩათვლით) თანამდებობრივი განაკვეთების პერსონალური დანამატების იმ ლიმიტების ფარგლებში, რომლებსაც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო დააწესებს.

33. აძლიონ ხელფასის იმ საერთო ფონდის ფარგლებში, რაც დაწესებულია რესპუბლიკური (ასსრ), საოლქო და საქალაქო დაქვემდებარების საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის, პრემიები საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაკებს დიდმნიშვნელოვან დავალებათა შესრულებისათვის, გარდა მოქმედი დებულებებისა შრომის ანაზღაურების და პრემიალური სისტემის შესახებ, აგრეთვე გაუწიონ ამ სახსრებიდან ერთდროული დახმარება, ამასთან ხარჯონ აღნიშნული მიზნებისათვის ხელფასის საერთო ფონდის არა უმეტეს 0,05 პროცენტისა.

34. დააწესონ ავტონომიური რესპუბლიკის, ოლქისა და ქალაქისათვის დამტკიცებული ხელფასის საერთო ფონდის ფარგლებში იმ არასაშტატო (არასიობრივი) შემადგენლობის მუშაკთა ხელფასის ფონდი, რომლებიც ასრულებენ ადგილობრივი საბჭოების საცხოვრებელი სახლებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების სარემონტო სამუშაოებს.

35. დააწესონ საქართველოს პროფსაბჭოსთან შეთანხმებით, ადგილობრივი პირობების მიხედვით, სავაჭრო საწარმოებისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების გამოსასვლელი დღეები და მუშაობის საათები, ხელფასის იმ ფონდისა და სავაჭრო დარგის მუშაკთა რაოდენობის საფუძველზე, რაც დაწესებულია საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს, ცეკავშირის გამგეობის ან შესაბამისი ცენტრალური სავაჭრო სისტემის მიერ.

36. ნება დართონ, საქართველოს პროფსაბჭოსთან შეთანხმებით, ქვესაუწყებო სამეცნიერო-საკვლევ, საპროექტო და საკონსტრუქტორო ორგანიზაციებს გამოიყენონ შრომის ანაზღაურების აკორდული სისტემა მუშაკთა ცალკეული კატეგორიებისათვის ხელფასის იმ ფონდის ფარგლებში, რაც ამ ორგანიზაციებს დაუწესდათ.

37. დააწესონ ქვესაუწყებო საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, საქართველოს პროფსაბჭოსთან შეთანხმებით, ხელფასის დამტკიცებული ფონდის ფარგლებში, დაჯილდოების მოქმედი სისტემების დამატებით დროებითი (ერთ წლამდე ვადით) სისტემები მუშათა, ხელმძღვანელ, ინჟინერტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა დაჯილდოებისა ცალკეული დიდმნიშვნელოვანი დავალებების და სასწრაფო დავალებების შესრულებისათვის პრემიების იმ მაქსიმალური ოდენობის ფარგლებში, რაც დამტკიცებულია სსრ კავშირის მთავრობის მიერ სახალხო მეურნეობისა და მრეწველობის დარგებისათვის.

38. დააწესონ, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, თანამდებობრივი სარგოს სატარიფო განაკვეთები, ცხრილები და სქემები და დაამტკიცონ დებულება ქვესაუწყებო ახლადშექმნილი (მათ შორის გაერთიანების ან რეორგანიზაციის შედეგად შექმნილი) საწარმოების, ორგანიზაციების და დაწესებულებების მუშაკთა დაჯილდოების შესახებ, რომლებისთვისაც არ არის დამტკიცებული სატარიფო განაკვეთები, ცხრილები, სქემები და თანამდებობრივი განაკვეთები და დებულებანი დაჯილდოების შესახებ, ანალოგიურ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში. წარმოების (სამუშაოს) მოცულობისა და ხასიათის მიხედვით მოქმედი სატარიფო განაკვეთების, ცხრილების, სქემებისა და თანამდებობრივი სარგოს შესაბამისად.

39. დააწესონ საქართველოს პროფსაბჭოსთან და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით ქვესაუწყებო საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მუშაკთა თანამდებობრივი განაკვეთები და დაჯილდოების პირობები ახლად შემოღებულ თანამდებობათა მიხედვით, რომლებიც არ არის გათვალისწინებული თანამდებობრივი განაკვეთების მოქმედი სქემებით და დაჯილდოების დებულებებით, — შესაბამისად იმ თანამდებობრივი განაკვეთებისა და დაჯილდოების პირობებისა, რომლებიც დამტკიცებულია მოცემული საწარმოს ან ორგანიზაციის მუშაკთა შესაბამისი კატეგორიებისათვის, ხელფასის დამტკიცებული ფონდის ფარგლებში.

იმ შემთხვევებში, როდესაც სსრ კავშირის მთავრობის მიერ დამტკიცებული თანამდებობრივი განაკვეთების სქემებით არ არის გათვალისწინებული შრომის ანაზღაურების მხრივ მოცემული ჯგუფის საწარმოებისა, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის ესა თუ ის თანამდებობა, ეს თანამდებობა არ შეიძლება შემოღებულ იქნას, თუ იგი გათვალისწინებულია იმავე სქემით, შრომის ანაზღაურების სხვა ჯგუფების საწარმოებისა, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის.

40. ხარჯონ დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში ცენტრალური აპარატის შესანახად ხელფასის ფონდის 1 პროცენტამდე მუშათა კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებებისათვის.

41. გადაიყვანონ საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით ქვესაუწყებო საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებშიაც სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად გატარებულია ხელფასის მოწესრიგება, ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა შრომის ანაზღაურების ერთი ჯგუფიდან (კატეგორიიდან) მეორეში, მათი წარმოების (სამუშაოთა) მოცულობის შეცვლასთან დაკავშირებით, ამასთან იხელმძღვანელონ დადგენილი წესით დამტკიცებული მაჩვენებლებით ამ საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების განაწილებისა შრომის ანაზღაურების ჯგუფების (კატეგორიების) მიხედვით, ხელფასის დაწესებული ფონდების ფარგლებში, რაც უნდა ეცნობოთ საწარმოების მიხედვით — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტს, ხოლო სამეურნეო და საბიუჯეტო ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მიხედვით — სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს.

42. მიაკუთვნონ საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით რესპუბლიკური (ასსრ), საოლქო და საქალაქო დაქვემდებარების ახლად შექმნილი საწარმოები და ორგანიზაციები ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების და დაჯილდოების შესაბამის ჯგუფს (კატეგორიას), ამასთან იხელმძღვანელონ დადგენილი წესით დამტკიცებული მაჩვენებლებით საწარმოთა და ორგანიზაციათა განაწილებისა შრომის ანაზღაურების და დაჯილდოების ჯგუფების (კატეგორიების) მიხედვით.

მუხ. 75/
ეროვნული ბიბლიოთეკა

43. შექმნან, გარდაქმნან და გააუქმონ საწარმოები, სამშენებლო-საპროექტო და სხვა სამეურნეო ორგანიზაციები მუშაკთა იმ რაოდენობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში, რაც დაწესებულია სახალხო-სამეურნეო გეგმით, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, ხოლო საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციები — აგრეთვე საქართველოს სსრ სახმშენთან შეთანხმებით.

## IV. მიწათსარგებლობის დარგში

44. დაამტკიცონ მიწათსარგებლობაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, კოლმეურნეობებს შორის მიწების გაცვლის მიწათმოწყობის პროექტები, ამასთან დაუშვან არათანაბარი ზომის ნაკვეთების გაცვლა, აგრეთვე კოლმეურნეობებსა, საბჭოთა მეურნეობებსა, სხვა მიწათმოსარგებლეთა და სახელმწიფო მიწის ფონდის და სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებს შორის, საკოლმეურნეო მიწების ფართობის შეუმცირებლად, ამასთან საკითხი შეთანხმებულ უნდა იქნას საქართველოს სსრ შესაბამის სამინისტროებთან.

45. ნება დართონ, რომ გაყვანილ იქნას პირველი ჯგუფის ტყეებში ტრასები და გზები, ელექტროგადამცემი და კავშირგაბმულობის ხაზები, აგრეთვე გაზსადენი ხაზები საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გათვალისწინებული რაოდენობით, უკეთუ არსებობს მშენებლობის დამტკიცებული სატიტულო სიები, აგრეთვე მოიჭრას შეტრუსული და ნაგრიგალევი ხეები.

46. აწარმოონ საჭირო შემთხვევებში, დაინტერესებულ კოლმეურნეობათა თანხმობით, კოლმეურნეობათა მიწათსარგებლობის საზღვრების შეცვლა, ამასთან შეიტანონ შესაბამისი შესწორებანი მიწის სამუდამო სარგებლობის სახელმწიფო აქტებში.

47. ნება დართონ (კოლმეურნეობათა თანხმობით), რომ გამოყოფილ იქნას ერთ წლამდე ვადით მუშა-მოსამსახურეთა საბოსტნეებად კოლმეურნეობათა მიწის ნამეტი იმ ფართობის ზევით, რაც მათ სჭირდებათ თესვისა და საანეულო ხვნის გეგმის შესასრულებლად.

48. ნება დართონ კოლმეურნეობებს, რომლებიც ამას საჭიროებენ, დროებით აწარმოონ თესვა, თივის თიბვა და პირუტყვის ძოვება სხვა კოლმეურნეობათა გამოუყენებელ მიწებზე სახელშეკრულებო საწყისებზე.

49. გაანაწილონ სატყეო მეურნეობებთან და საგზაო ორგანოებთან შეთანხმებით თავისუფალი სახნავი, სათიბი, სასაძოვრო სავარგულები სახელმწიფო ტყის ფონდის ტყეებში და გზების განსხვისების ზოლებში საწარმოებსა, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს შორის სასოფლო-სამეურნეო გამოსაყენებლად.

## V. სხვა სამეურნეო საკითხები

50. ნება დართონ ადგილობრივი დაქვემდებარების ორგანიზაციებს:

ა) მიჰყიდონ ზედმეტი და გამოუყენებელი არაფონდირებული მასალები და მოწყობილობა სახელმწიფო და კოოპერაციულ საწარმოებს და ორგანიზა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციებს იმ შემთხვევაში, როდესაც შესაბამისმა გამსაღებელმა ორგანოებმა არ მიიღეს ეს მასალები და მოწყობილობა სარეალიზაციოდ;

ბ) გადასცენ ფონდები ან აძლიონ თავიანთი არსებული რესურსებიდან მასალები და წვრილი მაკომპლექტებელი მოწყობილობა საქართველოს სსრ აკავშირო, რესპუბლიკური და ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებს დაწესებული ნორმების მიხედვით საჭირო პროდუქციის დასამზადებლად სახელშეკრულებო საწყისებზე, დაწესებული გეგმის შესაბამისად.

51. გაანაწილონ მომხმარებლებს შორის, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, აგური და სხვა საკედლე მასალები, აგრეთვე კრამიტი, კირი, თაბაშირი, ცარცი, ქვა, ხრეში, ღორღი, რომლებსაც ამზადებენ ავტონომიური რესპუბლიკის და ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე არსებული სსრ კავშირის და საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების საწარმოები, ამასთან პირველ რიგში უზრუნველყონ ამ სამინისტროებისა და უწყებების მშენებლობათა და საწარმოთა მოთხოვნილებანი (გარდა იმ საკედლე მასალებისა და სხვა საშენი მასალებისა, რომლებიც ავტონომიური რესპუბლიკიდან და ოლქიდან გააქვთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული გეგმის თანახმად).

52. გაანაწილონ ავტონომიური რესპუბლიკის, ოლქის სავაჭრო ორგანიზაციებს შორის სახალხო მოხმარების საქონელი, რომელიც გამომუშავებულია საერთო-საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების საწარმოთა ფართო მოხმარების საამქროებში, გარდა საქონლის იმ ნაწილისა, რომელიც გატანილ უნდა იქნას ავტონომიური რესპუბლიკის, ოლქის, ქალაქის ფარგლებს გარეთ სახელმწიფო გეგმის შესაბამისად.

53. დაიტოვონ თავიანთ განკარგულებაში ფართო მოხმარების იმ სამრეწველო საქონლის 50 პროცენტი, რომელიც გამომუშავებულია კვარტალური გეგმების გადამეტებით საერთო-საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროების, აგრეთვე საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების საწარმოებში იმ პირობით, თუ შესრულებულია მთელი პერიოდის წარმოების გეგმა წლის დამდეგიდან და გამოიყენონ იგი უმთავრესად მოსახლეობისათვის მისაყიდად.

54. დაიტოვონ თავიანთ განკარგულებაში ფართო მოხმარების საქონლის წარმოებისათვის და ავტონომიური რესპუბლიკის, ოლქისა და ქალაქის სხვა საჭიროებისათვის იმ შავი და ფერადი ლითონების ჯართის 50 პროცენტი, რომლებიც კვარტალური გეგმების გადამეტებით მზადდება, იმის გათვალისწინებით, რომ შესრულდეს ამ ლითონების ჯართის წინა კვარტალების ნაკლმიწოდება.

55. ნება დართონ საჭირო შემთხვევებში ადგილობრივი დაქვემდებარების დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მუშაკებს წავიდნენ მივლინებაში საქართველოს სსრ ფარგლებს გარეთ.

56. ნება დართონ გადაეცეს ფართო მოხმარების საქონლად სამრეწველო გადამუშავებისათვის საბაზრო ფონდით გამოყოფილი სამრეწველო და სასურსათო საქონლის 10 პროცენტამდე იმ ანგარიშით, რომ ამ საქონლიდან გამომუშავებული პროდუქცია მთლიანად იქნას მიწოდებული მოსახლეობისათვის მისაყიდად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

57. გადაწყვიტონ ტრანსპორტზე ყველა მოუთხოვნელი და უდოკუმენტო ტვირთის გამოყენების საკითხები ისე, რომ მისი ღირებულება ანაზღაურებულ იქნას დადგენილი წესით.

58. გადაწყვიტონ სამრეწველო საწარმოთა წარმოების ნარჩენების, აგრეთვე დამზადებათა მთავარ სამმართველოს დამამზადებელი პუნქტებისა და საწარმოების მარცვლეულის და ნაფქვავის ნარჩენების რეალიზაციის საკითხები (იმ ნარჩენების გარდა, რომლებიც გათვალისწინებულია რესურსებით წარმოებისა და მომარაგების გეგმით, და იმ ნარჩენებისა, რომლებსაც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ანაწილებს).

59. დაუწესონ რესპუბლიკური (ასსრ), საოლქო, საქალაქო და რაიონული დაქვემდებარების საწარმოებს დამატებით დავალებანი სამრეწველო პროდუქციის წარმოებისა დამტკიცებული წლიური გეგმის 10 პროცენტამდე იმ ვარაუდით, რომ უზრუნველყოფილ იქნან ეს საწარმოები ნედლეულით ადგილობრივი რესურსების ხარჯზე.

60. ნება დართონ ადგილობრივი მრეწველობის კვების საწარმოებს:

ა) შეისყიდონ სამრეწველო გადამუშავებისათვის კარტოფილის, ბოსტნეულის, ყურძნის, ბაღჩეული კულტურების, ახალი ხილის, ნაყოფის, კენკრისა და სხვა სახის არამარცვლეული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ნამეტი კოლმეურნეობებში, კოლმეურნეებისა და სხვა მოქალაქეებისაგან, რომლებმაც შეასრულეს კონტრაქტაციის, სახელმწიფო შესყიდვისა და სესხის დაბრუნების ვალდებულებანი;

ბ) შეისყიდონ კოლმეურნეობებში, კოლმეურნეებისა და სხვა მოქალაქეებისაგან, რომლებმაც შეასრულეს თავიანთი ვალდებულებანი სახელმწიფოსათვის ხორცის ჩაბარებისა სახელმწიფო შესყიდვის წესით, — გოჭები სახელმწიფო შესასყიდ ფასებში, მათი ზრდის დამთავრებისა და გასუქების ორგანიზაციისათვის, გამოიყენონ ამ მიზნისათვის კვების წარმოების საკვების ნარჩენები, აგრეთვე თავიანთ დამხმარე მეურნეობებში მიღებული საკვები.

აღნიშნული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვა უნდა აწარმოონ ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოებმა მხოლოდ მათი ადგილსამყოფელის რაიონებში და თვით საწარმოთა ძალებით ისე, რომ არ შეიქმნას სპეციალური დამამზადებელი აპარატი;

გ) აწარმოონ გარეული ნადირის, გარეული ხილისა და კენკრის, სოკოს, თაფლისა და ხილის წვნის შესყიდვა და დამზადება განუსაზღვრელი რაოდენობით სამრეწველო გადამუშავებისათვის.

61. გაათავისუფლონ ცალკეული კოლმეურნეობები განუყოფელი ფონდების შენატანების დავალიანების დაფარვისაგან სტიქიურ უბედურებებთან ან სხვა განსაკუთრებულ გარემოებებთან დაკავშირებით.

62. გაანაწილონ ადგილობრივი დაქვემდებარების სამრეწველო საწარმოთა წარმოების ნარჩენები.

63. აწარმოონ სასაქონლო ფონდების გადანაწილება ავტონომიური რესპუბლიკის და ოლქის მომხმარებლებსა და ორგანიზაციებს შორის იმ შემთხვევაში, თუ ეს ფონდები არ გაიტანეს ცალკეულმა მომხმარებლებმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

64. გადაანაწილონ საშენ მასალათა ფონდები, რომლებიც არ გაუტანია ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოებსა და ორგანიზაციებს.

65. გადასცენ რესპუბლიკური (ასსრ), საოლქო და საქალაქო დაქვემდებარების ერთი ქვესაუწყებო ორგანიზაციიდან სხვა ორგანიზაციას შენობები (გარდა ადგილობრივი საბჭოების სახლებისა), ნაგებობანი, მოწყობილობა, სატრანსპორტო საშუალებანი და სხვა ქონება საქართველოს სსრ შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით.

ამავე წესით მიიღონ რესპუბლიკური ორგანიზაციების გამგებლობიდან ადგილობრივი დაქვემდებარების ორგანიზაციების გამგებლობაში და გადასცენ რესპუბლიკურ ორგანიზაციებს შენობები (გარდა ადგილობრივი საბჭოების სახლებისა), ნაგებობანი, მოწყობილობა, სატრანსპორტო საშუალებანი და სხვა ქონება.

66. ნება დართონ, რომ გადაეცეთ კოლმეურნეობებს ადგილობრივი დაქვემდებარების სახელმწიფო საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა კუთვნილი შენობები და ნაგებობანი იმ შეფასებითი ღირებულების გადახდით, რასაც რაიაღმასკომის კომისია დააწესებს.

67. ნება დართონ ტრესაკაფის იმ ფონდის ფარგლებში, რომელიც გამოეყოთ ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, საოლქო და საქალაქო აღმასკომებს, მისცენ ხე-ტყე ძირზე კოლმეურნეობებს, აგრეთვე ცალკეულ მოქალაქეებს (50 კუბურ მეტრამდე მეურნეობაზე) იმ საწარმოო სადგომების, საცხოვრებელი სახლებისა და საეზოო შენობების აღსადგენად, რომლებიც მოსპობილი ან დაზიანებულია ხანძრისა და სხვა სტიქიურ უბედურებათა გამო, ამასთან გაათავისუფლონ ისინი მთლიანად ან ნაწილობრივ გამოყოფილი სამასალე ხე-ტყის საძირკვო გადასახადისაგან.

68. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა მოახდინოს საქალაქო აღმასკომის კულტურის განყოფილების ქვესაუწყებო კინოთეატრების საამორტიზაციო ანარიცხების ცენტრალიზაცია კინოთეატრების კაპიტალური რემონტის განსახორციელებლად.

69. ჩამოწერონ ჯართად გაცვეთილი და სახალხო მეურნეობაში შემდგომ გამოსაყენებლად გამოუსადეგარი მანქანები, მოწყობილობა და სატრანსპორტო საშუალებანი, აგრეთვე დაუმთავრებელ წარმოებაში არსებული ნაკეთობანი, თუ შეუძლებელია მათი გამოყენება.

70. დაამტკიცონ საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით არასამრეწველო საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა დირექტორის (უფროსის) ფონდი, თუ შესრულებულია ის პირობები, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებით ამ ფონდების შექმნის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე გ. ჯავახიშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. ჟიჟაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1966 წლის 11 ივლისის № 410
დადგენილების დანართი № 3

# საკითხები,

## რომლებიც გადაცემულია მშრომელთა დეპუტატების რესპუბლიკური დაქვემდებარების საქალაქო (გარდა ქ. თბილისისა) და რაიონული საბჭოების აღმასკომების გადასაწყვეტად

1. ნება დართონ (კოლმეურნეობათა თანხმობით), რომ გამოიყოს ერთ წლამდე ვადით მუშა-მოსამსახურეთა საბოსტნეებად კოლმეურნეობათა მიწების ნამეტი იმ ფართობის გადამეტებით, რომელიც მათ სჭირდებათ თესვისა და საანეულო ხვნის გეგმის შესასრულებლად.

2. ნება დართონ კოლმეურნეობებს, რომლებსაც ეს სჭირდებათ, დროებით აწარმოონ სახელშეკრულებო საწყისებზე თესვა, თივის თიბვა და პირუტყვის ძოვება სხვა კოლმეურნეობათა გამოუყენებელ მიწებზე.

3. გაანაწილონ სატყეო მეურნეობებთან და საგზაო ორგანოებთან შეთანხმებით თავისუფალი სახნავი, სათიბი, სასაძოვრო სავარგულები სახელმწიფო ტყის ფონდის ტყეებსა და გზათა განსხვისების ზოლებში საწარმოებსა, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს შორის, აგრეთვე საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებს შორის სასოფლო-სამეურნეო გამოყენებისათვის.

4. დაუწესონ საქალაქო და რაიონული დაქვემდებარების საწარმოებს სამრეწველო პროდუქციის წარმოების დამატებითი დავალებანი დამტკიცებული წლიური გეგმის 10 პროცენტის ფარგლებში, ამასთან უზრუნველყონ ისინი ნედლეულით ადგილობრივი რესურსების ხარჯზე.

5. ნება დართონ ადგილობრივი მრეწველობის კვების საწარმოებს:

ა) შეისყიდონ სამრეწველო გადასამუშავებლად სამომხმარებლო კოოპერაციისათვის დაწესებულ ზღვრულ-შესასყიდ ფასებში კარტოფილის, ბოსტნეულის, ყურძნის, ბაღჩეული კულტურების, ახალი ხილის, ნაყოფის, კენკრისა და სხვა სახის არამარცვლეული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ნამეტი კოლმეურნეობებში, კოლმეურნეებისა და სხვა მოქალაქეებისაგან, რომლებმაც შეასრულეს სახელმწიფოსათვის ამ პროდუქტების მიყიდვის დავალებანი;

ბ) შეისყიდონ გოჭები კოლმეურნეობებში, კოლმეურნეებისა და სხვა მოქალაქეებისაგან, რომლებმაც შეასრულეს სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის დავალებანი, შესასყიდ ფასებში, მათი ზრდის დამთავრებისა და გასუქების მოსაწყობად, ამასთან გამოიყენონ ამ მიზნისათვის კვების წარმოების კვების ნარჩენები, აგრეთვე ის საკვები, რომელიც მიღებულია თავიანთ დამხმარე მეურნეობებში.

აღნიშნული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები უნდა შეისყიდონ ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოებმა მხოლოდ მათი ადგილსამყოფელის

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონებში და თვით საწარმოთა ძალებით ისე, რომ არ შეიქმნას სპეციალური დამამზადებელი აპარატი;

გ) შეისყიდონ და დაამზადონ განუსაზღვრელი რაოდენობით გარეული ნადირი, გარეული ხილი და კენკრა, სოკო, თაფლი და ხილის წვენი სამრეწველო გადამუშავებისათვის.

6. განახორციელონ ერთეული ფასდებით (უხარჯთაღრიცხვებოდ) 5 ათას მანეთამდე სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ობიექტების მშენებლობისა და კაპიტალური რემონტის დაფინანსება.

7. ნება დართონ, რომ გადანაწილდეს საბინაო მეურნეობის საკუთარი სახსრები რენტაბელურ და ზარალიან სახლმმართველობებს შორის.

8. გაადიდონ საჭირო შემთხვევებში ასიგნობანი ადგილობრივი საბჭოების საცხოვრებელი ფონდის და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების (სკოლები, საავადმყოფოები, საბავშვო დაწესებულებები და ა. შ.) კაპიტალური რემონტისათვის ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის, ქალაქისა და რაიონის ბიუჯეტის ხარჯზე.

9. წარმართონ დამატებითი კაპიტალდაბანდებებისათვის იმ მასალების რეალიზაციისაგან შემოსული სახსრები, რომლებიც მიღებულია უვარგის შენობათა და ნაგებობათა დაშლის შედეგად.

10. წარმართონ ქალაქის, რაიონის ბიუჯეტის შესრულების დროს დამატებით გამოვლინებული და მიღებული შემოსავალი სახალხო მეურნეობის და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დასაფინანსებლად (კაპიტალდაბანდებათა ჩათვლით) ხარჯების იმ საერთო თანხის გადამეტებით, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტით, ქალაქის, რაიონის ბიუჯეტისათვის იმ ანგარიშით, რომ არ გადიდდეს ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯები.

11. გადაანაწილონ საქალაქო და რაიონული დაქვემდებარების საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის საკუთარი საბრუნავი სახსრების ნამეტი წლიური ანგარიშებით, ან თუ შეიცვალა საკუთარი საბრუნავი სახსრების ნორმატივი საწარმოო გეგმის შეცვლასთან დაკავშირებით, რისთვისაც წარადგინონ ბანკების მეშვეობით ბრძანებები, რომელთა შესრულება სავალდებულოა.

12. შეცვალონ ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოთა და ორგანიზაციათა საკუთარი საბრუნავი სახსრების ნორმატივები მუხლობრივად გეგმით დაწესებული ნორმატივების საერთო თანხის ფარგლებში, რაც აცნობონ საქალაქო, რაიონულ საფინანსო განყოფილებას.

13. გამოიყენონ საკუთარი საბრუნავი სახსრების დანაკლისის დასაფარავად საქალაქო, რაიონული დაქვემდებარების საწარმოებსა და ორგანიზაციებში წლიური ანგარიშით გამოვლინებული ამ საწარმოებისა და ორგანიზაციების შინაგანი რესურსები (ფართო მოხმარების ფონდი, დროებითი, ფინანსური დახმარების გასაწევი რეზერვი და სხვა ფონდების ნაშთები).

14. აწარმოონ კრედიტების გადაჯგუფება (გარდა ასიგნობებისა ხელფასისა და კაპიტალდაბანდებებისათვის) ერთი მუხლიდან მეორეში ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯების საერთო ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში, რაც უნდა აცნობონ საქალაქო, რაიონულ საფინანსო განყოფილებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

15. შექმნან საქალაქო და რაიონული დაქვემდებარების საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციებისათვის დროებითი საფინანსო დახმარების გასაწევი რეზერვი წლიური გეგმით დაწესებული საკუთარი საბრუნავი სახსრების ნორმატივების 3 პროცენტამდე, მიუხედავად ნორმატივების თანხის მატებისა, რაც გათვალისწინებულია წლიური საფინანსო გეგმით.

16. გამოიყენონ კომუნალურ საწარმოებში (სასტუმროები, აბანოები, სამრეცხაოები, საპარიკმახეროები) შექმნილი ზეგეგმითი დაგროვებანი ამ საწარმოებისათვის საჭირო მოწყობილობისა და ინვენტარის შესაძენად.

17. გაითვალისწინონ, საჭიროების შემთხვევაში, კომუნალურ-საბინაო მეურნეობის მცირე საწარმოების საფინანსო გეგმებით დოტაცია ადგილობრივი ბიუჯეტიდან მომსახურების გაწევის დანახარჯებსა და ამონაგებს შორის განსხვავების დასაფარავად, აგრეთვე გამოყონ საბიუჯეტო ასიგნობანი ამ საწარმოთა კაპიტალური რემონტისათვის საამორტიზაციო ანარიცხების თანხების გადამეტებით.

18. დაუწესონ შრომის ლიმიტები აღმასკომების სარემონტო-სამშენებლო და საგზაო-სახიდე ტრესტებსა და კანტორებს, რაიონული დაქვემდებარების საწარმოებს, ისე რომ გამოირიცხოს ეს მაჩვენებლები სახელმწიფო გეგმიდან, აგრეთვე გადასცენ შრომის ლიმიტები მოიჯარე ორგანიზაციებს, რომლებიც ახორციელებენ მშენებლობას რაიონული დაქვემდებარების საწარმოებისათვის.

19. აწარმოონ ქალაქის, რაიონის მომხმარებლებსა და ორგანიზაციებს შორის სასაქონლო ფონდების გადანაწილება იმ შემთხვევაში, თუ ეს ფონდები არ გაუტანიათ ცალკეულ მომხმარებლებს, აგრეთვე ნება დართონ, რომ მიეყიდოთ კოლმეურნეობებს და საბჭოთა მეურნეობებს უნაღდო ანგარიშსწორების წესით ადგილობრივი მრეწველობის ნაკეთობანი, რომლებიც ამ საწარმოებს სჭირდებათ საწარმოო საქმიანობისათვის.

20. გადაანაწილონ საშენ მასალათა ფონდები, რომლებიც ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოებსა და ორგანიზაციებს არ გაუტანიათ.

21. აძლიონ საქალაქო და რაიონული დაქვემდებარების საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის დაწესებული ხელფასის საერთო ფონდის ფარგლებში, პრემიები საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაკებს მნიშვნელოვან დავალებათა შესრულებისათვის, გარდა მოქმედი დებულებებისა შრომის ანაზღაურების და პრემიალური სისტემის შესახებ, აგრეთვე აწარმოონ ამ სახსრებიდან ერთდროული დახმარების გაწევა, ამასთან ხარჯონ აღნიშნული მიზნებისათვის ხელფასის საერთო ფონდის არა უმეტეს 0,05 პროცენტისა.

22. დააწესონ ქალაქისა და რაიონისათვის დამტკიცებული ხელფასის საერთო ფონდის ფარგლებში არასაშტატო (არასიობრივი) შემადგენლობის იმ მუშაკთა ხელფასის ფონდი, რომლებიც ასრულებენ ადგილობრივი საბჭოების საცხოვრებელი სახლებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების სარემონტო სამუშაოებს.

23. დააწესონ, საქართველოს პროფსაბჭოსთან შეთანხმებით და ადგილობრივი პირობების მიხედვით, სავაჭრო საწარმოებისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების გამოსასვლელი დღეები და სამუშაო საათები, ხელფასის იმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფონდისა და ვაჭრობის მუშაკთა რაოდენობის საფუძველზე, რაც დაწესებულია საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს, ცეკავშირის გამგეობის ან სათანადო ცენტრალური სავაჭრო სისტემის მიერ.

24. გადასცენ ერთი ქვესაუწყებო ორგანიზაციიდან ადგილობრივი დაქვემდებარების სხვა ორგანიზაციებს რაიონული (საქალაქო) დაქვემდებარების საწარმოები, შენობები (გარდა ადგილობრივი საბჭოების სახლებისა), ნაგებობანი, მოწყობილობა, სატრანსპორტო საშუალებანი და სხვა ქონება საქართველოს სსრ შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით.

ამავე წესით მიიღონ რესპუბლიკური ორგანიზაციების გამგებლობიდან ადგილობრივი დაქვემდებარების ორგანიზაციების გამგებლობაში და გადასცენ რესპუბლიკურ ორგანიზაციებს შენობები (გარდა ადგილობრივი საბჭოების სახლებისა), ნაგებობანი, მოწყობილობა, სატრანსპორტო საშუალებანი და სხვა ქონება.

ადგილობრივი საბჭოების სახლების გადაცემა შეიძლება მოხდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ნებართვით.

25. ნება დართონ, რომ გადაეცეთ კოლმეურნეობებს რაიონული (საქალაქო) დაქვემდებარების სახელმწიფო საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა კუთვნილი შენობები და ნაგებობანი ფასგადახდით რაიაღმასკომის (საქალაქო აღმასკომის) კომისიის მიერ დაწესებული შეფასების ღირებულების მიხედვით.

26. ნება დართონ, საქალაქო აღმასკომისა და რაიაღმასკომისათვის გამოყოფილი ტყესაკაფის ფონდის ფარგლებში, მიეცეთ ხე-ტყე ძირზე კოლმეურნეობებს, აგრეთვე ცალკეულ მოქალაქეებს (50 კუბურ მეტრამდე მეურნეობაზე) ხანძრის და სხვა სტიქიური უბედურების შედეგად მოსპობილი ან დაზიანებული საწარმოო სადგომების, საცხოვრებელი სახლებისა და საეზოო ნაგებობათა აღსადგენად, ამასთან გაათავისუფლონ ისინი მთლიანად ან ნაწილობრივ გამოყოფილი სამასალე მერქნის საძირკვო გადასახადისაგან.

27. გაანაწილონ შეკვეთები საქართველოს სსრ სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით, რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების ქვესაუწყებო სამშენებლო ორგანიზაციებს შორის, რომლებსაც დაუტვირთავი სიმძლავრენი აქვთ, აგრეთვე ადგილობრივი დაქვემდებარების მეურნეობის ობიექტებზე სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა შესრულების შეკვეთები, შრომის ლიმიტებისა და მასალების სათანადო გადაცემით, და ნახევარფაბრიკატებისა და ნაკეთობათა დამზადების შეკვეთები, აგრეთვე დროებით გამოიყენონ სამშენებლო ორგანიზაციათა არასრულად დატვირთული მექანიზმები, მოწყობილობა და სატრანსპორტო საშუალებანი.

28. გადაწყვიტონ, საქართველოს სსრ შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით, საბინაო, კომუნალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობისათვის გამოყოფილი სახსრების ერთობლივად გამოყენების საკითხები, აგრეთვე აწარმოონ, საჭიროების შემთხვევაში, იმ სახსრების ცენტრალიზაცია, რომლებიც გამოეყოფათ რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებსა და ორგანიზაციებს კანალიზაციის, მისასვლელი ლიანდაგების და

ეროვნული ბიბლიოთეკა

კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობისათვის, აგრეთვე სახლებული პუნქტების კეთილმოწყობასთან დაკავშირებული ღონისძიებებისათვის.

29. გაათავისუფლონ ცალკეული კოლმეურნეობები განუყოფელ ფონდებში შენატანების დავალიანების დაფარვისაგან სტიქიურ უბედურებასთან ან სხვა განსაკუთრებულ გარემოებებთან დაკავშირებით.

30. დაუმტკიცონ ადგილობრივი დაქვემდებარების ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს ხელფასის ფონდი და მუშაკთა რაოდენობა იმ სამუშაოებისათვის, რომლებიც თვითდაბეგვრის ხარჯზე ხორციელდება.

31. გაანაწილონ ადგილობრივი დაქვემდებარების სამრეწველო საწარმოთა წარმოების ნარჩენები.

32. მიიღონ გადაწყვეტილებანი საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობის სამუშაოთა იმ სახსრების ხარჯზე შესრულების შესახებ, რომლებიც განკუთვნილია კაპიტალური რემონტისათვის.

33. განახორციელონ სასოფლო საბჭოების შენობების მშენებლობა კაპიტალურ დაბანდებათა სახელმწიფო გეგმის გადამეტებით, შეიძინონ მათთვის ინვენტარი და განახორციელონ რაიაღმასკომების, სასოფლო საბჭოებისა და სახალხო სასამართლოების შენობათა რემონტი ბიუჯეტის შესრულების დროს დამატებით გამოვლინებული და მიღებული შემოსავლისა და გასავალზე შემოსავლის გადამეტების იმ თანხების ხარჯზე, რაც რაიონული აღმასკომის განკარგულებაში რჩება.

34. აწარმოონ სკოლების, სასწავლებლების, კულტურის სახლების, კლუბების, ბიბლიოთეკების რეკონსტრუქცია და გაფართოება კაპიტალური რემონტისათვის განკუთვნილი სახსრების ხარჯზე, აგრეთვე ბიუჯეტის შესრულების დროს დამატებით მიღებული სახსრების ხარჯზე. გამოიყენონ მცირე სასოფლო სკოლების ლიკვიდაციის დროს განთავისუფლებული საბიუჯეტო სახსრები გამსხვილებულ სკოლებში საკლასო სადგომების მიშენების დასაფინანსებლად კაპიტალურ დაბანდებათა გეგმის გადამეტებით.

35. მოახდინონ ქალაქის, რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული კინოთეატრების საამორტიზაციო ანარიცხების ცენტრალიზაცია კინოთეატრის შენობის კაპიტალური რემონტის განსახორციელებლად.

36. გაადიდონ, საქართველოს პროფსაბჭოსთან და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, იმ ხარჯების ოდენობა, რომლებიც გაიწევა მოგების ანგარიშში მუშა-მოსამსახურეთა და მათი ოჯახის წევრთა შორის კულტურულ-საგანმანათლებლო, გამაჯანსაღებელი, ფიზკულტურული და სპორტული მუშაობისათვის განკუთვნილი ბაღების, პარკების, შენობების, სადგომებისა და ნაგებობების, აგრეთვე პიონერთა ბანაკების სამეურნეო შესანახად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

37. ნება დართონ, რომ საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით შეიქმნას, როგორც გამონაკლისი, საწარმოთა ფონდი, როდესაც ნაწილობრივ არ შესრულებულა ის პირობები, რომლებიც საჭიროა მოქმედი კანონმდებლობის თანახმად ამ ფონდის შესაქმნელად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჟირაქაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასლი

# ამონაწერი

## სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 4 მაისის № 861 დადგენილებიდან

### საკითხები, რომლებიც გადაცემულია მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრების გადასაწყვეტად

1. დაამტკიცონ საწარმოების, მშენებლობების, ტრესტებისა და ორგანიზაციების ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის სტრუქტურა და შტატები სამინისტროსათვის დაწესებული ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის რაოდენობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში ისე, რომ დაცულ იქნას თანამდებობრივი განაკვეთების სქემები.

სამინისტროსადმი დაქვემდებარებული საწარმოების, მშენებლობებისა და ორგანიზაციების ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯების ხარჯთაღრიცხვები და საშტატო ცხრილები შემდგომ რეგისტრირებულ უნდა იქნას რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროში და სათანადო საფინანსო ორგანოებში, კუთვნილებისამებრ.

2. დატოვონ თავიანთ განკარგულებაში საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროების საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის შრომის გეგმის განაწილების დროს რეზერვი მუშაკთა რაოდენობისა და ხელფასის ფონდისა 2 პროცენტამდე.

3. აძლიონ სამინისტროსათვის დაწესებული ხელფასის საერთო ფონდის ფარგლებში პრემიები საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაკებს მნიშვნელოვან დავალებათა შესრულებისათვის, გარდა მოქმედი დებულებებისა შრომის ანაზღაურების და პრემიული სისტემის შესახებ, აგრეთვე აღმოუჩინონ ამ სახსრებიდან ერთდროული დახმარება და ხარჯონ აღნიშნული მიზნებისათვის ხელფასის საერთო ფონდის არა უმეტეს 0,05 პროცენტისა.

4. დანიშნონ პერსონალური განაკვეთები პერსონალური განაკვეთების იმ ლიმიტისა და რაოდენობის ფარგლებში, რასაც რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო დააწესებს.

5. მოაწყონ კვალიფიკაციის ამაღლების დროებით ან მუდმივმოქმედი კურსები წარმოებისაგან მოწყვეტით, ამ მიზნებისათვის დამტკიცებული ასიგნობებისა და კონტინგენტების ფარგლებში.

6. ნება დართონ სამინისტროს სისტემის მუშაკებს გაემგზავრონ მივლინებაში რესპუბლიკის გარეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პუნქტები 7 და 8 გაუქმებულია.

9. დააწესონ კაპიტალდაბანდებათა მოცულობა ცალკეული ობიექტებისათვის მთლიანად მშენებლობის კაპიტალდაბანდებათა გეგმების ფარგლებში ისე, რომ არ შეიცვალოს საწარმოო სიმძლავრისა და საცხოვრებელი ფართობის საექსპლუატაციოდ გადაცემის დავალებანი.

10. გაადიდონ სამინისტროსათვის წლიური გეგმებით დაწესებული ასიგნობანი ქველიმიტური სამუშაოებისათვის ქველიმიტური მშენებლობის კაპიტალდაბანდებათა საერთო მოცულობის 5 პროცენტამდე, ზელიმიტური კაპიტალური მშენებლობის ასიგნობათა სათანადო შემცირების ხარჯზე, აგრეთვე გაადიდონ ზელიმიტური კაპიტალური სამუშაოების წლიური ასიგნობანი ზელიმიტური მშენებლობის კაპიტალდაბანდებათა საერთო მოცულობის 5 პროცენტამდე, ქველიმიტური მშენებლობის ასიგნობათა შემცირების ხარჯზე, ისე რომ არ შემცირდეს საწარმოო სიმძლავრეთა და საცხოვრებელი ფართობის საექსპლუატაციოდ გადაცემის გეგმა.

11. დააწესონ ასამუშავებელი მშენებლობებისა და იმ მშენებლობებისათვის, რომლებსაც შეუძლიათ გადაჭარბებით შეასრულონ გეგმა, კაპიტალურ სამუშაოთა დამატებითი დავალებანი დაწესებული გეგმის ზევით, მოცემული დარგის იმ მშენებლობათა დაფინანსების გეგმის შემცირების ხარჯზე, რომლებიც გეგმას ვერ ასრულებენ, მაგრამ ისე, რომ უცვლელი დარჩეს სიმძლავრეთა ამუშავების დაწესებული გეგმა, რაც უნდა აცნობონ რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიას და შეუთანხმონ სსრ კავშირის სათანადო მინისტრებს საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროების ხაზით.

12. დააწესონ მთლიანად სამინისტროს ხაზით ქველიმიტურ სამუშაოთა სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებული მოცულობის ფარგლებში ხარჯები ცალკეულ მიმართულებათა მიხედვით ისე, რომ არ შეიცვალოს საცხოვრებელი ფართობისა და სკოლების საექსპლუატაციოდ გადაცემის დაწესებული დავალებანი.

13. გამოიყენონ ცენტრალიზებული წესით მოცემული რაიონის მშენებლობათა მომსახურებისათვის ხარჯთაღრიცხვების მე-3 ნაწილით გათვალისწინებული კაპიტალური დაბანდებანი მუშათა მუდმივი ტიპის საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის, აგრეთვე საშენი მასალების და კონსტრუქციების დამამზადებელი ინდივიდუალური დამხმარე საწარმოების მშენებლობისათვის.

14. დანიშნონ კომისიები ქარხნების მისაღებად საექსპლუატაციოდ, აგრეთვე დახურონ ხარჯთაღრიცხვები და სახარჯთაღრიცხვო-საფინანსო გაანგარიშებანი საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროების ზელიმიტური მშენებლობის ობიექტებისათვის.

15. შეასრულონ თავიანთი საიჯარო ორგანიზაციების ძალებით სამუშაოები სხვა სამინისტროებისა და უწყებებისათვის შრომის იმ ლიმიტების ანგარიშში, რომლებიც შემკვეთებს დაუწესდათ, რაც აცნობონ რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიას და სტატისტიკურ სამმართველოს და შეუთანხმონ სსრ კავშირის სათანადო მინისტრებს საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროების ხაზით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

16. გადაანაწილონ საწარმოთა კაპიტალური რემონტისათვის განკუთვნილი საამორტიზაციო ანარიცხები იმ პირობით, თუ უზრუნველყოფილი იქნება სარემონტო სამუშაოები სახალხო-სამეურნეო გეგმაში შეტანილი ობიექტებისათვის.

17. გადაანაწილონ საწარმოებს, ორგანიზაციებს და მთავარ სამმართველოებს შორის საკუთარი საბრუნავი სახსრების გარდამეტი თვიური და კვარტალური ბალანსების მიხედვით, რისთვისაც წარადგინონ ბანკების მეშვეობით ბრძანებები, რომლებიც აუცილებლად უნდა იქნას შესრულებული.

18. გამოიყენონ დროებით, ვადით არა უმეტეს 3 თვისა, ზოგიერთი საწარმოსა და ორგანიზაციის თავისუფალი საბრუნავი სახსრები სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის და აუცილებლად დაუბრუნონ ეს სახსრები იმ საწარმოს ან ორგანიზაციას, რომლებსაც ჩამოერთვა საბრუნავი სახსრები; ამასთან, აძლიონ იმ საწარმოებსა და ორგანიზაციებს, რომლებსაც მათი კარგი მუშაობის შედეგად თავისუფალი საბრუნავი სახსრები დაუგროვდათ, იგივე პროცენტები, როგორსაც ბანკი იძლევა.

19. გახსნან ბანკებში საანგარიშსწორებო ანგარიშები საკუთარი საბრუნავი სახსრების გადასანაწილებლად სამინისტროსადმი უშუალოდ დაქვემდებარებულ მთავარ სამმართველოებსა, აგრეთვე საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის, და სხვა ოპერაციებისათვის.

20. გაადიდონ ან შეამცირონ პირველი კვარტალის გასვლის შემდეგ, რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, არა უმეტეს 10 პროცენტისა წლიური ასიგნობანი:

ა) საკუთარი საბრუნავი სახსრების ზრდის, „სახალხო მეურნეობის დაფინანსების“ მუხლით საოპერაციო და სხვა ხარჯების დასაფინანსებლად — იმ წლიურ ასიგნობათა საერთო თანხის ფარგლებში, რაც გათვალისწინებულია სამინისტროს ბიუჯეტით მთლიანად ყველა სახეობის აღნიშნული ხარჯებისათვის;

ბ) კადრების მომზადებისათვის, სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებებისათვის, საბავშვო ბაღებისათვის, ბაგებისათვის და განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სხვა ღონისძიებებისათვის — იმ წლიურ ასიგნობათა საერთო თანხის ფარგლებში, რაც გათვალისწინებულია სამინისტროს ბიუჯეტით მთლიანად ყველა სახეობის აღნიშნული ხარჯებისათვის.

აღნიშნული ცვლილებანი შეიტანონ ყველა მუხლის მიხედვით, გარდა ასიგნობებისა კაპიტალდაბანდების, ხელფასისა და სამმართველო ხარჯებისათვის.

21. შეცვალონ საკუთარი საბრუნავი სახსრების ნორმატივები მუხლობრივად სამინისტროს გეგმით დაწესებული ნორმატივების საერთო თანხის ფარგლებში, რაც შემდეგ აცნობონ რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს.

22. შექმნან რეზერვი დროებითი ფინანსური დახმარების გასაწევად საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციებისათვის წლიური გეგმით დაწესებული საკუთარი საბრუნავი სახსრების ნორმატივების 3 პროცენტამდე. დამოუკიდებლად ნორმატივების ზრდის თანხისა, რაც გათვალისწინებულია სამინისტროს შემოსავალ-გასავლის წლიური ბალანსით.

23. აწარმოონ კრედიტების გადაჯგუფება (გარდა ხელფასის და კაპიტალდაბანდებათა ასიგნობებისა) ერთი მუხლიდან მეორეში ადმინისტრაციულ-სამმარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თველო ხარჯების საერთო ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში, რაც უნდა ეცნობოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს.

24. დააწესონ და აწარმოონ საჭირო შემთხვევებში სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, მიმწოდებელთა ანგარიშების ცენტრალიზებული განაღდება.

25. ნება დართონ რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, რომ შეიქმნას ცალკეულ საწარმოებში დირექტორის ფონდი და დააწესონ ამ ფონდში ანარიცხების ოდენობა იმ შემთხვევაში, თუ ნაწილობრივ არ იქნა შესრულებული აღნიშნული ფონდის შექმნის პირობები, მაშინ როდესაც შესრულებულია გეგმის ძირითადი მაჩვენებლები.

26. ნება დართონ საწარმოებსა და ორგანიზაციებს:

ა) მიჰყიდონ ზედმეტი და გამოუყენებელი არაფონდირებული მასალები სახელმწიფო და კოოპერაციულ საწარმოებსა და ორგანიზაციებს, მათ შორის კოლმეურნეობებს, იმ შემთხვევებში, როდესაც სათანადო გამსაღებელ ორგანოებს, აგრეთვე საოლქო აღმასკომებს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს არ მიუღიათ ეს მასალები სარეალიზაციოდ;

ბ) გადასცენ დემონტირებული მოწყობილობა ერთი მოქმედი საწარმოდან მეორეში მოცემული სამინისტროს შიგნით ბალანსიდან ბალანსზე უსასყიდლოდ, ხოლო სხვა სამინისტროების საწარმოებს — მოწყობილობის ღირებულების ანაზღაურებით, დადგენილი წესით:

გ) გადასცენ ფონდები ან აძლიონ თავიანთი არსებული რესურსებიდან მასალები და წვრილი მაკომპლექტებელი მოწყობილობა საკავშირო, რესპუბლიკური, ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის საწარმოებს დაწესებული ნორმებით, რათა დამზადდეს საჭირო პროდუქცია ხელშეკრულებების თანახმად.

27. გაანაწილონ და გადაანაწილონ მასალები და მოწყობილობა მოქმედ საწარმოებსა და მშენებლობებს შორის, აგრეთვე გადაანაწილონ საწარმოებს შორის, სამინისტროსათვის გამოყოფილი ფონდების ფარგლებში, ძვირფასი ლითონები.

28. შეადგინონ და დაამტკიცონ სამინისტროს უმნიშვნელოვანესი მშენებლობების მასალებითა და მოწყობილობით კომპლექსური მომარაგების გეგმები.

29. დაამტკიცონ სამინისტროს საწარმოებში და მშენებლობებზე არსებული დაუდგმელი მოწყობილობის ამუშავებისა და რემონტის წლიური გეგმები, აგრეთვე ვადები საიმპორტო მოწყობილობის გადაცემისა მონტაჟისათვის იმ პირობით, რომ უზრუნველყოფილ იქნას საწარმოო სიმძლავრეთა გადაცემა საექსპლუატაციოდ გეგმით დაწესებულ ვადებში.

30. შეცვალონ წლიური გეგმის ფარგლებში მოცემული სამინისტროს საწარმოების მიერ იმ პროდუქციის ჩაბარების კალენდარული ვადები, რომელსაც სამინისტროს სისტემაში იყენებენ.

პუნქტი 31 გაუქმებულია.

32. შეცვალონ მისაწოდებელი პროდუქციის ნომენკლატურა, შემკვეთთან შეთანხმებით, დაწესებული წლიური გეგმის ფარგლებში, რაც შემდგომ აცნობონ რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიას და შეათანხმონ სსრ კავშირის სათანადო მინისტრთან საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროების ხაზით.

33. დაადგინონ რესპუბლიკური სამინისტროების საწარმოების მიერ გამოშვებული ყველა სახის პროდუქციისათვის ტექნიკური პირობებისა და ნახაზების განხილვის და დამტკიცების წესი, იმ ანგარიშით, რომ ტექნიკური პირობები აუცილებლად იქნას შეთანხმებული მომხმარებლებთან.

34. დააწესონ სასაწყობო ბრუნვის დიფერენცირებული გეგმები ცალკეული მომმარაგებელი ორგანიზაციებისათვის იმ სასაწყობო ოპერაციათა საერთო ოდენობის ფარგლებში, რომლებიც გათვალისწინებულია მთლიანად სამინისტროს გეგმით, აგრეთვე დააწესონ ფასნამატი სამინისტროს ცალკეული მომმარაგებელი ორგანიზაციების მიხედვით სამინისტროსათვის დაწესებულ ფარგლებში.

35. დააწესონ მსუბუქი ავტომობილებისათვის ბენზინის ხარჯვის ლიმიტები სამინისტროს მიერ გამოყოფილი ბენზინის ფონდების ფარგლებში.

36. შეიტანონ გეგმის დამტკიცებულ მაჩვენებლებში დაზუსტებანი, რომლებიც გამომდინარეობენ სსრ კავშირის მთავრობის ცალკეული დადგენილებებიდან წარმოებისა და მიწოდების გეგმების შეცვლის შესახებ, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან და სსრ კავშირის სათანადო მინისტრებთან შეთანხმებით საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროების ხაზით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 76 იმ მალეფუჭებადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ნომენკლატურის დამტკიცების შესახებ, რომელიც საქართველოს სს რესპუბლიკაში მზადდება

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს მალეფუჭებადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ნომენკლატურა, რომელიც შემუშავებულია, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დამზადებათა სახელმწიფო კომიტეტის მიერ 1966 წლის 9 ივნისის № 1-34/159 წერილით რეკომენდებული სანიმუშო ნომენკლატურის საფუძველზე, და მიღებულ იქნეს იგი სახელმძღვანელოდ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის კონტრაქტაციის ტიპობრივი ხელშეკრულების მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის გამოყენების დროს, დანართის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჟირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 12 ივლისი, № 414.

მუხ. 76
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1966 წლის 12 ივლისის № 414
დადგენილების დანართი

# ნომენკლატურა

## მალეფუჭებადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისა, რომელიც საქართველოს სს რესპუბლიკაში მზადდება

1. ხორცი და პირველი კატეგორიის სუბპროდუქტები.
2. რძე და რძის პროდუქტები (გარდა კარაქისა და ყველისა).
3. კვერცხი.
4. ბოსტნეული: ყვავილოვანი კომბოსტო, ადრეული კომბოსტო, კიტრი, სამომხმარებლო სიმწიფის პამიდორი, ბადრიჯანი, ყაბაყი, პატისონი, ტკბილი წიწაკა, მწვანე ბარდა, პარკი ლობიო, თვის ბოლოკი და ბოლოკი, ნედლი ხახვი და ნიორი, ფოჩიანი სტაფილო და ჭარხალი და მთელი მწვანილი (პრასი, ნიახური, ოხრახუში, ქინძი, კამა, წიწმატი, რეჰანი, ქონდარი, ესტრაგონი, ისპანახი, მჟაუნა, სალათი).
5. ბაღჩეული — ნესვი.
5. ნაყოფი: გარგარი, ატამი, ქლიავი ყოველგვარი, ტყემლის ჩათვლით, ალუჩა, ალუბალი, ბალი, შინდი, ლეღვი, კენკრა, ზაფხულის ჯიშის ვაშლი და მსხალი, მანდარინი, ფორთოხალი, ლიმონი, სუბტროპიკული ხურმა.
7. ყურძენი სუფრისა და ტექნოლოგიური გადამუშავებისათვის.
8. ჭყლინტი სიმინდი.
9. ჩაის ფოთოლი.
10. ეთერზეთოვანი ნედლეული (გერანი, ვარდი, რეჰანი).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჩირაქაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 77 ზონალური აგროქიმიური ლაბორატორიების ტიპობრივი შტატების დამტკიცების შესახებ

იმისათვის, რომ გაუმჯობესდეს ზონალური აგროქიმიური ლაბორატორიების საქმიანობა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მომსახურების, სასუქთა საველე ცდების ჩატარების, მათი შენახვისა და გამოყენებისადმი კონტროლის განხორციელების, სასუქების ეკონომიური ეფექტიანობის აღრიცხვის ორგანიზაციის დარგში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 9 აპრილის № 319 დადგენილების მე-7 პუნქტის და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 1966 წლის 15 ივნისის № 176—3/989 წერილის შესაბამისად, დამტკიცდეს აგროქიმიური ლაბორატორიების ტიპობრივი შტატები, დანართის თანახმად, და შემოღებულ იქნას ეს შტატები სამოქმედოდ 1967 წლის 1 იანვრიდან.

2. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 4 ოქტომბრის № 730 დადგენილების 33-ე პუნქტის შესაბამისად, განყოფილებათა გამგეების თანამდებობრივი განაკვეთები დაწესდეს თვეში 120-160 მანეთის ოდენობით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჟორჟაძე.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 12 ივლისი, № 415.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1966 წლის 12 ივლისის № 415
დადგენილების დანართი

## საშტატო განრიგი

### საქართველოს სსრ ზონალური აგროქიმიური ლაბორატორიისა

| თანამდებობა | ერთეულების რაოდენობა |
|---|---|
| ლაბორატორიის გამგე . . . . . . . . . . . . . . . . | 1 |
| სულ . . . . . . . | 1 |
| **I. აგროქიმიურ გამოკვლევათა განყოფილება** | |
| განყოფილების გამგე . . . . . . . . . . . . . . . . . | 1 |
| **1. აგროქიმიურ გამოკვლევათა ჯგუფი** | |
| ჯგუფის ხელმძღვანელი — უფროსი სპეციალისტი . . . . . . . | 1 |
| უფროსი ნიადაგმცოდნე — აგროქიმიკოსი . . . . . . . . . | 3 |
| ნიადაგმცოდნე — აგროქიმიკოსი . . . . . . . . . . . . | 4 |
| სულ . . . . . . . | 8 |
| **2. კარტოგრაფიული ჯგუფი** | |
| ჯგუფის ხელმძღვანელი — უფროსი სპეციალისტი . . . . . . . | 1 |
| კარტოგრაფი . . . . . . . . . . . . . . . . . . | 1 |
| უფროსი ტექნიკოსი-კარტოგრაფი . . . . . . . . . . . . . | 1 |
| ტექნიკოს-კარტოგრაფი . . . . . . . . . . . . . . . . | 2 |
| სულ . . . . . . . | 5 |
| **3. სასუქთა საველე ცდების ჯგუფი** | |
| ჯგუფის ხელმძღვანელი — უფროსი სპეციალისტი . . . . . . . | 1 |
| უფროსი აგროქიმიკოსი . . . . . . . . . . . . . . . | 2 |
| აგროქიმიკოსი . . . . . . . . . . . . . . . . . . | 2 |
| სულ . . . . . . . | 5 |
| სულ I განყოფილებაში . . . . . . . | 19 |
| **II. ნიადაგების, სასუქების, საკვებისა და მცენარეთა ანალიზის განყოფილება** | |
| განყოფილების გამგე . . . . . . . . . . . . . . . . | 1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| თანამდებობა | ერთეულების რაოდენობა |
|---|---|
| **1. ნიადაგთა ნაკადური ანალიზების ჯგუფი** | |
| ჯგუფის ხელმძღვანელი — უფროსი სპეციალისტი | 1 |
| უფროსი აგროქიმიკოსი | 2 |
| უფროსი ინჟინერი ხელსაწყოებისა და მოწყობილობის დარგში | 1 |
| უფროსი ტექნიკოს-ანალიტიკოსი | 2 |
| ტექნიკოს-ანალიტიკოსი | 3 |
| ლაბორანტ-პრეპარატორი | 4 |
| სულ | 13 |
| **2. ნიადაგთა საერთო საკონტროლო ანალიზების ჯგუფი** | |
| ჯგუფის ხელმძღვანელი — უფროსი სპეციალისტი | 1 |
| უფროსი აგრონომ-აგროტექნიკოსი | 1 |
| უფროსი ტექნიკოს-ანალიტიკოსი | 3 |
| სულ | 5 |
| **3. საკვებისა და მცენარეთა ანალიზის ჯგუფი** | |
| ჯგუფის ხელმძღვანელი — უფროსი სპეციალისტი | 1 |
| უფროსი ზოოტექნიკოს-ბიოქიმიკოსი | 1 |
| უფროსი ტექნიკოს-ანალიტიკოსი | 1 |
| ტექნიკოს-ანალიტიკოსი | 1 |
| ზოოტექნიკოს-აგროქიმიკოსი | 1 |
| ლაბორანტ-პრეპარატორი | 1 |
| სულ | 6 |
| სულ II განყოფილებაში | 25 |
| **III. დამხმარე პერსონალი** | |
| მდივანი-მემანქანე | 1 |
| მსუბუქი მანქანის შოფერი | 2 |
| უფროსი ბუღალტერი | 1 |
| დამლაგებელი | 1 |
| სულ | 5 |
| მთლად: | 50 |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. ჩირაქაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 78 საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსთან საკონსულტაციო საბჭოს შექმნის შესახებ

ვაჭრობის საკითხების კოორდინაციის, აგრეთვე ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების შემუშავებული რეკომენდაციებისა და პროგრესული ფორმების განხორციელების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. შეიქმნას საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსთან საკონსულტაციო საბჭო 32 კაცის რაოდენობით და დამტკიცდეს მისი პერსონალური შემადგენლობა[1].

2. დაევალოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს შეიმუშაოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინოს დასამტკიცებლად დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებული დებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საკონსულტაციო საბჭოს შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჩირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 15 ივლისი, № 421.

## 79 ხმელი დაფნის ფოთლის შესასყიდი ფასის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს 1966 წლის 1 ოქტომბრიდან კეთილშობილი დაფნის ხმელი ფოთლის შესასყიდი ფასი:

იმ ფოთლისა, რომელიც შესყიდული იქნება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში — 5 მანეთი კილოგრამი;

იმ ფოთლისა, რომელიც შესყიდული იქნება მოსახლეობაში — 4 მანეთი კილოგრამი.

2. დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ ფასების კომიტეტს გადასინჯოს შესაბამისად დაფნის ფოთლის საცალო ფასები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჩირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 19 ივლისი, № 430.

---

[1]) პერსონალური შემადგენლობა არ არის მოყვანილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 80 საქართველოს სსრ მაღალმთიან რაიონებში სამუშაოებზე დასაქმებულ მუშაკთა ხელფასის კოეფიციენტების დაწესების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის 1966 წლის 23 ივნისის № 1574-ბპ წერილის შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს შრომის ანაზღაურების ახალ პირობებზე გადაყვანილ იმ მუშაკთა ხელფასის კოეფიციენტები მაღალმთიანობისათვის, რომლებიც დასაქმებული არიან ზღვის დონიდან 2 ათასიდან 3 ათას მეტრამდე სიმაღლის სამუშაოებზე,—1,20-ის რაოდენობით და 3000 მეტრზე მეტი სიმაღლის სამუშაოებზე—1,30-ის რაოდენობით.

ორგანიზაციები, საწარმოები და დაწესებულებები აღნიშნულ კოეფიციენტებს გასცემენ თანახმად სახელმწიფო გეოლოგიური ზედამხედველობის ამიერკავკასიის განყოფილების მიერ დადგენილი წესით გაცემული ცნობისა რაიონული ცენტრებისა და დასახლებული პუნქტების მაღალმთიან ადგილებზე მიკუთვნების შესახებ.

მოცემული კოეფიციენტის შემოღების შემდეგ ყველა წინათ დაწესებული კოეფიციენტი და დანამატი არ გამოიყენება. კოეფიციენტის გამოყენებით არ შეიქმნება ახალი სატარიფო სარგო და თანამდებობრივი განაკვეთები. კოეფიციენტი შეუფარდდება ხელფასს, გარდა წელთა ნამსახურობის გასამრჯელოსა და პერსონალური განაკვეთებისა. კოეფიციენტი დაერიცხება ხელფასს, რომლის ოდენობა თვეში არ უნდა აღემატებოდეს 300 მანეთს. თუ ხელფასი აღემატება ამ თანხას, მაშინ კოეფიციენტი დაერიცხება მის ნაწილს, რომელიც შეადგენს 300 მანეთს.

2. ეთხოვოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გაადიდოს ხელფასის ფონდი ისე, რომ დარიცხულ იქნას საქართველოს სსრ სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მიხედვით აღნიშნული მიზნებისათვის 17,4 ათასი მანეთი წელიწადში, ხოლო 1966 წლის დამლევამდე 8,5 ათასი მანეთი იმასთან დაკავშირებით, რომ შეუძლებელია აღნიშნული ხარჯების გაწევა ხელფასის იმ ფონდის ფარგლებში, რაც დამტკიცებულია საქართველოს სსრ ადგილობრივი ბიუჯეტით სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისათვის 1966 წელს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე გ. **ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. **ჟორჟაძე.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 27 ივლისი, № 450.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 81 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის ცენტრალური აპარატის სტრუქტურისა და შტატების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის ცენტრალური აპარატის სტრუქტურა, № 1 დანართის თანახმად.

2. დაწესდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის ცენტრალური აპარატის შტატი 75 ერთეულის რაოდენობით, № 2 დანართის თანახმად.

3. შეიქმნას საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტში კოლეგია 7 კაცის რაოდენობით და დაწესდეს კომიტეტის შემადგენლობა 25 წევრის რაოდენობით, მათ შორის 15 წამყვანი მეცნიერი, სპეციალისტი და სატყეო მეურნეობის საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები, რომლებიც არ იმყოფებიან კომიტეტის ცენტრალური აპარატის შტატებში.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტმა ერთი თვის ვადაში წარმოადგინოს დებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის შესახებ, აგრეთვე სახელმწიფო კომიტეტის და კოლეგიის შემადგენლობა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჩირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 30 ივლისი, № 461.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1966 წლის 30 ივლისის № 461
დადგენილების დანართი № 1

# სტრუქტურა

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის ცენტრალური აპარატისა

1. ხელმძღვანელობა
2. ტყის სარგებლობისა და ტყის მოწყობის ორგანიზაციის სამმართველო
3. ტყის დაცვის განყოფილება
4. ტყის კულტურებისა და სატყეო მელიორაციის სამმართველო
5. სახელმწიფო ტყის ზოლებისა და მინდორსაცავი ტყის გაშენების სამმართველო
6. საგეგმო-საფინანსო სამმართველო
7. ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სამმართველო
8. ხე-ტყის დამზადებისა და სამეურნეო ანგარიშის საწარმოების სამმართველო
9. მექანიზაციისა და კაპიტალური მშენებლობის განყოფილება
10. საკონტროლო-სარევიზიო განყოფილება
11. ცენტრალური ბუღალტერია
12. ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1966 წლის 30 ივლისის № 461
დადგენილების დანართი № 2

# საშტატო განრიგი

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტისა

| სტრუქტურულ ქვედანაყოფთა და თანამდებობათა დასახელება | ერთეულების რაოდენობა |
|---|---|
| **I. ხელმძღვანელობა** | |
| 1. სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე . . . | 1 |
| 2. სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე . | 1 |
| 3. სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე . | 1 |
| 4. მთავარი მეტყევე; იგივე ტყის სარგებლობისა და ტყის მოწყობის ორგანიზაციის სამმართველოს უფროსი . . . . . . . . . | 1 |
| 5. იურისკონსულტი—არბიტრი . . . . . . . . . | 1 |
| 6. უფროსი ინსპექტორი კადრების დარგში . . . . . . . | 1 |
| 7. უფროსი ინსპექტორი . . . . . . . . . . | 1 |
| სულ . . . | 7 |
| **II. ტყის სარგებლობისა და ტყის მოწყობის ორგანიზაციის სამმართველო** | |
| 1. სამმართველოს უფროსი — იგივე მთავარი მეტყევე . . . . | — |
| 2. მთავარი ინჟინერი, იგივე სამმართველოს უფროსის მოადგილე . . . | 1 |
| 3. უფროსი ინჟინერი მთავარი სარგებლობის დარგში . . . . | 1 |
| 4. უფროსი ინჟინერი ტყესაკაფების გამოყოფისა და არაძირითადი სარგებლობის დარგში . . . . . . . . . . . . | 1 |
| 5. უფროსი ინჟინერი ტყის მოწყობის დარგში . . . . . . . | 1 |
| 6. უფროსი ინჟინერი ფართობების გამოყოფისა და მიღების დარგში . . | 1 |
| 7. ინჟინერი მოვლითი ჭრის დარგში . . . . . . . | 1 |
| სულ . . . | 6 |
| **III. ტყის დაცვის განყოფილება** | |
| 1. სამმართველოს უფროსი . . . . . . . . . . | 1 |
| 2. უფროსის მოადგილე, იგივე მთავარი ენტომოლოგი . . . . . | 1 |
| 3. უფროსი ინჟინერი დაცვის დარგში . . . . . . . . | 1 |
| 4. უფროსი ინჟინერი საკოლმეურნეო ტყეების ტექნიკური დახმარების დარგში | 1 |
| 5. უფროსი ენტომოლოგი . . . . . . . . . . . | 1 |
| სულ . . . | 5 |
| **IV. ტყის კულტურებისა და სატყეო მელიორაციის სამმართველო** | |
| 1. სამმართველოს უფროსი . . . . . . . . . . | 1 |
| 2. მთავარი ინჟინერი, იგივე სამმართველოს უფროსის მოადგილე . . | 1 |
| 3. უფროსი ინჟინერი, ტყის კულტურებისა და სატყეო მელიორაციის დარგში | 1 |
| 4. უფროსი ინჟინერი მეთესლეობისა და სანერგე მეურნეობის დარგში . . | 1 |
| 5. უფროსი ინჟინერი ტყეპარკების დარგში . . . . . . . | 1 |
| სულ . . . | 5 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| სტრუქტურულ ქვედანაყოფთა და თანამდებობათა დასახელება | ერთეულების რაოდენობა |
|---|---|
| **V. სახელმწიფო ტყის ზოლებისა და მინდორსაცავი ტყის გაშენების სამმართველო** | |
| 1. სამმართველოს უფროსი . . . . . . . . . . . . . . . | 1 |
| 2. მთ. ინჟინერი, სამმართველოს უფროსის მოადგილე . . . . . . | 1 |
| 3. უფროსი ინჟინერი სახ. ტყის ზოლების დარგში . . . . . . . . | 1 |
| 4. უფროსი ინჟინერი კოლმეურნეობებში მინდორსაცავი ტყის გაშენების დარგში | 1 |
| 5. ინჟინერი საბჭოთა მეურნეობებში მინდორსაცავი ტყის გაშენების დარგში | 1 |
| ს უ ლ . . . | 5 |
| **VI. საგეგმო-საფინანსო სამმართველო** | |
| 1. სამმართველოს უფროსი . . . . . . . . . . . | 1 |
| 2. სამმართველოს უფროსის მოადგილე . . . . . . . . . | 1 |
| 3. უფროსი ინჟინერი სატყეო მეურნეობის დაგეგმვის დარგში . . . | 1 |
| 4. უფროსი ეკონომისტი ხე-ტყის დამზადების, გადამუშავების, პროდუქციის და დამხმარე მეურნეობების დაგეგმვის დარგში . . . . . . . | 1 |
| 5. უფროსი ეკონომისტ-ფინანსისტი საბიუჯეტო საქმიანობის დარგში . . | 1 |
| 6. უფროსი ეკონომისტ-ფინანსისტი სამეურნეო ანგარიშის საქმიანობის დარგში | 1 |
| 7. უფროსი ეკონომისტი შრომისა და ხელფასის დარგში . . . . | 1 |
| 8. უფროსი ეკონომისტი თვითღირებულებისა და ფასების დარგში . . | 1 |
| ს უ ლ . . . | 8 |
| **VII. ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სამმართველო** | |
| 1. სამმართველოს უფროსი . . . . . . . . . . . | 1 |
| 2. მთავარი ნადირობათმცოდნე — სამმართველოს უფროსის მოადგილე . | 1 |
| 3. მთავარი მეტყევე ინჟინერი ნაკრძალების დარგში . . . . . | 1 |
| 4. უფროსი მეტყევე-ინჟინერი . . . . . . . . . . . | 1 |
| 5. უფროსი ეკონომისტი ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის დარგში | 1 |
| 6. ბიოლოგი ძვირფასი გარეული ნადირის აკლიმატიზაციის დარგში . . | 1 |
| 7. ნადირობათმცოდნე — სახელმწიფო სამონადირეო ინსპექტორი . . | 2 |
| 8. უფროსი ზოოტექნიკოსი . . . . . . . . . . . | 1 |
| ს უ ლ . . . | 9 |
| **VIII. ხე-ტყის დამზადებისა და სამეურნეო ანგარიშის საწარმოების სამმართველო** | |
| 1. სამმართველოს უფროსი . . . . . . . . . . . | 1 |
| 2. მთავარი ინჟინერი, უფროსის მოადგილე . . . . . . . | 1 |
| 3. უფროსი ინჟინერი მერქნის გადამუშავების დარგში . . . . . | 1 |
| 4. უფროსი აგრონომი . . . . . . . . . . . . | 1 |
| 5. უფროსი ეკონომისტი გასაღების დარგში . . . . . . . | 1 |
| 6. მეფუტკრე-ზოოტექნიკოსი . . . . . . . . . . | 1 |
| 7. ინჟინერი მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების დარგში . . . . | 1 |
| ს უ ლ . . . | 7 |

| სტრუქტურულ ქვედანაყოფთა და თანამდებობათა დასახელება | ერთეულების რაოდენობა |
|---|---|
| **IX. მექანიზაციისა და კაპიტალური მშენებლობის განყოფილება** | |
| 1. განყოფილების უფროსი | 1 |
| 2. მთავარი მექანიკოსი, განყოფილების უფროსის მოადგილე | 1 |
| 3. უფროსი ინჟინერი კაპიტალური მშენებლობის დარგში | 1 |
| 4. ინჟინერ-მექანიზატორი | 1 |
| სულ | 4 |
| **X. საკონტროლო-სარევიზიო განყოფილება** | |
| 1. განყოფილების უფროსი | 1 |
| 2. უფროსი რევიზორ-ბუღალტერი | 1 |
| 3. რევიზორ-ბუღალტერი | 2 |
| 4. მეტყევე ინჟინერი | 2 |
| სულ | 6 |
| **XI. ცენტრალური ბუღალტერია** | |
| 1. მთავარი ბუღალტერი | 1 |
| 2. მთავარი ბუღალტრის მოადგილე | 1 |
| 3. უფროსი ბუღალტერი | 1 |
| 4. მოანგარიშე-მოლარე | 1 |
| სულ | 4 |
| **XII. ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილება** | |
| 1. განყოფილების უფროსი | 1 |
| 2. მდივანი-სტენოგრაფისტი | 1 |
| 3. უფროსი მემანქანე | 1 |
| 4. მემანქანე | 2 |
| 5. საქმის მწარმოებელი | 1 |
| 6. დამლაგებელი | 1 |
| 7. მსუბუქი ავტომანქანის შოფერი | 2 |
| სულ | 9 |
| მთლად | 75 |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჩირაქაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 82 იმ ავტომანქანების ექსპლუატაციის პირობების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც უფასოდ ეძლევათ ინვალიდებს

იმ ავტომანქანების სარგებლობის, მოვლა-პატრონობისა და ექსპლუატაციის პირობების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, რომლებიც ეძლევათ „ზაპოროჟეცის" მარკის ავტომობილების უფასოდ მიღების უფლების მქონე პირებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს ნება დართონ, როგორც გამონაკლისი, ინვალიდებს, რომლებსაც უფლება აქვთ უფასოდ მიიღონ „ზაპოროჟეცის" მარკის ხელით სამართავი ავტომობილები, — ააშენონ, თუ ტექნიკური შესაძლებლობა მოიპოვება, ავტომანქანების დასაყენებელი გარაჟები ეზოებში ან საცხოვრებელი ადგილის მახლობლად.

2. დაწესდეს, რომ ამ დადგენილების 1 პუნქტში აღნიშნულ ინვალიდთა ავტომანქანების შენახვა ხდება სადღეღამისო დაცვის გასაჩერებელ ადგილებში უფასოდ.

3. დაევალოთ:

ა) საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს შეკვეთებით, 1967 წლიდან დაწყებული, შეიტანოს წარმოების გეგმაში ლითონის გარაჟების ყოველწლიური დამზადება იმ ინვალიდებისათვის მისაყიდად, რომლებიც უფასოდ სარგებლობენ ავტომანქანებით;

ბ) თბილისის საქალაქო აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველომ, ხოლო სხვა ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში — მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების შესაბამისმა აღმასკომებმა დადგან ეს გარაჟები ქვესაუწყებო ორგანიზაციების მეშვეობით.

4. დაევალოს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს აწარმოოს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს შეკვეთებით „ზაპოროჟეცის" მარკის ხელით სამართავი ავტომობილების კაპიტალური რემონტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 11 მარტის № 115 დადგენილებით დაწესებულ ვადებში.

5. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარ სამმართველოს:

ა) მოაწყოს 1967 წლის 1 იანვრიდან „ზაპოროჟეცის" მარკის ავტომანქანების მიმდინარე რემონტი და პროფილაქტიკური გასინჯვა;

ბ) შეიმუშაოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ ფასების კომიტეტს წარუდგინოს დასამტკიცებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლად „ზაპოროჟეცის“ მარკის ავტომანქანების მიმდინარე რემონტისა და პროფილაქტიკური მომსახურების ფასების პრეისკურანტი.

6. დაევალოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“ უზრუნველყოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარი სამმართველო სათადარიგო ნაწილებით „ზაპოროჟეცის“ მარკის ხელით სამართავი ავტომობილების მიმდინარე რემონტისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჩირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 30 ივლისი, № 462.

## 83 ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ საკავშირო და რესპუბლიკური მნიშვნელობის კურორტების პროფკავშირთა გამგებლობაში გადაცემის შემდეგ რესპუბლიკის უმდიდრესი ჰიდრომინერალური და კლიმატური სამკურნალო კურორტები, რომლებსაც „ადგილობრივი მნიშვნელობის“ კურორტებს უწოდებენ, მოკლებული არიან სათანადო ყურადღებას. ის უმნიშვნელო ფულადი სახსრები, რაც ყოველწლიურად ეძლევა ამ კურორტებს იქსაქსება, კურორტებზე არ მოიპოვება ელემენტარული სანიტარულ-ტექნიკური პირობები (კანალიზაცია, წყალმომარაგება, ელექტრომომარაგება), მათი კეთილმოწყობა და განვითარება თვითდინებით მიმდინარეობს. მისასვლელი გზები არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია, ცუდად არის მოწყობილი დამსვენებელთა მომარაგება კვების პროდუქტებით და მათი კულტურული მომსახურება.

ასეთი მდგომარეობის მიუხედავად, იმ ავადმყოფთა და დამსვენებელთა რიცხვმა, რომლებმაც ადგილობრივი კურორტებით ისარგებლეს, მარტო 1965 წელს 100 ათას კაცს გადააჭარბა, რაც იმას მოწმობს, რომ საჭიროა ამ კურორტებზე მკურნალობის, დასვენების პირობების გაუმჯობესება, მათი შემდგომი განვითარება.

ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების არადამაკმაყოფილებელი საქმიანობა ძირითადად იმით აიხსნება, რომ მათ საკმაო ყურადღებას არ უთმობენ და დახმარებას არ უწევენ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები, რესპუბლიკის ცალკეული სამინისტროები და უწყებანი, აგრეთვე იმით, რომ არ არსებობს ერთიანი ხელმძღვანელი ორგანო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკის ბუნებრივი სამკურნალო რესურსების დაცვისა და ექსპლუატაციის მოწესრიგების, ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების და სამკურნალო ადგილების შემდგომი განვითარებისა და კეთილმოწყობის, ამ კურორტებზე კვალიფიციური სამედიცინო მომსახურების სწორი ორგანიზაციის მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. რესპუბლიკის ყველა ჰიდრომინერალური და კლიმატოლოგიურ-სამკურნალო რესურსები, სამკურნალო ადგილები და კურორტები, გარდა იმათი, რომლებიც ამჟამად პროფკავშირების, კოლმეურნეობების და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების გამგებლობაში იმყოფებიან, გადაეცეს უსასყიდლოდ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთელი მოწყობილობით, ინვენტარით, საცხოვრებელი ფონდით, მიწის ნაკვეთებით, დამხმარე სათავსოებით, დამხმარე მეურნეობებით, აგრეთვე მთელი ასიგნობებით, შრომის ლიმიტებით, ხელფასის ფონდით, ადმინისტრაციულ-სამეურნეო პერსონალის რაოდენობით, საამორტიზაციო ფონდის სახსრებით და სხვ.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ შეიმუშაოს ადგილობრივი კურორტებისა და საკურორტო ადგილების თავის გამგებლობაში მიღების დიფერენცირებული ვადები, შეათანხმოს ეს ვადები მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებთან და სხვა დაინტერესებულ უწყებებთან და ორგანიზაციებთან, ხოლო შემდეგ გააფორმოს მიღება-გადაცემა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ამასთან იქონიოს მხედველობაში, რომ მთელი ეს მუშაობა უნდა დამთავრდეს არა უგვიანეს 1966 წლის 1 ოქტომბრისა.

2. ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტებისა და საკურორტო ადგილებისადმი ერთიანი ხელმძღვანელობის განხორციელების, აგრეთვე მათი შემდგომი გეგმაზომიერი განვითარების უზრუნველყოფის მიზნით, შეიქმნას საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან კურორტების სამმართველო სამეურნეო ანგარიშზე და დაწესდეს მისი შტატი, დანართის თანახმად.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს და დაამტკიცოს დებულება კურორტების სამმართველოს შესახებ.

3. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ:

ა) სამკურნალო ადგილებისა და ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების საქმიანობისაგან მიღებული დაგროვება მოახმაროს კურორტების შემდგომ კეთილმოწყობასა და განვითარებას, ჰიდრომინერალური ბაზის გაუმჯობესებას, ამ კურორტებისათვის საჭირო მოწყობილობის, ინვენტარისა და ტრანსპორტის შეძენას;

ბ) საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით განსაზღვროს მკურნალობის ვადები და დაამტკიცოს საგზურების, საკურსოებისა და სხვა საკურორტო მომსახურების გასაცემი ფასი;

გ) 1966 წლის 1 სექტემბრამდე შეიმუშაოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად წარმოუდგინოს რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების და საავარაკო ადგილების კლასიფიკაცია;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს და დასამტკიცებლად წარმოადგინოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებული ტიპობრივი შტატი ადგილობრივი მნიშვნელობის სამეურნეო ანგარიშის კურორტების ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალისა;

ე) საქართველოს სსრ სახმშენთან შეთანხმებით შეიმუშაოს ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტებისათვის საპროექტო-საგეგმო დოკუმენტაციის შედგენის, შეთანხმებისა და დამტკიცების წესი და სამი თვის ვადაში წარმოუდგინოს თავისი წინადადებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა:

ა) 1967 წლიდან დაწყებული, გამოუყოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კურორტთა სამმართველოს საჭირო საშენი მასალები, მოწყობილობა, ინვენტარი, სტანდარტული სახლები საკურორტო ადგილებისა და ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების საჭიროებისათვის;

ბ) ყოველწლიურად გაითვალისწინოს ჰიდროგეოლოგიურ სამუშაოთა გეგმებით საძიებო სამუშაოების ჩატარება ადგილობრივ კურორტებზე.

5. საქართველოს სსრ კვების მრეწველობის და ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროებმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარმა სამმართველომ, აგრეთვე სხვა სამინისტროებმა და უწყებებმა, რომლებიც მინერალურ წყალს იყენებენ როგორც ჩამოსასხმელად, ისე სამკურნალოდ და ჰიგიენური მიზნებისათვისაც, სავალდებულო წესით გადაურიცხონ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კურორტების სამმართველოს 30 კაპიკი თვითეულ კუბურ მეტრ მინერალურ წყალში.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ აღნიშნული სახსრები მოახმაროს ადგილობრივი კურორტების კეთილმოწყობასა და განვითარებას.

6. ნება დაერთოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დახარჯოს მიმდინარე წლის 6 თვის განმავლობაში აუთვისებელი სახსრები, ბიუჯეტის შესრულების წესით, ადგილობრივი კურორტებისათვის ინვენტარის, მოწყობილობისა და სატრანსპორტო საშუალებათა შესაძენად.

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 15 ივნისის № 396 დადგენილების მე-2 პუნქტის ნაწილობრივ შესაცვლელად, დაწესდეს, რომ იმ მოქალაქეთა საკურორტო გამოსაღების სახსრები, რომლებიც დასასვენებლად და სამკურნალოდ ჩამოდიან უსაგზურებოდ და უსაკურსოებოდ ადგილობრივი მნიშვნელობის საკურორტო ადგილებსა და კურორტებში, გადადის საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კურორტთა სამმართველოს განკარგულებაში.

8. დაევალოთ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს ყოველნაირად შეუწყონ ხელი ადგილობრივი მნიშვნელობის საკურორტო ადგილებისა და კურორტების კეთილმოწყობასა და განვითარებას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღონ ენერგიული მონაწილეობა მათი სანიტარულ-ტექნიკური პირობების (ელექტრომომარაგება, წყალმომარაგება, კანალიზაცია) გაუმჯობესების, მისასვლელი გზების წესრიგზე მოყვანისა და იმ მხრივ, რომ მოეწყოს დამსვენებელთა შეუფერხებელი და ხარისხიანი მომარაგება კვების პროდუქტებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჩირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 30 ივლისი, № 464.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1966 წლის 30 ივლისის № 464
დადგენილების დანართი

# საშტატო განრიგი

## საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების სამეურნეო ანგარიშის სამმართველოსი

| თანამდებობათა დასახელება | საშტატო ერთეულების რაოდენობა |
|---|---|
| 1. სამმართველოს უფროსი | 1 |
| 2. საქმისმწარმოებელი—მდივანი | 1 |
| 3. უფროსი ინჟინერ-ინსპექტორი | 1 |
| 4. ინჟინერ-გეოლოგი | 1 |
| 5. ინსპექტორი მომარაგების დარგში | 1 |
| 6. სამეურნეო ნაწილის გამგე | 1 |
| 7. მემანქანე | 1 |
| 8. დამლაგებელი—შიკრიკი | 1 |
| სულ | 8 |
| **სამედიცინო განყოფილება** | |
| 9. განყოფილების უფროსი, იგივე სამმართველოს უფროსის მოადგილე | 1 |
| 10. უფროსი ინსპექტორი — ექიმი | 1 |
| 11. უფროსი ინსპექტორი კულტმასობრივი მუშაობის დარგში | 1 |
| სულ | 3 |
| **საგეგმო-საფინანსო განყოფილება და ბუღალტერია** | |
| 12. საგეგმო-საფინანსო განყოფილების უფროსი | 1 |
| 13. უფროსი ინსპექტორი — ეკონომისტი | 1 |
| 14. ინსპექტორი საგზურების დაბეჭდვისა და რეალიზაციის დარგში | 1 |
| 15. მთავარი ბუღალტერი | 1 |
| 16. ბუღალტერი | 1 |
| 17. ბუღალტერ-რევიზორი | 1 |
| 18. მოანგარიშე-მოლარე | 1 |
| სულ | 7 |
| მთლიანად | 18 |

სულ 18 საშტატო ერთეული ხელფასის თვიური ფონდით — 1947 მან. და 50 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. ჩირაქაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 84 კვების მრეწველობის პროდუქციის ახალი საბითუმო ფასების შემოღების შესახებ

შესასრულებლად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 23 ივნისის № 474 დადგენილებისა „კვების მრეწველობის პროდუქციის ახალი საბითუმო ფასების შემოღების შესახებ“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ფასების სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებული გრაფიკი კვების მრეწველობის იმ პროდუქციის ახალი საბითუმო ფასების განხილვისა და შემოღებისა, რომლის ფასები რესპუბლიკაში მტკიცდება, დანართის თანახმად.

2. ეცნობოთ საქართველოს სსრ დაინტერესებულ სამინისტროებს და უწყებებს სახელმძღვანელოდ, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1966 წლის 23 ივნისის № 474 დადგენილებით:

— დააწესა, რომ სასურსათო საქონლის საბითუმო ფასების გადასინჯვის უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს ისეთი პირობების შექმნა, რომლის დროსაც საწარმოები ეკონომიურად იქნებიან დაინტერესებული გაადიდონ მაღალი ხარისხისა და უკეთესი გარეგნული გაფორმების პროდუქციის გამოშვება და არ გამოიმუშაონ ისეთი ნაკეთობანი, რომლებიც არ სარგებლობენ მოსახლეობის მოთხოვნილებით.

ამის შესაბამისად, ახალი საბითუმო ფასების შემუშავებისა და დამტკიცების დროს უნდა დაწესდეს იმ ნაკეთობათა რენტაბელობის უფრო მაღალი ოდენობა, რომლებიც სარგებლობენ უფრო გადიდებული მოთხოვნილებით, და გამოირიცხოს პრეისკურანტებიდან დაბალი ხარისხისა და ცუდი გარეგნული გაფორმების ნაკეთობანი, რომლებიც არ სარგებლობენ მოსახლეობის მოთხოვნილებით.

— დაავალა სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სამინისტროებსა და უწყებებს გააძლიერონ იმისადმი კონტროლი, რომ გამოშვებულ იქნას პროდუქცია სტანდარტების, ტექნიკური პირობებისა და რეცეპტურების შესაბამისად და დააწესა, რომ იმ შემთხვევებში, როდესაც კვების მრეწველობის საწარმოები პროდუქციის გამოშვებისას დაარღვევენ სტანდარტებს, ტექნიკურ პირობებსა და რეცეპტურებს, ამასთან დაკავშირებით მიღებული ეკონომია შეტანილი უნდა იქნას ბიუჯეტში.

— დაავალა სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს მისცეს მითითება, თუ რა წესით უნდა შეიტანონ სამრეწველო საწარმოებმა ეკონომიის აღნიშნული თანხები ბიუჯეტის შემოსავალში და კონტროლი გაუწიოს ამ თანხების გადარიცხვას ბიუჯეტში.

— კვების მრეწველობის პროდუქციის ახალი საბითუმო ფასების შემოღებამ არ უნდა გამოიწვიოს მოქმედი საცალო ფასების შეცვლა და ზარალი სახელმწიფო ბიუჯეტისათვის.

— ნება დართო სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს გასწიონ კვების მრეწველობის პროდუქციის საბითუმო ფასების პრეისკურანტების გადამუშავების ხარჯები სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ ფასების სახელმწი-

№ 4
ეროვნული ბიბლიოთეკა

ფო კომიტეტთან და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებულ თანხების ოდენობით, ქვესაუწყებო საწარმოთა და ორგანიზაციათა 1966 წელს მიღებული იმ ზეგეგმითი მოგების ხარჯზე, რაც უნდა გადაირიცხოს ბიუჯეტში და წარიმართოს საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციებისათვის დროებითი ფინანსური დახმარების გასაწევი რეზერვის შესაქმნელად, ან ხარჯების მომჭირნეობის ანგარიშში.

3. დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ ფასების კომიტეტს დროზე დაუგზავნოს დაინტერესებულ ორგანიზაციებს მეთოდური და საინსტრუქციო მითითებანი და საბითუმო ფასების გადასინჯვის ფორმები, სისტემატური კონტროლი გაუწიოს სამუშაოთა მიმდინარეობას და უზრუნველყოს კვების მრეწველობის პროდუქციის ახალი საბითუმო ფასების პრეისკურანტების დამტკიცება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 10 აგვისტო, № 472.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1966 წლის 10 აგვისტოს № 472 დად-
გენილების დანართი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გრაფიკი

## საქართველოს სსრ კვების მრეწველობის პროდუქციის ახალი საბითუმო ფასების განხილვისა და სამოქმედოდ შემოღებისა

| პრეისკურანტის №№ | პრეისკურანტის დასახელება | იმ სამინისტროების (უწყებების) დასახელება, რომლებიც ეწევიან პრეისკურანტების პროექტების შემუშავებას | მთავარი ორგანიზაციების მიერ მასალების წარდგენის ვადა | ახალი პრეისკურანტების შემოღების ვადა |
|---|---|---|---|---|
| 30-02-06 | მაკარონის ნაწარმი | კვების მრეწველობის სამინისტრო | აგვისტო 1966 წ. | 1/I — 1967 წ. |
| 34-03-06 | საკონდიტრო ნაწარმი | კვების მრეწველობის სამინისტრო | აგვისტო 1966 წ. | 1/I — 1967 წ. |
| 34-05-06 | სოუსი „მაიონეზი“ | ცხიმკომბინატი (თბილისი) | სექტემბერი 1966 წ. | 1/I — 1967 წ. |
| 34-12-06 | ლუდი, უალკოჰოლო სასმელები და მინერალური წყლები | კვების მრეწველობის სამინისტრო | აგვისტო 1966 წ. | 1/I — 1967 წ. |
| 34-13-06 | კვების კონცენტრატები, სანელებელი | კვების მრეწველობის სამინისტრო (მთავარი ორგანიზაცია) „საქმთავარკონსერვხილბოსტანი“ | აგვისტო 1966 წ. | 1/I — 1967 წ. |
| 34-14-06 | ხილკენკრის წვენი, ექსტრატები, გულჩადებული ნაწარმი, ნახარში, სულფიტირებული ნაყოფი და კენკრა | „საქმთავარკონსერვხილბოსტანი“ (მთავარი ორგანიზაცია) კვების მრეწველობის სამინისტრო | სექტემბერი 1966. წ. | 1/I — 1967 წ. |
| 34-16-06 | სახამებელ-ბადაგის პროდუქცია | ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო | დეკემბერი 1966 წ. | 1/I — 1967 წ. |
| 34-18-06 | ლიმონის, რძის, ღვინისქვისმჟავა და თხევადი საკვები ნახშირმჟავა | კვების მრეწველობის სამინისტრო | აგვისტო 1966 წ. | 1/I — 1967 წ. |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. მირაძაძე.



შეკ. 84

№ 4
პარლამენტის
ბიბლიოთეკა

## 85 საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო რაიონების დაგეგმვის სქემების შემუშავების საკითხების შესახებ

გასავითარებლად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 22 ივნისის № 402 დადგენილებისა (პუნქტი 7) „სოფლად მშენებლობის მდგომარეობის და მისი ტემპების გაძლიერებისა და სასოფლო სამშენებლო ორგანიზაციების საწარმოო სიმძლავრეთა განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ“, დამატებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 28 სექტემბრის № 779 დადგენილებისა „საქართველოს სსრ რაიონული დაგეგმვის სქემების შემუშავების შესახებ“ და სასოფლო-სამეურნეო რაიონების დაგეგმვის სქემების დროულად შემუშავების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს საპროექტო ინსტიტუტის საქსახსოფლმშენპროექტის შემუშავებული და საქართველოს სსრ სახმშენის მიერ მოწონებული სქემა საქართველოს სსრ დაყოფისა დასაგეგმავ სასოფლო-სამეურნეო რაიონებად და ზონებად, რომლებიც შეთანხმებულია სასოფლო სპეციალიზაციის ზონების, სამრეწველო და საკურორტო რაიონების, ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქის და ადმინისტრაციული რაიონების საზღვრებთან, დანართის თანახმად.

2. დაწესდეს, რომ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო რაიონების დაგეგმვის სქემებს, რომლებიც შემუშავებულია ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების საფუძველზე, დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო საქართველოს სსრ სახმშენის წარდგენით და დაგეგმვის დამტკიცებული სქემა წარმოადგენს სავალდებულო და ერთადერთ მარეგულირებელ დოკუმენტს სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო რაიონების განაშენიანებისათვის.

3. შემკვეთის ფუნქციები და რესპუბლიკაში დაგეგმვის სქემების შემუშავების სამუშაოებისადმი ხელმძღვანელობა დაეკისროს საქართველოს სსრ სახმშენს.

4. დაეკისროს საპროექტო ინსტიტუტს — საქსახსოფლმშენპროექტს საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო რაიონების დაგეგმვის სქემების შემუშავება ისე, რომ ამ საქმეში მონაწილეობა მიიღონ სუბსაიჯარო საწყისებზე:

ა) საპროექტო ინსტიტუტმა — საქსახქალაქმშენპროექტმა — სასოფლო-სამეურნეო დასაგეგმავ რაიონებში შემავალი საკურორტო ზონების სქემების შემუშავებისათვის;

ბ) საპროექტო ინსტიტუტმა — საქსახმიწპროექტმა — საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო რაიონების დაგეგმვის სქემების შემუშავებაში მონაწილეობისათვის.

5. დაევალოს საპროექტო ინსტიტუტს — საქსახსოფლმშენპროექტს შეიმუშაოს პირველ რიგში თბილისის სამრეწველო რაიონის და სასოფლო-სამეურნეო რაიონების იმ სასოფლო-სამეურნეო ზონების დაგეგმვის სქემები, რომლებიც მოიცავენ კოლხეთის დაბლობის მელიორირებულ ნაწილს, და დაამთავროს ამ სქემების შემუშავება 1968 წელს.

6. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს სსრ სამინისტროებს, ორგანიზაციებსა და უწყებებს ყოველგვარი დახმარება გაუწიონ საპროექტო ინსტიტუტს — საქსახსოფლმშენპროექტს იმ მხრივ, რომ შესრულდეს სასოფლო-სამეურნეო რაიონების დაგეგმვის სქემების შედგენის სამუშაოები დაწესებულ ვადებში.

7. დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტთან ერთად, შეიმუშაოს მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციები მეურნეობებისა და დასახლებული პუნქტების ოპტიმალური ოდენობის მიხედვით და ტექნიკურ-ეკონომიური დასაბუთებანი სასოფლო-სამეურნეო რაიონების დასაგეგმავად.

8. დაევალოს საპროექტო ინსტიტუტს — საქსახსოფლმშენპროექტს შეიმუშაოს ინსტრუქცია საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო რაიონების დაგეგმვის სისტემების შედგენის შესახებ და 1967 წლის პირველ ნახევარში წარუდგინოს იგი დასამტკიცებლად საქართველოს სსრ სახმშენს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჩირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 12 აგვისტო, № 479.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1966 წლის 12 აგვისტოს № 479
დადგენილების დანართი

# ს ქ ე მ ა

## საქართველოს სსრ დასაგეგმავი რაიონებისა

| დასაგეგმავი რაიონების დასახელება | დასაგეგმავი ზონების დასახელება | ადმინისტრაციული რაიონების დასახელება |
|---|---|---|
| I. თბილისის სამრეწველო | 1. თბილისის გარეუბნის | მცხეთის<br>თეთრიწყაროს<br>ბოლნისის<br>მარნეულის<br>გარდაბნის<br>საგარეჯოს |
| | 2. სამთო მეცხოველეობის | დუშეთის<br>თიანეთის<br>ყაზბეგის |
| | 3. შიდა-ქართლის მეხილეობის | ხაშურის<br>ქარელის<br>გორის<br>კასპის |
| II. ალაზნის (შიდა-კახეთის) სასოფლო-სამეურნეო | 1. მევენახეობის | ახმეტის<br>თელავის<br>ყვარლის<br>გურჯაანის |
| | 2. მეთამბაქოეობის | ლაგოდეხის |
| III. გარე-კახეთის მარცვლეულ-მეცხოველეობის სასოფლო-სამეურნეო | — | სიღნაღის<br>წითელწყაროს |
| IV. ჯავახეთის მეცხოველეობის სასოფლო-სამეურნეო | — | წალკის<br>დმანისის<br>ახალქალაქის<br>ბოგდანოვკის |
| V. სამცხე-თრიალეთის სასოფლო-სამეურნეო (ბორჯომის საკურორტო ზონასთან) | — | ბორჯომის<br>ახალციხის<br>ადიგენის<br>ასპინძის |
| VI. სამხრეთ ოსეთის სამთო მეცხოველეობის სასოფლო-სამეურნეო | ჯავის<br>ლენინგორის | ჯავის<br>ლენინგორის |
| VII. სამხრეთ ოსეთის მეხილეობის სასოფლო-სამეურნეო | — | ცხინვალის<br>ზნაურის |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| დასაგეგმავი რაიონების დასახელება | დასაგეგმავი ზონების დასახელება | ადმინისტრაციული რაიონების დასახელება |
|---|---|---|
| VIII. ქუთაისის სამრეწველო | იმერეთის მევენახეობის | ვანის<br>მაიაკოვსკის<br>ორჯონიკიძის<br>ზესტაფონის<br>თერჯოლის<br>ჭიათურის<br>საჩხერის |
| | ქუთაისის საგარეუბნო მეჩაიეობის | სამტრედიის<br>წულუკიძის<br>წყალტუბოს<br>ტყიბულის |
| IX. რაჭა-ლეჩხუმის სასოფლო-სამეურნეო | 1. რაჭა-ლეჩხუმის მევენახეობის<br>2. ლენტეხის<br>3. ონის | ცაგერის<br>ამბროლაურის<br>ლენტეხის<br>ონის |
| X. გურიის სასოფლო-სამეურნეო საკურორტო ზონით | | მახარაძის<br>ჩოხატაურის |
| XI. ცენტრალური კოლხეთის სუბტროპიკული საკურორტო ზონით | 1. მთაგორიანი | წალენჯიხის<br>ჩხოროწყუს<br>გეგეჭკორის |
| | 2. დაბლობი | ზუგდიდის<br>ხობის<br>ცხაკაიას<br>აბაშის<br>ლანჩხუთის |
| XII. მესტიის სასოფლო-სამეურნეო | — | მესტიის |
| XIII. აფხაზეთის სუბტროპიკულ-მეჩაიეობის საკურორტო ზონით | — | ოჩამჩირის<br>გალის |
| XIV. აფხაზეთის სუბტროპიკულ-მეცხოველეობის საკურორტო ზონით | — | სოხუმის<br>გულრიფშის<br>გუდაუთის<br>გაგრის |
| XV. აჭარის სუბტროპიკული საკურორტო ზონით | — | ბათუმის<br>ქობულეთის |
| XVI. ზემო-აჭარის | — | ხულოს<br>შუახევის<br>ქედის |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

საქმეთა მმართველი ა. ჭირაქაძე.

№ 4
ეროვნული
ბიბლიოთეკა

## 86 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 20 მაისის № 320 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

ვინაიდან ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებისათვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთების მცირე ზომის ნამეტის ჩამორთმევამ ვერ გაამართლა თავისი დანიშნულება მათი გამოყენების პრაქტიკული შეუძლებლობის გამო, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

„საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში, ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დაბებში მიწათსარგებლობის წესების არსებული დარღვევების ლიკვიდაციის ზომების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 29 მაისის № 320 დადგენილების მე-5 პუნქტის ნაწილობრივ შესაცვლელად, დაწესდეს, რომ ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებისათვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთების მცირე ზომის ნამეტი (200 კვ. მეტრამდე) ჩამორთმეულ უნდა იქნას მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც მათი გამოყენება შესაძლებელია სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, აგრეთვე სხვა მოქალაქეებისათვის გამოსაყოფად ქალაქებში, რომლებშიაც ნებადართულია ინდივიდუალური საბინაო მშენებლობა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე გ. ჯავახიშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. ჟირაძაძე.

ქ. თბილისი, 1966 წ. 20 აგვისტო, № 494.

## 87 საქართველოს სსრ ზოგიერთი სკოლისათვის გამოჩენილ მოღვაწეთა სახელის მიკუთვნების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაკმაყოფილდეს საქართველოს სსრ განათლების და კულტურის სამინისტროების, ცხაკაიას და მაიაკოვსკის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების შუამდგომლობა და მიეკუთვნოთ:

ცხაკაიას რაიონის ძველი სენაკის—სოფ. ოქტომბრის რვაწლიან სკოლას ამავე სოფლის მკვიდრის, აკადემიკოს პეტრე პავლეს ძე ქავთარაძის სახელი;

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მაიაკოვსკის მუსიკალურ სკოლას საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ ვალერიან სარდიონის ძე ქაშაკაშვილის სახელი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე გ. ჯავახიშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. ჟირაძაძე.

ქ. თბილისი, 1966 წ. 20 აგვისტო, № 495.

## 88 ჟურნალ „საქართველოს სოფლის მეურნეობის“ გამოცემის განახლების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. განახლდეს 1967 წლის იანვრიდან საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ორგანოს — ყოველთვიური სამეცნიერო-პოპულარული სასოფლო-სამეურნეო ჟურნალის „საქართველოს სოფლის მეურნეობის“ გამოცემა.

2. ჟურნალი „საქართველოს სოფლის მეურნეობა“ გამოიცეს 6 სააღრიცხვო-საგამომცემლო ფურცლის მოცულობით 20 ათასი ცალი ერთჯერადი ტირაჟით, ერთი ნომრის ფასი — 30 კაპ.

3. მიეკუთვნოს ჟურნალი „საქართველოს სოფლის მეურნეობა“ შრომის ანაზღაურების მხრივ ჟურნალების III ჯგუფს (სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალები) და დაწესდეს ჟურნალის რედაქციის შტატი და მუშაკთა თანამდებობრივი განაკვეთები, დანართის თანახმად.

4. ჟურნალ „საქართველოს სოფლის მეურნეობის“ ერთი ნომრის ჰონორარი დაწესდეს 800 მანეთის ოდენობით.

5. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ უზრუნველყოს ჟურნალის რედაქცია საჭირო დაფინანსებით.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა წარმოადგინოს წინადადება, რომ გამოეყოს 1966 წლის IV კვარტალში რედაქციას 1,2 ათასი მანეთის ავეჯი, მათ შორის 0,18 ათასი მანეთის სკამები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე გ. ჩოგოვაძე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. ჟორჟაძე.

ქ. თბილისი, 1966 წ. 26 აგვისტო, № 507.

მუხ. 88
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1966 წლის 26 აგვისტოს № 507
დადგენილების დანართი

# შ ტ ა ტ ე ბ ი

## და თანამდებობრივი განაკვეთები ჟურნალ „საქართველოს სოფლის მეურნეობის" მუშაკებისა

| თანამდებობრივი განაკვეთები | საშტატო ერთეულების რაოდენობა | თვიური თანამდებობრივი განაკვეთი მანეთობ. |
|---|---|---|
| 1. მთავარი რედაქტორი . . . . . | 1 | 180 |
| 2. პასუხისმგებელი მდივანი . . . . | 1 | 150 |
| 3. განყოფილებათა გამგეები — რედაქტორები . . . . . . . . . . . | 3 | თითოეულს 140 |
| 4. ლიტერატურული თანამშრომლები . | 3 | თითოეულს 115 |
| 5. ტექნიკური რედაქტორი . . . . | 1 | 90 |
| 6. კორექტორი . . . . . . . . . | 1 | 75 |
| 7. რედაქციის მემანქანე . . . . . | 1 | 60 |
| სულ . . . . | 11 | |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჟირაჟაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 89 საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს დებულება საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჟირაჭაძე.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 26 აგვისტო, № 508.

დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1966 წლის 26 აგვისტოს № 508
დადგენილებით

### დ ე ბ უ ლ ე ბ ა

### საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს შესახებ

1. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო არის საკავშირო-რესპუბლიკური ორგანო, რომელიც ხელმძღვანელობას უწევს უმაღლეს და საშუალო სპეციალურ განათლებას რესპუბლიკაში და ემორჩილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს.

2. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს ინსტრუქციებითა და ბრძანებებით, აგრეთვე ამ დებულებით.

3. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო განაგებს მისდამი უშუალოდ დაქვემდებარებულ უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებსა და საწარმოებს, აგრეთვე ხელმძღვანელობას უწევს რესპუბლიკის ყველა უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლის სამეცნიერო-მეთოდურ და იდეურ-აღმზრდელობით მუშაობას.

4. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს ძირითადი ამოცანებია:

მუზ. 89
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ა) ხელმძღვანელობა გაუწიოს ისეთი მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას უმაღლეს სასწავლებლებში, რომლებიც აკმაყოფილებენ კომუნისტური მშენებლობის მოთხოვნებს, აღზრდილი არიან მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების საფუძველზე, დაეუფლნენ სამამულო და უცხოეთის მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევებს, კარგად იცნობენ საქმის პრაქტიკას;

ბ) ხელმძღვანელობა გაუწიოს რესპუბლიკის მეურნეობის შესაბამისი დარგებისა და კულტურის დაწესებულებებისათვის საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტთა მომზადებას საზოგადოებრივად სასარგებლო შრომასთან სწავლების მჭიდრო კავშირის საფუძველზე, მოსწავლეებში მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის ფორმირებას, მათი კომუნისტური შეგნებულობის ამაღლებას, მომავალ სპეციალისტთა აღზრდას კოლექტივიზმისა და შრომისმოყვარეობის, საზოგადოებრივი მოვალეობის შეგნების სულისკვეთებით;

გ) განავითაროს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლება რესპუბლიკის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის სხვადასხვა დარგების სპეციალისტებზე არსებული მოთხოვნილების შესაბამისად, აღმოფხვრას გაუმართლებელი პარალელიზმი სპეციალისტთა მომზადებაში;

დ) შეისწავლოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან ერთად რესპუბლიკის მოთხოვნილება უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტებზე;

ე) ხელმძღვანელობა გაუწიოს სასწავლო-მეთოდურ და აღმზრდელობით მუშაობას საქართველოს სსრ უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში იმ საერთო სასწავლო-მეთოდური მასალების საფუძველზე, რომლებსაც შეიმუშავებს სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო;

ვ) ხელმძღვანელობა გაუწიოს სამინისტროს სისტემის უმაღლეს სასწავლებლებში სამეცნიერო-საკვლევ მუშაობას, მიმართულს იმ დიდმნიშვნელოვანი პრობლემების გადაწყვეტისაკენ, რომლებიც ხელს უწყობენ კომუნისტური მშენებლობის ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას;

ზ) ხელმძღვანელობა გაუწიოს სამინისტროს სისტემის უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებელთა სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადებას და მათი კვალიფიკაციის ამაღლებას და იმ სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლებას, რომლებიც მუშაობენ რესპუბლიკის კულტურის დარგებსა და დაწესებულებებში, მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევებისა და კადრების კომუნისტური აღზრდის ამოცანების შესაბამისად;

თ) განამტკიცოს სისტემის უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების სასწავლო-მატერიალური ბაზა და გააუმჯობესოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების და სამინისტროს სისტემის სხვა დაწესებულებების პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის, სტუდენტთა, მოსწავლეთა და მუშაკთა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო მასზე დაკისრებული ამოცანების შესაბამისად:

ა) შეიმუშავებს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს წარუდგენს:

— მისდამი დაქვემდებარებულ უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში სპეციალისტთა და ასპირანტთა მომზადების პერსპექტიულ გეგმებს სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებათა შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან ერთად;

— ქვესაუწყებო უმაღლეს სასწავლებლებში ახალი ტექნიკის დარგში უმნიშვნელოვანეს სამეცნიერო-საკვლევ სამუშაოთა პერსპექტიულ და წლიურ გეგმებს;

— სახელმძღვანელოების გამოცემის პერსპექტიულ და წლიურ გეგმებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტთან ერთად;

— წინადადებებს საქვეუწყებო უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების შექმნის, დახურვის, გაერთიანებისა და რეორგანიზაციის შესახებ, აგრეთვე წინადადებებს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების განვითარებასთან დაკავშირებულ სხვა დიდმნიშვნელოვან საკითხებზე;

ბ) ყოველწლიურად წარუდგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით, ქვესაუწყებო უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში მიღების გეგმებს და ახალგაზრდა სპეციალისტთა გამოშვების გეგმებს; წარმოების, კაპიტალური მშენებლობის, შრომის, თვითღირებულებისა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმებს; იმ საწარმოთა სიებს, რომლებიც საჭიროა საწარმოო მუშაობის ბაზებად სამინისტროს სისტემის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისა და ტექნიკუმების მოსწავლეებისათვის;

გ) დაამტკიცებს სასწავლო პროგრამებს იმ ნუსხის თანახმად, რომელსაც დააწესებს სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო;

დ) მოამზადებს გამოსაცემად სახელმძღვანელოებს, სასწავლო და თვალსაჩინო დამხმარე სახელმძღვანელოებს უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლებისათვის;

ე) უშუალოდ უხელმძღვანელებს საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლებას რესპუბლიკის უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში, კონტროლს გაუწევს საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების საქმიანობას; განაზოგადებს და გაავრცელებს ამ კათედრების სასწავლო-მეთოდურ, სამეცნიერო და აღმზრდელობითი მუშაობის გამოცდილებას; მოაწყობს საზოგადოებრივ მეცნიერებათა მასწავლებლების მომზადებას და მათი კვალიფიკაციის ამაღლებას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ) განახორციელებს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია სწავლების ტექნიკურ საშუალებათა დანერგვა სასწავლო პროცესში, მოაწყობს სასწავლო გადაცემებს რადიოთი და ტელევიზიით უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეებისათვის;

ზ) დაამტკიცებს ქვესაუწყებო უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო-საკვლევ სამუშაოთა გეგმებს, კონტროლს გაუწევს ამ გეგმების შესრულებას და დამთავრებული სამუშაოების გადაცემას რეალიზაციისათვის სახალხო მეურნეობაში;

თ) დაამტკიცებს ქვესაუწყებო უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების და სხვა დაწესებულებებისა და ორგანიზაციების სტრუქტურას, აგრეთვე ადმინისტრაციულ-სამმართველო, სამეურნეო და სხვა პერსონალის შტატებს, ფაკულტეტების, სპეციალობათა, სპეციალიზაციათა და კათედრების შემადგენლობას, ნებას დართავს, რომ მოეწყოს დაგეგმილი რაოდენობის ფარგლებში კათედრები და ფაკულტეტები, აგრეთვე უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების ფილიალები, განყოფილებები და სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტები;

ი) საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით დაამტკიცებს სამინისტროს გამგებლობაში მყოფი უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა და სასწავლო-დამხმარე პერსონალის შტატებს;

კ) დაამტკიცებს ქვესაუწყებო უმაღლესი სასწავლებლების საბჭოების შემადგენლობას; სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს დასამტკიცებლად წარუდგენს იმ საბჭოების შემადგენლობას, რომლებსაც ეძლევათ სამეცნიერო ხარისხის მინიჭების უფლება;

ლ) დაამტკიცებს უმაღლესი სასწავლებლების სახელმწიფო საგამოცდო კომისიების თავმჯდომარეებს და ქვესაუწყებო საშუალო სპეციალური სასწავლებლების სახელმწიფო საკვალიფიკაციო კომისიების თავმჯდომარეებს;

მ) დაუგზავნის სასწავლებლებს იმ ახალგაზრდა სპეციალისტთა განაწილების გეგმას, რომლებიც ამთავრებენ უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებს, სპეციალისტთა განაწილების სახელმწიფო გეგმის შესაბამისად; დაამტკიცებს ახალგაზრდა სპეციალისტთა განაწილების შედეგებს სასწავლებლების წარდგენით, აგრეთვე გაანაწილებს იმ პირებს, ვინც ასპირანტურას ამთავრებს; დაამტკიცებს ახალგაზრდა სპეციალისტთა პერსონალური განაწილების კომისიების თავმჯდომარეებს;

ნ) უზრუნველყოფს შენობების, ნაგებობებისა და სხვა ობიექტების მშენებლობას ქვესაუწყებო უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლებისათვის, დაწესებულებებისათვის, ორგანიზაციებისა და საწარმოებისათვის;

ო) დააფინანსებს ქვესაუწყებო უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებსა და საწარმოებს და უზრუნველყოფს მათ მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებას, მოაწყობს ქვესაუწყებო სასწავლებლების სტუდენტთა და მუშაკთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურებას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

პ) აწარმოებს ქვესაუწყებო უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების სტატისტიკურ აღრიცხვას სასწავლებლებისაგან მიღებული სტატისტიკური ანგარიშების საფუძვლებზე, შეიმუშავებს და სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს წარუდგენს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლებისათვის დაწესებულ შეჯამებულ სტატისტიკურ ანგარიშებს;

ჟ) მოაწყობს და კონტროლს გაუწევს საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების დაყენებას სამინისტროს სისტემაში, განიხილავს და დაამტკიცებს უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების, აგრეთვე სამინისტროსადმი უშუალოდ დაქვემდებარებული დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების შეჯამებულ ანგარიშებსა და ბალანსებს, შეადგენს სამინისტროს ყველა სახის საწარმოო და სამეურნეო საქმიანობის წლიურ ანგარიშებს, განახორციელებს საფინანსო კონტროლს და მოახდენს დოკუმენტურ რევიზიებს თავისი სისტემის სასწავლებლებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებსა და საწარმოებში.

6. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს უფლება ენიჭება:

ა) მიიღოს რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებებისაგან მასზე დაკისრებული ამოცანების შესასრულებლად საჭირო მასალები, აგრეთვე უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლებისათვის დაწესებული სტატისტიკური ანგარიშგება;

ბ) მოიწვიოს დადგენილი წესით თათბირები და კონფერენციები უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების საკითხებზე.

7. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს სათავეში უდგას მინისტრი.

უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი:

— ხელმძღვანელობას უწევს სამინისტროს და მისდამი დაქვემდებარებული სასწავლებლების, დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების მთელ საქმიანობას;

— უზრუნველყოფს კანონების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს იმ დადგენილებებისა და განკარგულებების შესრულებას, რომლებიც სამინისტროს საქმიანობას შეეხება, აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს ბრძანებებისა და ინსტრუქციების შესრულებას.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი:

ა) გამოსცემს სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში ბრძანებებსა და ინსტრუქციებს კანონების, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებებისა და ინსტრუქციების საფუძველზე და მათს შესასრულებლად, ამასთან შეამოწმებს მათს შესრულებას;

ბ) შეაჩერებს და გააუქმებს საჭირო შემთხვევებში სასწავლებლების ბრძანებებსა და ინსტრუქციებს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან კანონებს, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებსა და განკარგულებებს, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს და საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს;

გ) დაამტკიცებს დებულებებს სამინისტროს სამმართველოებისა და განყოფილებათა შესახებ, უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების წესდებებს, აგრეთვე უშუალოდ დაქვემდებარებულ დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და საწარმოთა წესდებებს ან დებულებებს; დადგენილი წესით დანიშნავს და თანამდებობიდან გაათავისუფლებს სამინისტროს სამმართველოებისა და განყოფილებების უფროსებს, დაქვემდებარებული სასწავლებლების რექტორებსა და დირექტორებს და სხვა ხელმძღვანელ მუშაკებს ნომენკლატურის თანახმად;

დ) დადგენილი წესით შექმნის, გარდაქმნის და გააუქმებს ქვესაუწყებო დაწესებულებებს, ორგანიზაციებს, საწარმოებს და საჭირო შემთხვევებში შეცვლის მათს დაქვემდებარებას სამინისტროს სამმართველოებისა და სხვა ორგანოებისადმი;

ე) დადგენილი წესით წარუდგენს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების, სამმართველოებისა და ორგანიზაციების განსაკუთრებით წარჩინებულ მუშაკებს დასაჯილდოებლად და მათთვის საპატიო წოდებათა მისანიჭებლად.

8. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროში შეიქმნება კოლეგია მინისტრის (თავმჯდომარე), მისი მოადგილეების, სამინისტროს და ქვესაუწყებო დაწესებულებების ხელმძღვანელ მუშაკთა შემადგენლობით.

კოლეგიის შემადგენლობას სამინისტრო დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

სამინისტროს კოლეგია თავის სხდომებზე განიხილავს უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების და სხვა ქვესაუწყებო დაწესებულებებისა და ორგანიზაციების სასწავლო-მეთოდური, სამეცნიერო-საკვლევი, იდეურ-აღმზრდელობითი და სამეურნეო-საფინანსო მუშაობის უმნიშვნელოვანეს საკითხებს, კადრების შერჩევის, შესრულების შემოწმების და ქვესაუწყებო უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლებისადმი პრაქტიკული ხელმძღვანელობის საკითხებს, მოისმენს სამინისტროს სამმართველოებისა და განყოფილებების და მისდამი დაქვემდებარებული უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების, დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების ხელმძღვანელ მუშაკთა ანგარიშებს, აგრეთვე მოისმენს იმ სამინისტროებისა და უწყებების წარმომადგენელთა ანგარიშებს მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე, რომლებსაც ემორჩილებიან უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლეგიის გადაწყვეტილებანი ხორციელდება მინისტრის ბრძანებებით.

მინისტრსა და კოლეგიას შორის უთანხმოების შემთხვევაში, მინისტრი ცხოვრებაში გაატარებს თავის გადაწყვეტილებას და წამოჭრილი უთანხმოების შესახებ მოახსენებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, კოლეგიის წევრებს, თავის მხრივ, აგრეთვე შეუძლიათ მიმართონ აპელაციით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

9. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან შეიქმნება სამეცნიერო-ტექნიკური საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან ცენტრალური აპარატის თანამშრომლები და რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების წამყვანი მეცნიერები.

საბჭოს შემადგენლობას დაამტკიცებს საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი.

10. სასწავლო-მეთოდური და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მოწინავე გამოცდილების რაც შეიძლება უფრო უკეთ გამოყენების მიზნით, სამინისტრო დადგენილი წესით მოიწვევს თათბირებს, სემინარებს, სამეცნიერო და მეთოდურ კონფერენციებს, რომლებზედაც მოისმენს მოხსენებებს პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათა და ხელმძღვანელ მითითებათა შესახებ, განიხილავს მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების პრობლემებს და სამინისტროსა და მისი ორგანიზაციების სამეურნეო და საფინანსო საქმიანობის საკითხებს.

11. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს სტრუქტურას დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

12. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს აქვს ბეჭედი, რომელზედაც გამოსახულია საქართველოს სსრ გერბი და თავისი სახელწოდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 90 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 5 ნოემბრის № 636 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებში ცვლილებათა შეტანისა და ზოგიერთი მათგანის გაუქმების შესახებ

„ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 5 ნოემბრის № 636 დადგენილებასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. „ქალაქ-კურორტ ბორჯომის დაგეგმვის პროექტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 19 მაისის № 382 დადგენილების მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტიდან ამოღებულ იქნას სიტყვები — „მათ შორის ავარიული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების აღდგენითი რემონტიც“.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 8 მარტის № 161 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 13 დეკემბრის № 839 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ,“ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დაბა ბაკურიანის დაგეგმვის პროექტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 13 დეკემბრის № 839 დადგენილების მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის ნაწილობრივ შესაცვლელად, ნება დაერთოს ბორჯომის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომს აძლიოს მოქალაქეებს, რომლებიც საბინაო პირობების გაუმჯობესებას საჭიროებენ, იმის ნებართვა, რომ აწარმოონ საკუთარი ძალებით ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის შემდეგი სამუშაოები: ავარიული სახლების აღება და მათ ნაცვლად ახალი სახლების მშენებლობა ტიპიური პროექტებით იმავე ნაკვეთებზე, აგრეთვე აწარმოონ დაშენება მათი პირადი საკუთრების სახლებზე მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც საჭიროა დაკმაყოფილდეს მესაკუთრესთან ერთად მცხოვრები ოჯახის წევრების მოთხოვნილებანი ისე, რომ ამ საქმეში მონაწილეობა არ მიიღონ გარეშე მენაშენეებმა, ქალაქმშენებლობის ნორმებისა და წესების დაცვით და საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის 104 მუხლის შესაბამისად“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჟირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 30 აგვისტო, № 520.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განკარგულებები

**91** **განკარგულება № 1039-გ**

**1966 წლის 23 ივლისი**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 9 ივლისის № 517 დადგენილება „მშენებლობისა და რეკონსტრუქციის პროცესში მყოფი იმ საწარმოების მოწყობილობით უზრუნველყოფის წესის შესახებ, რომლებსაც „სოიუზგლავკომპლექტები“ აკომპლექტებენ“, დაეგზავნოს სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე გ. ჯავახიშვილი.

# სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება № 517

**1966 წლის 9 ივლისი**

მოსკოვი, კრემლი

**მშენებლობისა და რეკონსტრუქციის პროცესში მყოფი იმ საწარმოების მოწყობილობით უზრუნველყოფის წესის შესახებ, რომლებსაც „სოიუზგლავკომპლექტები“ აკომპლექტებენ**

იმ მიზნით, რომ შემდგომ გაუმჯობესდეს მშენებლობისა და რეკონსტრუქციის პროცესში მყოფი იმ საწარმოების უზრუნველყოფა მოწყობილობით და მათი დროზე გადაცემა საექსპლუატაციოდ, რომლებსაც აკომპლექტებენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტთან არსებული „სოიუზგლავკომპლექტები“, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დაეკისროს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტს მოწყობილობით, არმატურით, ხელსაწყოებით, ავტომატიზაციისა და კავშირგაბმულობის საშუალებებით, საკაბელო და სხვა ნაკეთობებით დაკომპლექტება ქიმიური, ნავთობგადამმუშავებელი, ნავთობქიმიური და ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობის და ქიმიური მანქანათმშენებლობისა და რეკონსტრუქციის პროცესში მყოფი საწარმოებისა, მსუბუქი, კვების, ხორცისა და რძის მრეწველობის მშენებლობისა და რეკონსტრუქციის

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროცესში მყოფი საწარმოებისა, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება ერთი მილიონი მანეთი და მეტია, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს სამშენებლო ინდუსტრიის და საშენ მასალათა მრეწველობის შენდებადი საწარმოებისა, აგრეთვე მრეწველობის სხვა დარგების საწარმოებისა და მშენებლობათა რიცხვიდან, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 1,5 მილიონი მანეთი და მეტია, იმ ნუსხის მიხედვით, რომელსაც დაამტკიცებენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი დაგეგმილი წლის დაწყებამდე არა უგვიანეს 10 თვისა.

2. დაწესდეს, რომ „სოიუზგლავკომპლექტები“:

ახორციელებენ თავიანთ საქმიანობას სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე მშენებლობისა და რეკონსტრუქციის პროცესში მყოფ საწარმოებთან და მიმწოდებელ საწარმოებთან სახელშეკრულებო საწყისებზე და არიან ფონდმქონენი;

აკომპლექტებენ მშენებლობისა და რეკონსტრუქციის პროცესში მყოფ საწარმოებს ყველა სახის ტექნოლოგიური, ენერგეტიკული, ამწე-სატრანსპორტო, სატუმბო-საკომპრესორო და საერთო საქარხნო მოწყობილობით, არასტანდარტიზებული მოწყობილობის ჩათვლით, ხელსაწყოებით, ავტომატიზაციისა და კავშირგაბმულობის საშუალებებით, არმატურით, საკაბელო და სხვა ნაკეთობებით და პასუხისმგებელნი არიან აღნიშნული პროდუქციის კომპლექსურად მიწოდებისათვის, შესაბამისად დამტკიცებული პროექტებისა, საშემკვეთო სპეციფიკაციებისა და დაკომპლექტების უწყისებისა, პროდუქციის შესაძენად გაღებული ასიგნობებისა და საწარმოო სიმძლავრეთა საექსპლუატაციოდ გადაცემის ვადებისა;

უზრუნველყოფენ შემკვეთ სამინისტროებთან ერთად არასტანდარტიზებული მოწყობილობის დამზადების შეკვეთების განაწილებას ამ მოწყობილობის წარმოებისა და განაწილების დამტკიცებული გეგმების შესაბამისად;

წარუდგენენ შემკვეთ სამინისტროებს საჭირო ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს მშენებლობისა და რეკონსტრუქციის პროცესში მყოფი ობიექტების დაკომპლექტება მოწყობილობით, ხელსაწყოებით, არმატურით, საკაბელო და სხვა ნაკეთობებით.

3. შემკვეთი სამინისტროები იმ მშენებლობათა მიხედვით, რომლებსაც „სოიუზგლავკომპლექტები“ აკომპლექტებენ;

უზრუნველყონ, რომ მშენებლობისა და რეკონსტრუქციის პროცესში მყოფმა ქვესაუწყებო საწარმოებმა არა უგვიანეს იმ წლის 1 აპრილისა, რომელიც წინ უძღვის დაგეგმილ წელიწადს, წარუდგინონ „სოიუზგლავკომპლექტებს“ სსრ კავშირის სამინისტროების შესაბამისი მთავარი სამმართველოების მიერ დამტკიცებული ნუსხები მოცემული მშენებლობის ასამუშავებელ კომპლექსებში შემავალი ობიექტებისა (ამასთან აღნიშნონ კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა ობიექტების მიხედვით), მშენებლობისა და რეკონსტრუქციის პროცესში მყოფი ობიექტების სამუშაო ნახაზების მიხედვით შედგენილი საშემკვეთო სპეციფიკაციები, და დაკომპლექტების უწყისები ტექნოლოგიური, ენერგეტიკული, ამწე-სატრანსპორტო, სატუმბო-საკომპრესორო, არასტანდარტიზებული მოწყობი-

№ 4 ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობის, ავტომატიზაციის და კავშირგაბმულობის საშუალებების, სპეციალური არმატურისა და სხვა ნაკეთობების (გარდა საკაბელო ნაკეთობებისა) შესაკვეთებლად, აგრეთვე საპროექტო დავალებების ან ტექნიკური პროექტების მიხედვით შედგენილი საშეკვეთო სპეციფიკაციები და დაკომპლექტების უწყისები საერთო-საქარხნო მოწყობილობის, საერთო დანიშნულების მილგაყვანილობის არმატურისა და საკაბელო ნაკეთობათა შესაკვეთად;

წარუდგენენ „სოიუზგლავკომპლექტებს“ სახელწოდებითი და სპეციალური მოწყობილობის სპეციფიკაციები ამ მოწყობილობის შესაკვეთად დაწესებულ ვადებში;

„სოიუზგლავკომპლექტებთან“ ერთად განსაზღვრავენ, თუ რამდენი იქნება საჭირო ლითონი და მილები არასტანდარტიზებული მოწყობილობის დასამზადებლად;

უზრუნველყოფენ, რომ მათმა ქვესაუწყებო საწარმოებმა დროზე აანაზღაურონ მშენებლობებზე მიღებული მოწყობილობა და სხვა მაკომპლექტებელი ნაკეთობანი, შეინარჩუნონ ეს პროდუქცია და გამოიყენონ იგი პირდაპირი დანიშნულებით;

კონტროლს გაუწევენ იმას, რომ დროზე გადაეცეს სამონტაჟოდ მოწყობილობა და სხვა მაკომპლექტებელი ნაკეთობანი ობიექტების მშენებლობის გრაფიკებით გათვალისწინებულ ვადებში.

4. დაწესდეს, რომ მშენებლობისა და რეკონსტრუქციის პროცესში მყოფ საწარმოთა დირექტორები და მათვარი ინჟინრები:

თავის დროზე და სწორად შეადგენენ დაკომპლექტების უწყისებს და დადებენ ხელშეკრულებებს მაკომპლექტებელ ორგანიზაციებთან მოწყობილობისა და სხვა მაკომპლექტებელ ნაკეთობათა მიწოდების შესახებ იმ მოცულობით, რაც უზრუნველყოფილია დაფინანსებით, და ობიექტების კაპიტალური მშენებლობის გეგმებისა და მოწყობილობისა და სხვა მაკომპლექტებელ ნაკეთობათა შეკვეთისათვის დაწესებული ვადების მტკიცე შესაბამისობით, აგრეთვე მონაწილეობას იღებენ „სოიუზგლავკომპლექტებთან“ ერთად არასტანდარტიზებული მოწყობილობის დამზადების შეკვეთების განაწილებაში;

დროზე აანაზღაურებენ მშენებლობისათვის მიწოდებულ მოწყობილობას და სხვა მაკომპლექტებელ ნაკეთობებს დაფინანსების, კაპიტალურ დაბანდებათა დაკრედიტების გეგმისა და დადებულ ხელშეკრულებათა შესაბამისად;

ყოველთვიურად წარუდგენენ შესაბამის „სოიუზგლავკომპლექტებს“, სამინისტროებს და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ტერიტორიულ სამმართველოებს ინფორმაციას, თუ როგორ მიმდინარეობს მშენებლობა, აგრეთვე ობიექტების რეკონსტრუქცია და მათთვის მოწყობილობისა და სხვა მაკომპლექტებელ ნაკეთობათა მიწოდება, აგრეთვე ყოველკვარტალურ ინფორმაციას მშენებლობებზე არსებული ზედმეტი და დაუყენებელი მოწყობილობის რაოდენობისა და მისი გამოყენების ღონისძიებათა შესახებ.

5. დაწესდეს, რომ მოწყობილობისა და სხვა მაკომპლექტებელ ნაკეთობათა დამტკიცებული საშეკვეთო სპეციფიკაციებისა და დაკომპლექტების უწყისების შეცვლა შეუძლიათ საპროექტო ორგანიზაციებს და მშენებლობისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეკონსტრუქციის პროცესში მყოფი საწარმოების დირექციებს განსაკუთრებულ შემთხვევებში და ისიც სსრ კავშირის სამინისტროების შესაბამისი მთავარი სამმართველოების უფროსთა ნებართვით.

ამავე დროს სსრ კავშირის სამინისტროების მთავარმა სამმართველოებმა უნდა მიიღონ გადაწყვეტილება ზედმეტად აღმოჩენილი მოწყობილობის გამოყენებისა და იმ ცვლილებებთან დაკავშირებით მიღებული ზარალის ანაზღაურების შესახებ, რომლებიც შეტანილია პროექტებსა და ტექნიკურ დოკუმენტაციაში.

6. დაევალოთ სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს გააძლიერონ სამინისტროებისა და უწყებების აპარატის მუშაკების, საპროექტო ორგანიზაციათა დირექტორებისა და მთავარი ინჟინრების, მშენებლობისა და რეკონსტრუქციის პროცესში მყოფი საწარმოების დირექტორებისა და მთავარი ინჟინრების და სხვა თანამდებობრივი პირების პასუხისმგებლობა მოწყობილობისა და სხვა მაკომპლექტებელ ნაკეთობათა დამზადების შესახებ გაცემული შეკვეთების სისწორისა და საპროექტო სამუშაოთა სათანადო ხარისხისათვის.

სასტიკ დისციპლინურ და მატერიალურ პასუხისგებაში აძლიონ ის მუშაკები, რომელთა მიზეზით სახელმწიფოს მოუვიდა ზარალი მოწყობილობასა და სხვა მაკომპლექტებელ ნაკეთობებზე არასწორი შეკვეთების მიცემის, პროექტებსა და ტექნოლოგიურ სქემებში ისეთი დეფექტების დაშვების გამო, რომლებიც იწვევენ დამატებითს ხარჯებს მშენებლობაში და ზედმეტი და არასაჭირო მოწყობილობის მარაგის შექმნის გამო.

სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტმა სისტემატურად განიხილოს მშენებლობისა და რეკონსტრუქციის პროცესში მყოფ საწარმოებში ზედმეტი და არასაჭირო მოწყობილობის მარაგის შექმნის ფაქტები და მიიღოს საჭირო ზომები გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

7. დაევალოთ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტს გაითვალისწინონ სახალხო მეურნეობის გეგმების პროექტებით და სამრეწველო პროდუქციის განაწილების გეგმებით (იმ პროდუქციის ნომენკლატურის მიხედვით, რასაც ისინი ანაწილებენ), რომ გამოეყოს „სოიუზგლავკომპლექტებს", როგორც ფონდმქონეებს, ცალკეულ სტირქონად მოწყობილობა, არმატურა, ხელსაწყოები, საკაბელო და სხვა ნაკეთობანი, აგრეთვე ლითონი, მილები და მაკომპლექტებელი ნაკეთობანი არასტანდარტიზებული მოწყობილობის დასამზადებლად იმ რაოდენობითა და იმ ვადებში, რომლებიც უზრუნველყოფენ მშენებლობისა და რეკონსტრუქციის პროცესში მყოფ საწარმოთა ობიექტებისა და საწარმოო სიმძლავრეთა დროზე გადაცემას საექსპლუატაციოდ.

8. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გაითვალისწინოს, 1967 წლიდან დაწყებული, სახალხო-სამეურნეო გეგმების პროექტებით არასტანდარტიზებული მოწყობილობის წარმოება და განაწილება მშენებლობისა და რეკონ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტრუქციის პროცესში მყოფი იმ საწარმოებისათვის, რომლებსაც „სოიუზგლავკომპლექტები“ აკომპლექტებენ.

9. დაევალოთ მიმწოდებელ სამინისტროებსა და უწყებებს მიაწოდონ 1966 წლიდან დაწყებული საქვეუწყებო ორგანიზაციებსა და საწარმოებს „სოიუზგლავკომპლექტების“ შეკვეთებით აპარატურა, მილგაყვანილობის არმატურა და საკვალთებო კომპლექტურად საპასუხო მილტუჩებით, საფასონო დეტალებით, ფიტინგებით, სარჭებითა და შუასადებებით.

10. დაეკისროთ იმ საწარმოთა დირექტორებს და მთავარ ინჟინრებს, რომლებიც მოწყობილობასა და სხვა მაკომპლექტებელ ნაკეთობებს ამზადებენ, იმის პირადი პასუხისმგებლობა, რომ დაამზადონ და მიაწოდონ მშენებლობებს, რომლებსაც „სოიუზგლავკომპლექტები“ აკომპლექტებენ, ეს პროდუქცია დაწესებული კომპლექტურობისა, სათანადო ხარისხისა და გათვალისწინებულ ვადებში.

11. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტს ერთი თვის ვადაში დაამტკიცოს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟთან და სსრ კავშირის დაინტერესებულ სამინისტროებთან შეთანხმებით, ძირითადი დებულებანი მშენებლობისა და რეკონსტრუქციის პროცესში მყოფი საწარმოების მოწყობილობით, ხელსაწყოებით, საკაბელო და სხვა ნაკეთობებით დაკომპლექტების შესახებ, აგრეთვე ამ პროდუქციის მიმწოდებელთა, შემკვეთთა და მომხმარებელთა ურთიერთობის შესახებ.

12. ძალადაკარგულად ჩაითვალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 8 სექტემბრის № 731 დადგენილების პუნქტები 1, 4, 5, 6, 7, 8, 10, 11, 12, 16, და 17.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ა. კოსიგინი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. სმირტიუკოვი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

## № 4 1966 ГОД


**გამომცემელი:** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისია.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 27/X-1966 წ. ქაღალდის ზომა 70×108, ქაღალდი 22.500, ნაბეჭდი თაბახი 8,0. სააღრიცხვო თაბახი 8,0.

წლიური ხელმოწერის ფასი 3 მან.

თარგმნილია რუსულიდან

ტირაჟი 2750 შეკვეთა № 1264

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა

თბილისი, რუსთაველის გამზირი № 8.

ინდექსი — 76187
ეროვნული
ბიბლიოთეკა